

171  
1947



საქართველოს სსრ განათლების  
სამინისტროს ბრძანებითა  
და განკარგულებათა

# პრეზუმი

წელიწადი მათე

№ 2—3	Сборник приказов и Распоряжений Министерства Просвещения Груз. ССР	1947 წ.
-------	---	---------

საგავერცო სახეებთან ეკსეგუდ სასწავლო  
სახელმწიფოების  
პ რ ი პ რ ა მ ე ბ ი

1976



# პ რ ო გ რ ა მ ა

## სამკვირვალო საქმისა

სწავლების პირველი წელი—320 საათი

პირველი ნახევარწელი—160 საათი

### 1. შესავალი მეცადინეობა (2—საათი)

სახელოსნოში მუშაობის პირობათა და მომავალი მეცადინეობის შინაარსის მოკლედ გაცნობა მოსწავლეეთათვის, სამუშაო ადგილების მიმაგრება მოსწავლეებზე და გაცნობა მათი მოვლისა. ხელით მუშაობის დროს ჯდომის სისწორე. კერვის დროს საჭიროა ხელზე ჰქონდეთ ხელსაწყოები და იარაღები. მათი განლაგება სამუშაო ადგილზე. მოსწავლეთა ნამუშევრისა, მისალათა და იარაღების მიღება, შენახვა და გაცემა. მოსწავლეთა მიერ სამკვირვალო საქმეში გამოყენებულ იარაღების მოხმარების ცოდნისა და უნარის გამორკვევა.

### 2. ჭრა სწორი ხაზით (2—საათი)

მაკრატლები, მათი ნუმერაცია, პოზა ჭრისას და მაკრატლის ხელში მომარჯვება. ჭრის სხვადასხვა ხერხები.

### 3. ძირითადი ლამბები ხელით კერვაში (16—საათი)

ქსოვილში ძაფების მიმართულებათა გამორკვევა, მათი თავისებურებანი. ნაპირი ქსოვილში. ქსოვილის გარე და უკუღმა პირი. მათი მნიშვნელობა მუშაობის პროცესში. სათითურთა, ნემსთა, ქინძისთავთა ნუმერაცია და გამოყენების წესები. ძაფების ნუმერაცია. ძაფების, ნემსთა და ქსოვილის თანაფარდობა. სანტიმეტრი, სახაზავი და მათი გამოყენება. ჯდომა ხელით მუშაობის დროს. იარაღების განლაგება სამუშაო ადგილზე. იარაღებისა, ნაკეთობათა და მასალის ხელში დაკავების წესიერება მუშაობის პროცესში. ნემსში ძაფის გაყრა. ძაფის ბოლოში კვანძის გამოსკვნა. სათითურისა და ნემ-

სის დაუფლება. ლამბის შექმნის პროცესი. ძაფის დამაგრება წას-  
კვნით და უნასკვნოთ მუშაობის საწყისისას, შუა და ბოლოში. ლამ-  
ბები: ნემსის წინ, ხარაზულად, გვირისტი, ლეროვანი, კილოვანად  
ირიბი და სწორი (2—საათი).

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 1—პატარა ხელსახოცი (8—საათი).

დავალება № 2—პატარა საყელო (8—საათი).

#### 4. შემაერთი და შემომკეცი ნაკერები ხელით კერვისას (10—საათი)

ნაკერების დანიშნულება. ნაკერთა სიგანე და ფორმა. სხვადა-  
სხვაგვარ ნაკერთა შესრულების ხერხები. მათი გამოყენება ქსოვი-  
ლესა და ნაკეთობის მიხედვით.

შემაერთი ნაკეთები: გადმობრუნებული, ნაწიბურს იქითა, სხვა-  
დასხვა ზომების შემომკეცი (2—საათი)

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 3: ტომპიკა (8—საათი).

#### 5. გეომეტრიული ხაზვა (8—საათი)

სახაზავი იარაღები, ხელსაწყოები, მასალები და მათი გამოყე-  
ნება. ხაზების სახეები. პარალელური და პერპენდიკულარული ხა-  
ზები. კუთხეები: სწორი, ბლაგვი და მახვილი. სწორკუთხედის და  
კვადრატის აგება. მონაცემების შესაბამისად კვადრატული და სწორ-  
კუთხოვანი ფორმების თარგ-შაბლონების გამოხაზვა.

სწორი ხაზის მონაკვეთების გაყოფა თანასწორ ნაწილებად. ვარ-  
ჯიშობა გეომეტრიულ აგებასა და ნახაზების შედგენაში ბალიშის  
პირის გასაკეთებლად.

მერექვისა და ჩიგიჩის ნახატების შედგენა.

#### 6. შაბლონებით კვადრატულ და სწორკუთხოვან ფიგურების დაჩ- ნევა ქსოვილზე. ჭრა. ქსოვილში სიგრძივი და განივი ძაფების მხედ- ველობაში მიღებით (8—საათი)

შაბლონების შემოწმება. ქსოვილზე დეტალების განლაგება. სი-  
გრძივი და განივი ძაფების სიგრძისა, სიგანისა და მიმართულებათა  
მიხედვით. ქსოვილზე შაბლონების დამაგრების ადგილი. სიგრძივი  
და განივი მიმართულებით ჭრის ხერხები ქსოვილზე და კუთხის შე-

ქმნა. სიგრძივი და განივი ძაფების თავისებურებანი გამოკრის დროს ვარჯიშობა ხალიჩის დაგვირისტებისათვის დეტალების დამზადებაში.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## 7. დაგვირისტება ქსოვილის სიგრძივსა და განივ გადანაკრებზე (14 — საათი)

საკერავი მანქანები და მათი მოძრაობაში მოყვანის ხერხები. მანქანის მექანიზმის გამოსათიშავი ხელსაწყო. მანქანის ამოძრავება. მემასრე თალფაქის მოცილება. ძაფის დახვევა მასრაზე. მასრის გაწყობა მეშასრე თალფაქში. ზედა ძაფის გაწყობა. ძაფის გამოყვანა მაქოდან ზევით, მანქანის ნემსები და მათი დაყენება, ლამბის რეგულატორი და მისი მოხმარების წესები. მანქანის გაწმენდა, გაზეთვა და შენახვა.

მანქანის პლატფორმაზე და სამუშაო ადგილზე ტანის და ხელების მდებარეობა, იარაღებისა და დეტალების განლაგება. სწორი და პარალელური ხაზების დაგვირისტება. მანქანების ნემსები, მათი ნუმერაცია. ნემსებისა და ძაფების სისქე, მათი ურთიერთობა მუშაობის პროცესში.

დაგვირისტება: ქსოვილის სიგრძივითა, განივითა და სიგრძივგანივი გადანაკრები, ქსოვილის მდებარეობისა, გაქიმვადობისა და ზედა და ქვედა დეტალების შეკლების მხედველობაში მიღებით, როგორც ხელით, აგრეთვე მანქანით დახვევის დროს.

სამუშაო მდებარეობა ნაკერავის შესრულებისას, ქსოვილის როგორც დაქიმვით, აგრეთვე დაუქიმვად (2 — საათი).

დაგვირისტებული ნაკერავი. ვარჯიშობა: დავალება № 4, ხალიჩა (12 — საათი).

## 8. მანქანით დამუშავებული ნაკერავები (16 — საათი)

ნაკერავების დანიშნულება. მათი სიგანე, ფორმა და მნიშვნელობა, ნაკეთობათა შესრულების დროს. ნაკერავების გამოყენება დასამზადებელ ნაკეთობათა და ქსოვილის მიხედვით, დეტალების მდებარეობა, წესები სხვადასხვაგვარ ნაკერავთა დახვევისა და დაგვირისტების დროს. ნაკერავთა შესრულების დროს დეტალების გამართვის მნიშვნელობა. ქსოვილის სიგრძითა და განივ გადანაკრებზე შემაერთი ნაკერავები: გადმობრუნებული, ნაწიბურებითა, ბრტყელი და მრგვალი, ინგლისური ნაკერავი.

სხვადასხვა ზომების შემომკეცი ნაკერაები (2—საათი).  
საწარმოო მუშაობა.

დავალება: № 5—სამეურნეო ჩანთა (14—საათი).



### 9. ღილის კილო, ჩასალილაფი და კლიტისებური ლამზი (14—საათი)

ჩასალილაფი ლამზის მნიშვნელობა ქსოვილის ნაწიბურების დამაგრებასა და მორთევაში. ლამზის სიგრძე ქსოვილის ნაწიბურიდან და მანძილი ლამზებთა შორის. ჩასალილაფი ლამზის მიღების ხერხები. ნემსის ჩასმა, ძაფის ზეჩართვა, ნასკეის მოჭრა. ძაფის დამაგრება მუშაობის საწყისსა, შუა და ბოლოს. კლიტე და მისი შესრულება. ღილის კილო ქსოვილის ნაწილსა, განივსა და ირიბ მიმართულებებით (1—საათი).

ვარჯიშობანი.

დავალება № 6—ქისა და აპლიკაციური სამუშაოები, ღილის კილოთა ნიმუშები (13—საათი).

### 10. ღილის კილოს განსაზღვრა ღილის მიხედვით, ღილების მიკერება (4—საათი)

რისგან მზადდება ღილები. მათი ფორმა, ზომა, ფერი, თვლების ხერხების განლაგება,

ქსოვილის ნაწიბურის ჩაკეთება ღილებისა და ღილის კილოებს ქვეშ. ღილების მიკერების სხვადასხვა ხერხები. ღილის კილოს დამოკიდებულება ღილისაგან. ღილის მიხედვით ღილის კილოს ზომისა და მიმართულების განსაზღვრა. ღილის კილოსა და ღილის მანძილი ნაწიბურებიდან და ერთმანეთს შორის.

ღილის კილოს ამოჭრა და ამოხვევა. ღილების მიკერება სხვადასხვა ხერხებით (1—საათი).

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 7—ბალიშის პირი ღილებით (3—საათი).

### 11. ფიგურისა, მონაკვეთისა და თარგის შედგენის გაცნობა (3—საათი)

ზომების აღება ფიგურიდან და მონაკვეთიდან. სიგრძისა, სიგანისა და წრის აღებულ ზომების დასახელება და ჩაწერა. თარგის ნახაზის აგებისას ანგარიში აღებულ ზომების მიხედვით. თარგის შედგენა მასშტაბითა და მონაცემებით (1—საათი).

დავალება № 8 „ა“ — ნახაზის შედგენა ბავშვის ლიტერიკისათვის ბრეტელზე (2—საათი).



12. სწორი მიმართულებით კრა თარგით (2—საათი)

თარგის შემოწმება. თარგის მდებარეობა ქსოვილზე, უკანასკნელში სიგრძივი და განივი ძაფების, ქსოვილის, ძირითადი და დამხმარე დეტალების სიგრძისა და სიგანის მხედველობაში მიღებით. ქსოვილზე თარგის დამაგრების ადგილები და რიგი. დამატება დამუშავებაზე და გარეცხვის შემდეგ შემოკლებაზე. დასერვა. ნაკეთობისათვის საჭირო ქსოვილის გამოანგარიშება. ტანის, ხელების და მაკრატლის მდებარეობა კრის დროს. თარგების შენახვა (2—საათი).

13. სწორი კუთხეების ჩაკეთება. რტყელების დამზადება და მიკერება (4—საათი)

სწორი კუთხეების დამზადება და ჩაკეთება შემომკეცი ნაკერავით, გვირისტის მოვლებით ღილების მიკერებისა და ღილის კილოების მხედველობაში მიღებით. რტყელების დამზადება, დაგვირისტება ჩაკერება 1—საათი.

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 8, შეკერვა ბავშვის ლიტერიკისა რტყელებით (3—საათი).

14. კრა ირიბი და წრისებური ხაზებით და დაგვირისტება ქსოვილის სხვადასხვაგვარ ჩამონაჭრებზე. პარალელური ოვალისებურ ხაზების გვირისტი (28—საათი)

სამუშაო პოზა და მაკრატლით კრის ხერხები. ქსოვილზე თარგის ან ნიმუშის მდებარეობა ნაკეთობის სიგრძისა და სიგანის მხედველობაში მიღებით. თარგის დამაგრების ადგილები. დაკრის შემდეგ ქსოვილის ფხვიერობა და გაკიშვადობა სიგრძისა, განივსა და წრისებურ ჩამონაჭრებზე. ქსოვილის სხვადასხვა ჩამონაჭრების შემოკლება და დაკიშვადობა ხელით ან მანქანით დამუშავებისას.

დეტალების მდებარეობა მანქანის პლატფორმაზე შებლანდვის დროს. ქსოვილის ბოლოების გაკიშვა თითით. სხვადასხვაგვარი საშუალებანი ძაფების დამაგრებისა მანქანით დამუშავების შემთხვევაში. უთობები, მათი დანიშნულება, უთოს წონა, ფორმა და ხურება.

უთოს ხურების რეგულირება სხვადასხვა ქსოვილებისათვის. ქსოვი-  
ლის ტენიანობის მნიშვნელობა გაუთოების დროს. ცხელი უთოს და  
ტენიანობის დადებითი უარყოფითი მნიშვნელობა ქსოვილების სხვა-  
დასხვაგვარ თვისებებზე. სამუშაო ადგილის მოწყობა გაუთოების  
დროს. საუთოო მაუდი, სახსრები, კალაპოტები, კოპიტულები, ქვე-  
სადგომები. ტანის მდებარეობა და ხერხები გაუთოების დროს. გამ-  
ზადებულ ნაკეთობათა დაუთოება. ელექტრონის უთოს მოვლა-მოპ-  
ყრობა (2—საათი).

საწარმოო სამუშაო.

დავალება № 9, ჩაიდანის გადასაფარებელი ან ტაპოჩები, ხელ-  
ჯაგი (26—საათი).

### 15. მერეტყა, ჩიგინი. დასაშვენებელი ნაკერები (32—საათი)

ნახატის გადატანა ქალაღზე და ქსოვილზე. ჩიგინი ნაფენი და  
უნაფენოდ. ანგარიში ნახატის მიხედვით და ძაფების ამოძრობა. ძა-  
ფების გადაწოვა ნახატის მიხედვით. ძაფის დამავრება მუშაობის  
პროცესში. კუთხეთა გამოყვანა. ნაძეური, რიშლიე და სხვა დასა-  
მშვენებელი ნაკერები (2—საათი).

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 10, პატარა ხელსახოცი ან საყელო (30—საათი).

### 16. გავლილი მახალის აღრიცხვა (2—საათი)

მეორე ნახევარი წელი—160 საბოტი.

17. ნაკეთის ტრა და შეკვრა შემაერთი და შემომკეცი ნაკერებით  
მოხრილ ხაზებზე. ჩიგინის და მერეტყის გამოყენება. როგორც  
თეთრეულის მორთულობა (40—საათი)

ბრეტელებიანი პერანგისათვის ზომის აღება ფიგურიდან სიგრ-  
ძით და წრეხაზით. ზომების ჩაწერვა. აღებული ზომებით თარგის  
გამოხაზვა. თარგის კონტურის ხაზების აღნიშვნა და დასახელება. ნა-  
ხაზის შემოწმება. თარგის გამოჭრა. ბრეტელებიანი პერანგის დეტა-  
ლები. მასალის გამოანგარიშება გარეცხვის შემდეგ გამოკლებისა და  
დამუშავებისათვის ნამატის გათვალისწინებით. თარგის დეტალების  
მდებარეობა გამოჭრის დროს. თარგის მისამავრებელი ადგილები.  
ტანისა და ბრეტელების გამოჭრა. მერეტყებისა და ჩიგინის სხვადა-

სხვა ნახატების გამოყენება თეთრფულის ნაკერების მორთულობა  
სათვის.

გამოყენა შემომკეცი ნაკერით. ბრეტელების ადგილებს განსა-  
ზღვრა და მიკერება. შემოწმება, უთოობა, დაწყობა სტანდარტის  
მიხედვით. სამუშაოს აღრიცხვა პირადი ანგარიშით (5 — საათი).

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 11, ბრეტელკბიანი პერანგი (5 — საათი).

### 18. ნაკეთის ჭრა და შეკერვა ფიგურაზე მარჯვენა და მარცხენა ნახევართა მხედველობაში მიღებით

ფიგურიდან ზომების აღება. გაზომვა სიგრძივი, წელისა და ბარ-  
ძაყის თარგის შედგენა აღებული ზომებით გამოანგარიშების შედე-  
გად. თარგის გაშოჭრა წინა და უკანა ნახევართა მხედველობაში მი-  
ღებით. თარგების მდებარეობა ქსოვილზე, უკანასკნელში ძაფების მი-  
მართულებათა და მარჯვენა-მარცხენა ნახევართა თარგების დეტალებ-  
ის მხედველობაში მიღებით.

შემიერთი ნაკერები. კერვის დროს მანქანის პლატფორმაზე მომ-  
ქერი თითის ქვეშ დეტალების მდებარეობისა და შექუჩების წესები.  
ბიჯის ხაზების შეერთება, სლონკები, შემკავებელზე ფეხებისა და  
ზოლის გამოკერება (2 — საათი).

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 12, პერანგის ამხანაგი შემკავებელზე ან ტრუსები  
(16 — საათი).

### 19. ნაკეთის ჭრა და შეკერვა ქსოვილის ირიბ გადანაჭრებზე ბლა- გი და მახვილ კუთხეთა გამოყენებით შემომკეცი ნაკერით. (4 — საათი)

პიონერის ყელსახვევის გამოხაზვა. ჭრა, კუთხეთა გამოყენების  
ხერხები. შემომკეცი ნაკერი ქსოვილის ირიბ გადანაჭერზე. ირიბი  
გადანაჭერის გაჭიმვალობა ქსოვილში (1 — საათი).

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 13, პიონერის ყელსახვევის შეკერვა (3 — საათი).



**20. ნაკეთობათა ჭრა და შეკერვა ბეიკებით, შემკავებლისათვის შემომკეცი ნაკერი (15—საათი)**

სიგრძივი ბარძაყების გაზომვა. აღებული ზომებით ტრუსების თარგის გამოხაზვა. თარგის გამოჭრა. მისალის ანგარიში. თარგის მდებარეობა ქსოვილზე სიგრძივი და განივი ძაფების მხედველობაში მიღებით, ბეიკების გამოჭრა წებების გამოსაყვანად. გვირისტი, ბეიკების დაგვირისტება (2—საათი).

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 14, პავშვის ტრუსები ტომსკით (13—საათი).

**21. ნაკეთობათა ჭრა და შეკერვა გრძივი, განივი და ირიბი ბეიკებით და ზედნადები ჯიბეებით (20—საათი)**

ფიგურის გამოხაზვა და საბავშვო და სამეურნეო წინსაფართო თარგების შედგენა. გადანაჭრები ქსოვილში: გასწვრივი, განივი და ირიბი. გაჭიმვადობა გამოჭრისა და დამუშავების დროს. ბეიკები, მათი სიკანე ქსოვილსა, ნაკეთობისა და გამოყვანისა ან გამშვენებასთან დაკავშირებით. გრძივი, განივი და ირიბი ბეიკების ქრისა და მიკერების ხერხები, ქსოვილის ნახატი და გადანაჭრის მხედველობაში მიღებით. ზედნადები ჯიბის დამზადება, დამწნევა, დაგვირისტება და კუთხეთა გამოყვანა (2—საათი).

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 15, სამეურნეო და საბავშვო წინსაფარები (18—ს.).

**22. ნაკეთობათა ჭრა და შეკერვა საყელოს მრგვალი ამონაჭრის ბეიკის გამოყვანით. ნაოჭები, არშიები და კოკეტის მოკერება (26—საათი)**

ფიგურისა და მანეკენის გაზომვა სიგრძივი და წრებაზით. ბავშვის უსახელო ტანსაცმელის თარგის შედგენა აღებულ ზომების მიხედვით. დეტალების ძირითადი საკონტურო ხაზების დასახელება და მათი განლაგება მანეკენსა და ფიგურაზე. საკოკეტკო ნაჭრის წინადისა, სიგრძისა, საყელოსა, მხრისა, კრილისა, გვერდისა და ქვედის შუაგულის განსაზღვრა.

თარგის დეტალების განლაგება ქსოვილზე, უკანასკნელში ძაფების მიმართულებათა მხედველობაში მიღებით. ნახატი ნაკერებზე, მათი ფორმისა და სიგანის მიხედვით და გარეცხვის შედეგად შემო-

კლების გათვალისწინებით. დეტალების შეერთება სხვადასხვა საკრებებით, ქსოვილის გამოანგარიშება ნაოქებისათვის. ნაოქების შეკრება ხელით და მანქანის საშუალებით. განაწილება, დალაგება, დაფარვა, გვირისტება და მათი გამოყვანა. კოკეტისა და არწიების დამუშავების სხვადასხვა ხერხები. ქრილისა და მრგვალი საყელოს ირიბი ბეიკების მდებარეობა დალაგებისა და მანქანაზე გვირისტის დროს. ირიბი ბეიკის გაკვიმვალობა სწორ და დამრგვალებულ ადგილებზე (4—საათი).

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 16, ბავშვის უსახელო ტანსაცმელი (22—საათი).

23. ექსკურსია სამკერვალო საწარმოოში (3—საათი)

24. მოშლილობა საკერავ მანქანისა და მათი გამოსწორება (6—საათი)

სუსტი და მჭირსნე გვირისტი. საკერავი მანქანების უწესრიგობანი: მარყუქი ზევიდან. მარყუქი ქვევიდან, ლამბის გამოტოვება. ქსოვილის წინ წევა ცუდად, საკერავი მანქანის ნემსის გატეხვა. ზედა და ქვედა ძაფის გაწყვეტა.

25. გავლილის გამეორება (24—საათი)

საწარმოო მუშაობა.

დამუშავებულ მასალებზე მიღებულ ჩვევათა გამტკიცება დაკვეთების შესრულების დროს (24—საათი).

26. ნამუშევრის აღრიცხვა (4—საათი)

სწავლებლის მემორამ წელი—320 საათი.

პირველი ნახმარწელი—160 საათი.

1. შესავალი მეცადინეობა (2—საათი)

დამდები სასწავლო წლის ამოცანები და სამუშაო გეგმა. სამუშაოსათვის მოსწავლეთა ორგანიზაცია. ინსტრუქტაჟი მიმდინარე დამოუკიდებელი ჩასატარებლად.

2. ნახატებიდან გადმოტანით ნაკეთობათა ხარჩულით ჭრა კერვა სხვადასხვა ხერხებით დამშვენება (48 საათი)

ზომების აღება. თარგის შედგენა და გამოჭრა. ქალის პერანგის აკრით თარგის გამოყენება კომბინაციის გამოსაჭრელად. მასალის

ანგარიში. ქსოვილზე თარგის მდებარეობა და მიზნების აღდგენა, ნაქარგისა, მედალიონისა და ხიშტაკების მიკერების სხვადასხვა ხერხები (3 საათი).

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 17, კომბინაციის შეკერვა (45 საათი).

ეროვნული  
ხელისუფლება

3. მოზარდისათვის (გოგონასათვის) ნაკეთის ჭრა და შეკერვა წელისა და ბარძაყების ხაზების მხედველობაში მიღებით, ნაკეცების დამუშავებით, ჭრილებისა და სარტყელის ჩაკეთებით (20 საათი).

საპიონერო ქვედა ტანის კაბის ზომის აღება. თარგის შედგენა. ძირითადი ხაზების დასახელება. ნაკეცები (ნაოკები) პლისე შემხვედრი, სხვადასხვა სივანის ბანტები. ქსოვილის ანგარიში ქვედა ტანის კაბისათვის ფასონთან დამოუკიდებლობით. ნაკეცების სივანე, სიგრძე და სიღრმე. მანძილი მათ შორის ნაკეცების სიღრმისა და სივანის შეფარდება.

შეწყობისა, დაკვირისტებისა და დალამბვის ხერხები. დამაგრება. ქვედის ჩაკეთება ფარული ნაკერიით და ქვედა ტანის კაბის ზედას ჩაკეთება (2—საათი).

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 18, საპიონერო ქვედა ტანის კაბა (18—საათი).

4. მოზარდთათვის აღებული ზომის თამასიან ნაკეთის ჭრა და შეკერვა აღებული ზომის შემოწმების გარეშე, მარცხენა და მარჯვენა სახელოების მხედველობაში მიღებით. გადმოზრუნებულ ნაკერიით მანუეტებისა და საყულოების მიკერება, მხრებისა და გვერდების ხაზების ჩაკერება, სახელოს ჩაგვირისტება და ფარულ ჩანაჭერში (25—საათი)

ცნება ფიგურაზე. პიონერის ხალათის შეკერვის დროს დეტალების შეხვედრის ხაზების განმარტება და დასახელება. პიონერის ხალათისათვის ზომების აღება. ანგარიში პიონერის ნახაზის ასაგებად. საკონტურო ხაზების დასახელება. თარგის შედგენა აღებული ზომებისა და დავალების მიხედვით. დეტალების გამოჭრა შედგენილი ნახაზების მიხედვით: წინამო, ზურგი, სახელოები, საყულო, მანუეტი, გულისა და სახელოების თამასები. ქსოვილზე თარგების დეტალების განლაგება, ქსოვილის თვისებათა და ჩამონაჭრების მხედველობაში მიღებით. ნამატი დამუშავებისათვის და გარეცხვის შემდეგ შემოკლების გამო.

ქსოვილის ანგარიში ნაკეთისათვის. თამასების ჩაქეთება წინამორბედ და სახელოებზე. დეტალების შეერთება სხვადასხვა ნაკერებით. დაგვირისტება სახელოებისა და გვერდების მხრების ხაზებისა ვალდებულ მობრუნებული ნაკერით.

საყელოსა და მანქეტის დამზადება და შეკერვა. სახელოს ჩაგვირისტება ფარულ ნახვრეტში. ნახვრეტის შემოგრაგნა პირდაპირი ლამბით. ღილის კილოები, ღილები. მათი განლაგება და მიკერება, შემოწმება, გაუთოება და ნაკეცები (ნაოქები) 3—საათი.

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 19, პიონერის ხალათი (22—საათი).

5. ნაკეთის ჭრა და შეკერვა თამასების ჩაქეთებით წინამოს გვერდში, გვერდებისა და მარების ხაზების შეერთებით. მდგომი საყელოს ჩაგვირისტებით, სახელოების ღია ჩანაჭერში ჩაქერებით (25—საათი).

გვერდზე შესაკრავი ხალათის ზომის აღება. ანგარიში აღებული ზომების მიხედვით და თარგის შედგენა გვერდზე შესაკრავი ხალათისათვის. საკონტურო ხაზების დასახელება. გვერდზე შესაკრავი ხალათის დეტალები: წინამო, ზურგი, სახელოები. საყელო, თამასები. თარგის გამოჭრა. ქსოვილზე თარგის დეტალების განლაგება. ქსოვილის სივანისა და ცალკეულ დეტალების განაწილების მიზანშეწონილობის მხედველობაში მიღებით. თამასებისა, საყელოებისა და ძირითად დეტალებში ქსოვილის განგრძობი და განივი ძაფების მნიშვნელობა. ნაკეთისათვის ქსოვილის ანგარიში და განივი ძაფების მნიშვნელობა. ნაკეთისათვის ქსოვილის ანგარიში და განივი ძაფების დასამუშავებლად, სახელოების ქვემოთ ნამატის მხედველობაში მიღებით. ჭრა, საყელოს გვერდით ჭრილის დამზადებისა და ჩაქეთების თავისებურებანი.

ბეჭების ხაზების დაგვირისტება.

მდგომი საყელოს მიკერება. სახელოს ჩაგვირისტება ღია ხვრეტში. ქვედისა და სახელოს მიკერება. ღილის კილოები, ღილები, მათი განაწილება თამასებსა და საყელოზე.

გვერდზე შესაკრავი ხალათის ნაკეცები, გაუთოება და შემოწმება (5—საათი).

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 20—გვერდზე შესაკრავი ხალათი (15—ს.)

6. ნაკეთის ქრა, შეეკრვა კოკეტკის მიგვირისტებით, ბეჭების გვირისტით ჩაკეთებით, მანუეტების დადებით, შემომკეცი ნაკერით მოხვეულ ხაზებზე (26 საათი).

არქივული  
ნიშნები

ზომების აღება „გეიშა“ პერანგისათვის, ანგარიში აღებული ზომების მიხედვით და თარგის შეტანა. ძირითადი დეტალები, მათი სახელწოდება. დეტალების მდებარეობა ქსოვილზე, უკანასკნელზე დაფების მიმართულებათა მხედველობაში მიღებით. ნაკეთისათვის ქსოვილის ანგარიში და გამოჭრა. დასერვა (დაკუქნა), მათი სისწორე გამოჭრის დროს, მათი მნიშვნელობა და აუცილებლობა კერვის დროს.

ზედნადები მანუეტების მიგვირისტება შალგების დამზადება და დავირისტება. ბეჭის ხაზების გვირისტი, ბეჭებისა და საყელოს ჩაკეთება დავირისტებით. კოკეტკის დამზადება და საზურგესთან მიკრება. ქვედის ჩაკეთება და კრილები. ხვეულხაზებზე შემომკეცი ნაკერის შესრულების ხერხები. გვერდის ხაზების სახელოების ჩაკრება. კრილის ჩაკეთება. ნაძვურად ქარგვა. როგორც მორთულობა „გეიშა“ პერანგი ნაკეციები (ნაოქები) გაუთოება, შემოწმება (4—საათი)

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 21, „გეიშა“ პერანგი (22—საათი).

7. მასალათმცოდნეობა (15—საათი).

(შეისწავლება ნახევარწლის განმავლობაში)

სამკერვალო მრეწველობაში ხმარებული ბოჭკოები. ბოჭკოების წარმოშობა: მცენარეული, ცხოველთა და ხელოვნური. ბოჭკოების განსხვავება გარეგნული შეხედულებით, ხელშეხებით და ხერეტილთა წვაზე (4—საათი) **ბამბა** და მისი მნიშვნელობა სამკერვალო მრეწველობაში. ბამბის მოყვანა საბჭოთა კავშირში.

ბოჭკოს აგებულება და თვისებანი: სიგრძე, სიწმინდე (სიწვრილე), ფერი, დამოკიდებულება წყლისა და ტუტეებთან. ცდები ქსოვილზე წარმოშობის გამორკვევა, სინჯი წვაზე, სიმაგრე, გამძლეობა, შემოკლება გარეცხვის შემდეგ (3—საათი)

**სელი—გრძელი და გრუზა.** მცენარის რომელი ნაწილი იძლევა ბოჭკოს. დამოკიდებულება წყალთან, სელის ქსოვილების ხარისხი: პეწი, სისწორე, გამძლეობა, ელასტიურობა, თბოუნარგამტარიანობა. სელის ქსოვილების შედარება ბამბის ქსოვილებთან გარეგნულობით, წინადობით, ქსოვილების შემოკლება გარეცხვის შემდეგ (4—საათი).

მოკლე ცნობები კანადისა, რამისა და სხვათა ლაფანის კულტურების შესახებ (1—საათი).

**ნატურალური აბრეშუმი.** აბრეშუმის ქსოვილების მიღება. ნატურალური აბრეშუმის თვისება, მისი დამოკიდებულება ცხელთან (1—საათი). აბრეშუმის ქსოვილების შედარება ბამბის ქსოვილებთან (2—საათი).

**ხელოვნური აბრეშუმი.** ბოქკოს მისაღები ნედლეული. შედარება ნატურალურ აბრეშუმთან. განსხვავება მათ შორის. ხელოვნური აბრეშუმის ხმარება სამკერვალო მრეწველობაში ქსოვილების დასამზადებლად და მოსართავად. ხელოვნური აბრეშუმის თვისებანი: გამძლეობა, დამოკიდებულება წყალთან, ცხელ დამუშავებასთან. სინჯი წვაზე (2—საათი)

**მატყლი.** ბოქკოს მიღება. ბოქკოს აგებულება მატყლის ბოქკოს თვისებანი. სიგრძე, სიწმინდე (სიწვრილე), სირბილე, თელვადობა, გაქიშვადობა, დრეკადობა. სიმაგრე, ტალღისებურება. ტუტეების მოქმედება მატყლის ქსოვილებზე. ქსოვილთა შემადგენლობის განსაზღვრა.

მატყლის ქსოვილები—სუფთა მატყლი და შერეული (2—საათი)

**რთვა.** მოკლე ცნება ნართის მიღების შესახებ. უმთავრესი თვისება. სისქე, სიმაგრე, ელასტიურობა, დრეკადობა, სიგლუვე. ნართისათვის საკერავი ძაფების დამზადება. საკერავი ძაფების და საქარავი ქაღალდის ნორმები და ხარისხი (2—საათი)

## 8. სამუშაოს აღრიცხვა (4—საათი)

მომრი ნახმვარწილი—160 საათი.

9. ნაკეთის ჭრა და შეკერვა თამასის ჩაკეთებით წინამოს შუაზე და სახელურებზე მიგვირისტება მანუეტისა და მდგომი საყელოსი (34—საათი)

მამაკაცის პერანგის „ფანტაზია“ ზომის აღება—თარგის გამოხაზვა და გამოჭრა. პერანგის დეტალები. საკონტურო ხაზების და დეტალების დასახელება. ჭრა ქსოვილის გადანაჭრების, თვისებათა და დაშუშავების მხედველობაში მიღებით.

სახელოებისა და გულის თამასების ჩაკეთება.

დეტალების შეერთება. დამზადება და მიკერება მდგომი საყელოსა და მანუეტისა. შემოწმება, გაუთოება და დაკეცვა (4—საათი) საწარმოო მუშაობა.

დავალება № 22, პერანგი „ფანტაზია“ (30—საათი).

10. ნაკეთობის ჭრა და შეკერვა მარცხენა და მარჯვენა ნახევართა მხედველობაში მიღებით, ქამრის მიგვირისტებით, სხვადასხვა ხერხებით თამახებისა და ჯიბის პირების ჩაკეთებით (40—საათი)

ზომათა აღება მამაკაცთა „კალსონისათვის“. თარგების შედგენა მამაკაცთა „კალსონებისათვის“, აღებული ზომებისა და მონაცემის მიხედვით. ნაკეთის დეტალები. ჭრა ქსოვილზე თარგის დეტალების განლაგებათა მხედველობაში მიღებით და თარგის მიმაგრების ადგილები გამოჭრის დროს. ჯიბის პირის ჩაკეთება სხვადასხვა ხერხებით. პირის გამოსაწყობები. ნაკეთების განაწილება მარცხენა და მარჯვენა ნახევართა მხედველობაში მიღებით.

ქამრის დამზადება და მიკერება. ჯიბის ხაზებისა და „სლონკების“ გვირისტი.

ქვედის ჩაკეთების სხვადასხვა ხერხები. შემოწმება, გაუთოება დაკეცვა (5—საათი)

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 23 — მამაკაცთა „კალსონები“ 2—ცალი (35—საათი).

11. ნაკეთის ჭრა და შეკერვა ჩაგვირისტებული ჯიბეებით, გვერდის ხაზების დაგვირისტებით, აკიმითა და სარტყელის მოგვირისტებით (25—საათი)

ზომათა აღება ბიჟის შარვლისათვის. ბიჟის შარვლისათვის თარგის შედგენა აღებულ ზომათა მიხედვით. თარგის გამოჭრა. თარგის დეტალები, მათი განლაგება ქსოვილზე. შებრუნებულ აკიმითა დამზადება. კრილების ჩაკეთება. ჯიბეთა დამზადება და ჩაკერება. გვერდის ხაზების მიკერება და დაგვირისტება. ქამრის მიგვირისტება. (5—საათი).

საწარმოო მუშაობა,

დავალება № 24, შარვალი ბიჟისათვის (20 საათი)

12. კერვაში, გავლილი ოპერაციებით მიღებულ ცოდნათა და ჩვევათა გამტკიცება (40—საათი)

სარაფანის გამოჭრა დამზადებული თარგის მიხედვით. სწავლების პირველი და მეორე წლებში გავლილ ოპერაციათა გამეორება ჩვევათა გაღრმავებით.

საწარმოო მუშაობა.

დავალბა № 25, სარაფანი და მარტივ დაკვეთათა შესრულება. (40—საათი).



### 13. მასალათა მცოდნეობა (14—საათი)

**ქსოვილთა დამზადება.** (2—საათი) ნართის მომზადება: ამოხვევა, ქსელვა, გახამება. მარტივი საქსოვი დაზგა. ნართისაგან ქსოვილის დამზადების პროცესი. საქსელი და მისაქსელი.

**გადაწნულობათა სახეები.** (2—საათი). გადაწნულობანი: ტილოსი, უჯრედული, სატინისა, მოყვანილი. ქსოვილში გადაწნულობათა მნიშვნელობა და სიმკვრივე სამკერვალო საქმეში. ქსოვილთა ფხვიერება.

**გახამება და ღებვა.** (3—საათი) ქსოვილთა თეთრება, შეღებვა, დაჩითვა. შეღებილობის სიმტკიცე. ქსოვილში ნახატის მნიშვნელობა. ნართში, ქსოვილში ღებვის მარტივი ცდები და მარტივი საშუალებანი ქსოვილზე საღებავის განმტკიცებისათვის.

**ქსოვილთა მორთულობა** (2—საათი). ცნება ქსოვილთა მორთულობის შესახებ. მისი დანიშნულება. მორთულობის მთავარი ოპერაციები: გახამება, დასველება, გაგანიერება, შემკვრივება, წუნი, დაკეცვა, შეფუთვა.

**ქსოვილის დაჯგუფება** (5—საათი). თეთრეთლთა, საპერანგე ტანსაცმელ ნაკეთობათა და სპექტანსაცმელთა შესაკერავად გამოსაყენებელი ქსოვილები. ქსოვილთა დასახელება, მათი სივანე, ღირებულება. ქსოვილთა კოლექციების შედგენა.

### 14. ექსკურსია საქსოვ-ნართავ ფაბრიკაში ან კინოფილმის განხილვა (3—საათი)

### 15. აღრიცხვა (4—საათი)

სწავლების მისამე წელი - 320 საათი

პირველი ნახევარწელი - 160 - საათი

1. მომავალ მეცადინეობათა ამოცანები და გეგმა. სწავლების მესამე წელში მუშაობის თავისებურებანი. მისაღები კვალიფიკაციის და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.



2. არართულ მოყვანილობათა ნაკეთის კრა და შეკერვა ქათის ფიგურის ქვედა ნაწილზე დაწომებით, ბარძაყებისა და წლის ხაზის სიგრძის მხედველობაში მიღებით. (30—ხატი)

ზომათა აღება ქვედა ტანისათვის, ზომათა ჩაწერა. ანგარიში აღებულ ზომათა მიხედვით. ნახაზები და თარგის შედგენა. ქვედა ტანის დეტალები. ქვედა ტანის დეტალების და საკონტურო ხაზების დასახელება. ამოგვირისტება ფიგურასთან დამოკიდებულებით, მათი სიგანე და სიგრძე. ფიგურაზე მათი ადგილებისა და მიმართულებათა განსაზღვრა.

ორნაკერიანი ქვედა ტანის ნახაზი. ქვედა ტანის დეტალები. დეტალებისა და საკონტურო ხაზების დასახელება. ქვედა ტანის გვერდის ხაზების მიმართულება. ქვედა ტანის ბოლოს განსაზღვრა. მარწუხა ქვედა ტანის ნახაზი. ქვედა ტანის დეტალები. მათი აგება—ორმაგად ამოგვირისტებულსა და ორნაკერიანი ქვედა ტანის დეტალებს შორის განსხვავება.

ნახაზზე ქვედა ტანის ბოლოს ხაზების გავლების ხერხები. მარწუხა ქვედა ტანის ნახაზის შედგენის დროს ზოლების გამოყენების ხერხები. თარგის გამოკრა. მანეკენის შერჩევა მოსაზომად. თარგის დეტალების შეერთება. წარმოებაზე კრის შესრულების გაცნობა. ქსოვილთა შემოწმება. წუნი ქსოვილზე და შორთვის დროს, საფეიქრო წუნი ქსოვილში და შორთულობაში. გამოკრისას გამოწვეული წუნი: დეტალების შევიწროება, დეტალების შემოკლება, დეტალების გაფართოება და გაგრძელება. ანგარიში და გამოკრა ქსოვილიდან მოყვანილობისა, ქსოვილის ათვისებათა გამონაკრებისა, ნახატისა, ხაოსა და სიგანის მხედველობაში მიღებით. ნამატი დამუშავებისა და გარეცხვის შემდეგ შემოკლებისათვის. მოზომვა და მოწესრიგება. წინა მხარსა, უკანა მხარსა, ტანისა და ბარძაყების შუა ადგილის განსაზღვრა. ქვედა ტანის დეტალების განაწილება ფიგურაზე, დეტალების მდებარეობა ფიგურაზე და უკანა მხარის შუა ადგილისა. გვერდის ხაზებისა, ნაკერავებისა, ქსოვილში განგრძივი და განივი ძაფების მხედველობაში მიღებით. ცნება სწორსა და არა სწორ ფიგურაზე მოზომვის შესახებ.

ფიგურასა და მანეკენზე ქვედა ტანის ბოლოს შესწორება სახაზავით. აუცილებლობის შემთხვევაში ნაკლის გამოსწორება მოზომვის შემდეგ და მათი გამოყენება ქვედა ტანის შეკერვა. კრილების ჩაკეთება. ნაოჭები, ბანტები: ქვედა ტანის დეტალების შეერთება მოყვანილობისა, ქსოვილის ათვისებათა და გადანაკრებისა და ნახატთან დამოკიდებულების მიხედვით. კარშიკებისა და კიკარტების მიკერება.

პეროვანი ჩასალილები. ქვედის მიკერება და სარტყლის ჩაკეტება  
სხვადასხვა ხერხებით (6—საათი).

საწარმოო მუშაობა.



- დავლება № 26 ა) ქვედა ტანი ამოგვირისტებათ ან
- ბ) ტანი ორი ნაკერით ან
- გ) მარწუხა ქვედა ტანი (24—საათი)

**3. ნაკვეთის ჰრა და შეკერვა ქალის ფიგურის ზედა ნაწილზე  
მოზომვით (34 საათი)**

ცნება ქალის ფიგურის შესახებ ქალის ფიგურის ნაირსახეო-  
ბა. ზომათა აღება ქალის ბლუზის თარგის შესადგენად აღებულ ზო-  
მათა ჩაწერა. ხალათის დეტალები: წინამო, ზურგი, სახელოები,  
საყელო. მანუეტები, თამასები, მათი დანიშნულება, აგება. ხალათის  
დეტალებში საკონტროლო ხაზების დასახელება და მათი დანიშნულე-  
ბა შეერთების დროს. თარგის გამოჭრა. თარგის დაზუსტება ფიგუ-  
რასთან დამოკიდებულებით. თარგის დეტალების განლაგება ქსოვილზე  
მოყვანილობისა, ქსოვილის თვისებათა და გადანაჭრების მხედველო-  
ბაში მიღებით. ქსოვილის ნახატის მნიშვნელობა ფიგურის და ნა-  
კეთისათვის.

ქსოვილებში ზურგის და წინასწარ შუა ადგილის განსაზღვრა.  
გამოჭრის თავისებურებანი ქსოვილის ნახატის მხედველობაში მიღე-  
ბით. დამზადება ბანტებისა, ნაოჭებისა, მათი განი და მათ შორის  
მანძილი. ქსოვილის ანგარიში ნაკეთისათვის. ნამატი დამუშავებისა-  
თვის ქსოვილის თვისებათა და გადანაჭრებისა, ნაკერებისა და ნაკე-  
თის ფასონის მხედველობაში მიღებით.

მომზადება დასაზომად, ნაკეთის ცალკე დეტალების შეერთება,  
დამზადება, დამზადარე დეტალების მორთვა მანუეტის შერჩევა გასა-  
ზომად. ფიგურაზე მოზომვა და მოწესრიგება. დეტალების განაწი-  
ლება ხალათის ხაზების სწორად განლაგების განსაზღვრით ფიგურის  
შესაბამის ადგილებზე: შუა ადგილი წინამოსა და ზურგისა, მხარბე-  
ჭისა, საყელოსა, კრილისა, გვერდისა, ქვედისა, სახელოებისა, გან-  
გრძივი ძაფების მიმართულება სიგრძეზე, გარდიგარდმოსა სიგანეზე,  
ქსოვილის გაჭიმვალობისა და შემოკლების მხედველობაში მიღებით.

წესების თავისებურებანი დამაგრების ერთი მხრიდან მო-  
ზომვისას წესიერი ფიგურისათვის და ორივე მხრიდან არა წესიერი  
ფიგურის შემთხვევაში.

ნაკლის გამოსწორება მოზომვის შემდეგ. ძაფების გავლება ან  
საჭრისის გამოყენება ხალათის ყველა შესასწორებელ დეტალებზე და  
მათი გადატანა მეორე მხარეზე.

ხალათის შეკერვა. ხალათის დეტალების დალამბვა და გვირგვინით გაკერვა, ოპერაციათა თანდათანობით დაცვით, ნაკერებისა და ლამბის გამოყენებით ნაკეთის ფასონისა და ქსოვილის თვისებებზე და გადანაკერების თანახმად.

ჩასმა მხარბეჭეში ზურგთან. ხალათის კრილში სახელოს ჩასაკერებელი ადგილის განსაზღვრა. ჩამსის განაწილება, დალამბვა, ჩაგვირისტება (8—საათი).

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 27, ხალათი (26—საათი).

#### 4. ქალის ტანსაცმელის კრა და შეკერვა ფიგურაზე მოზომვით (78—საათი)

ქურნალში, მოყვანილობათა გაცნობა სურათებით. ტანსაცმელის გამოკრის დროს ხალათისა და ქვედა ტანის თარგების გამოყენება და მათი კომბინირება. ფიგურაზე გლუვად მდებარე ხალათებისათვის ამოგვირისტება მხარზე და გვერდში. ამოგვირისტების სივანე, სიგრძე, და მიმართულება. არა რთულ მოყვანილობათა ტანსაცმელთა შესრულება, ვალრმავება გავლილ ოპერაციათა და კერვის შესრულების ხარისხი (8—საათი).

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 28, ქალის ტანსაცმელი და მუშაობა დაკვეთით (70 საათი).

#### 5. საკერავ მანქანათა სხვადასხვა კონსტრუქციათა და კინემატიკის გაცნობა (12—საათი)

სამკერვალო საქმის მექანიზაცია, საკერავი მანქანის როლი სამკერვალო საქმეში. საკერავი მანქანის მოკლე ისტორია. საკერავი მანქანის ძირითადი ნაწილები: სამუშაო ძალის მიმღები, გადამცემი მექანიზმები. სამუშაო სქემების, ლამბის შექმნის პროცესი საკერავ მანქანაში, მექანიზმები: ნემსებისა, მაქოსა, ძაფგამკრისა, ქსოვილის წინაწევისა, თითის აპარატი. საკერავ მანქანათა ტიპები კლასების მიხედვით. ზოგადი გაცნობა სპეციალური საკერავი მანქანებისა: სალილე, ჩასალილავი მანქანები.

მანქანის მოწყობილობათა გაცნობა: სახაზავი, მიმმართავი, თათები, ჩამრახები და სხვა. მოშლილობათა გასწორება და მანქანის მოვლა. დაშლა და აწყობა მაქოს კომპლექტისა.

გამოქრის მექანიზაციის გაცნობა. ჭრა მაკრატილით, დანიით,  
გამოსაქრელი მანქანებით.

ფენილი სხვადასხვა გამოქრის დროს (12—საათი).



### 6. აღრიცხვა (4—საათი)

მეორე ნახევარწელი—160—საათი.

### 7. სამკერვალო საწარმოებში შრომის ორგანიზაციის და წარმოების მოკლე გაცნობა (18—საათი)

სამკერვალო წარმოებათა სხვადასხვა ტიპები: თეთრეულთა ფაბრიკები, ქვედა და ზედა ტანსაცმელთა ფაბრიკები, სახელოსნოები, ინდივიდუალური შეკერვის, ქარვისა, შეკეთებისა. განსხვავება საწარმოო პროცესის აგებაში საწარმოს ტიპის მიხედვით. მექანიზაცია, მოწყობილობა, მუშახელის დაყენება. დამუშავების პროცესები: ინდივიდუალური, ოპერაციული, უწყვეტი, ფენილი და გამოქრა ინდივიდუალური და მასიური შეკერვისათვის. განსხვავება მათ შორის და მათი უპირატესობანი გამოქრაში. დამუშავებაში, მოსაზრდებელ ნაკეთობათა ღირებულებაში, ნაკეთობაზე დახარჯულ დროში, შესრულების ხარისხში. მასიურ წარმოებათა ორგანიზაციისა შრომის ოპერაციათა მიხედვით დაყოფის პროცესში. მუშაობის თანმიმდევრობა. ღონისძიებანი შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის ასამაღლებლად. შრომის სოციალისტური მეთოდები: დამკვრელობა, სოციალისტური შეჯიბრი, სტახანოვური მოძრაობა—მთი მნიშვნელობა, სამკერვალო მრეწველობის სტახანოველთა მუშაობის მეთოდები და ილეთები. შრომის ილეთების რაციონალიზაცია მუშაობის პროცესში. ბრაკერაჟი და მისი მნიშვნელობა. საწარმოო ინსტრუქტაჟი. თვითკონტროლი. სამუშაო დრო. მუშაობის დროს მუშისაგან დამოკიდებული და დამოუკიდებელი წუნები მუშაობაში და მათი აცილება შრომის ნაყოფიერების ასაწვეად და მუშაობის ხელუფასის გასაზრდელად. სამუშაო დღის შემქიდროება. სამუშაო ადგილისა, მოწყობილობათა და საერთო საწარმოო პირობების გაუმჯობესება.

ტექნიკური კადრები სამკერვალო მრეწველობაში და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. მუშახელის განაწილება კვალიფიკაციის შესაბამისად. აღრიცხვა და დაგეგმვა. საბავშვო სახლის სასწავლო საწარმოო სახელოსნოების და სამკერვალო საწარმოს საწარმოო გეგმა. სამკერვისა, ბრიგადისა და ცალკეული მუშის გეგმა. შესრულების კონტროლი და თავის დროის აღრიცხვა. ხარისხის კონტროლი: ნედლეულისა, თარგებისა, წუნდება მასალათა, გამოწერის დეტალები.

ბის ფენილთა, ნაკეთისა, ხელითა და მანქანით ნამუშევრისა, უთო-  
ბისა და ნაკეცისა. მათი გავლენა ხარისხზე და გამოსაშვებ პროდუქ-  
ციის რაოდენობაზე. დაკვეთათა მიღება, განაწილება და ჩაბარება  
ხელფასი, დამზადებულ ნაკეთობათა და მასალათა ანგარიშგება და  
აღრიცხვა. სამკერვალო მრეწველობის საწარმოებზე სატარიფო-ნორ-  
მირებული მუშაობა. ცნება და ამოცანები ტექნიკური ნორმირებისა.  
ბრონომეტრაჟი და მისი არსი. დროისა და გამომუშავების ნორმათა  
დადგენა ინდივიდუალური და მასიური მუშაობისას. სხვაობა მათ  
შორის და მათი უპირატესობანი. ნაკეთობათა და ცალკეულ ოპერა-  
ციებზე ფასების დადების შედგენის გაცნობა. მათი გაზრდა და შემ-  
ცირება ქსოვილის თვისებათა და დამუშავების სხვადასხვა პროცე-  
სებთან დამოკიდებულება. უსაფრთხოობის ღონისძიებანი. გამაფრ-  
თხილებელი ღონისძიებანი, ტრანსმისის ზღუდე. ვენტილაცია (18—  
საათი).

## 8. ექსკურსია (3—საათი)

### 9. საწარმოო მუშაობა შრომის ოპერაციებად დანაწილებით (51—საათი)

ძირითადი და დამხმარე დეტალები. გამონაქრის შემოწმება და  
შემოჭრა. გამონაქრის დეტალებზე ტალღების მიკერება. გამოქრის  
დეტალებზე ნორმების აღნიშვნა. დამუშავებულ ოპერაციათა კლასი-  
ფიკაცია. დამუშავების დროს ოპერაციების დასახელება და მათი  
თანამიმდევრობა. ძალთა დაყენება ჩვევათა და ოპერაციათა თანამიმ-  
დევრობის თანახმად. ხელითა და მანქანით მუშაობის რიგრიგობა.  
უთოობა ქსოვილის თვისებათა და ნაკეთთან დამოკიდებულებით.  
დამუშავების დროს დაქუქვის მნიშვნელობა. დეტალების განლაგე-  
ბა, მუშაობის პროცესში მათი დაწყობა სამუშაო ადგილზე. შრომის  
ოპერაციებად დანაწილების დროს დამუშავების ილეთები და სამუ-  
შაო მოძრაობანი. ოპერაციები გაწყობილობათათვის, მათი ხარის-  
ხობრივი დახასიათება (3—საათი).

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 29, არა რთული დაკვეთები (48—საათი).

### 10. მიღებულ ჩვევათა გაუმჯობესება სიჩქარისა და ხარისხთა მაჩვენებლების ამაღლებით (82—საათი)

პროცესის მექანიზაცია. გადასვლა ხელით დამუშავებიდან მან-  
ქანით დამუშავებაზე. მანქანათათვის დამხმარე მოწყობილობათა შე-

ტანა. მუშაობის სიჩქარის გაზრდა მომუშავე მანქანათა მთლიან ტექნიკურ დატვირთვაზე და გადატანისა, თავის დროზე მანქანათა უწყესრიგობათა შესწორებითა და რემონტით. ნედლეულის ათავისება დროზე მიწოდება; მუშაობის სწორი განაწილება, მოწყობილობათა და სამუშაო ადგილის მოვლა. მოძრაობათა მუშაობის ილეთებისა და ხელში დაჭერის გამარტივება (2—საათი).

საწარმოო მუშაობა დაკვეთებზე (80—საათი).

#### 11. ხაკვალფიკაციო გამოცდა (6—საათი)

# საგეოგრაფიო სახელმწიფო მასალის განაწილება



ეროვნული  
გეოგრაფიული  
საზოგადოება  
შეიქმნა  
დამზადდეს

1	2	სამუშაო საათ.				7
		მათ შორის				
		სულ	საუბარ.	საგარ.	წარმუშ.	
3	4	5	6			

1	2	3	4	5	6	7
	<b>სწავლების პირველი წელი 320-ს.</b>					
	<b>წლის პირველი ნახ. 160 ს.</b>					
1	შესავალი მეცადინეობა . . . . .	2	2	—	—	1. პატარა ხელსა- ხოცი.
2	ჭრა სწორი ხაზით . . . . .	2	2	—	—	2. პატარა საყელო.
3	ძირითადი ლამბები ხელით კერ- ვაში	16	2	—	14	3. ტომსიკა (პარკი).
4	შემკერთი და და შემომკვეტი ნა- კერები ხელით კერვაში . . . . .	10	2	—	8	4. ხალიჩა.
5	გეომეტრული ხაზვა . . . . .	8	—	—	—	5. სამეურნეო ჩანთა.
6	კვადრატული და სწორკუთხო- ვანი	—	2	6	—	6. ჭისა, აპლიკაციე- ბით მუშაობის, ნიმუშები.
7	შაბლონებით კვადრატულ და სწორკუთხოვან ფიგურების და- მჩნევა ქსოვილზე, ჭრა სიგრძივი და განივი ძაფების მხედველო- ბაში მიღებით ქსოვილში	3	3	—	—	7. ბალიჩის პირი ლილეებით.
8	შეერთება ქსოვილის სიგრძივისა და განივ გადანაკრებზე	14	2	—	12	8. ბავშვის ლიფიკი ბრტყელებით.
9	მანქანით დამუშავებული ნაკერა- ვები	16	2	—	14	9. ჩაიდანის გაჯა- საფარებელი.
10	ლილის კილო, ჩასალილაფი და კლუბისებური ლამბი . . . . .	14	1	—	13	10. პატარა ხელსა- ხოცი ან საყე- ლო, ან საბ. სახ- ლის მეკვეთები (პროგრამის შე- საბამისი)
11	ლილის კილოს განსაზღვრა ლი- ლის შეერთებაში, ლილების და- კერება	4	1	—	3	
12	ფიგურისა, მანქანისა და თარგის შედგენის გაცნობა . . . . .	3	1	2	—	
13	სწორი მიმართულებით თარგით ჭრა . . . . .	2	1	1	—	
14	სწორი კუთხეების ჩაკეთება, ბრე- ტელის დამზადება და მიკერება	4	1	—	3	
15	ჭრა ირიბი და წრისებური ხაზე- ბით და შეერთება ქსოვილის სხვადასხვაგვარის ჩამონაკრე- ბით პარალელური ხაზებით გვირისტი	25	2	—	26	
16	მერყევა, ჩიგინი დასაშვენებელი ნაკერები . . . . .	32	2	—	30	
17	გავლილი მასალის აღრიცხვა . . . . .	2	2	—	—	
	<b>ს უ ლ .</b>	<b>160</b>	<b>28</b>	<b>9</b>	<b>123</b>	



ხაპროგრამის მასალა

მათ შორის

სულ	საუბარ.	საგარ.	წარ. მუშ.
-----	---------	--------	--------------

1	2	3	4	5	6	7
---	---	---	---	---	---	---

წლის მეორე ნახევარი—160 ს.

1	ნაკეთის ტრა და შეკერვა შემაერთი და შემომკევი ნაკერებით მოხრილ ხაზებზე, ჩიგინის და ბერეკის გამოყენება, როგორც თეთრფულის მოთულობისა	40	5	—	35	საბავშვო სახლის არა რთული შეკეთებები.
2	ნაკეთის ტრა და შეკერვა ფიგურაზე, მარჯვენა და მარცხენა ნახევართა სხედველობაში მიღება	18	2	—	16	
3	ნაკეთის ტრა და შეკერვა ირიბ გადანაკერებზე, ბლაგვი და მახრილ კუთხეთა გაყვანით შემომკევი ნაკერით	4	1	3	—	
4	ნაკეთობათა ტრა და შეკერვა ბეკებით, შემომკევებისათვის შემომკევი ნაკერით	15	2	—	13	
5	ნაკეთობათა ტრა და შეკერვა გოძივი ჭანივი და ირიბი ბეკებით და ზედნადები ჯიბეებით	20	2	—	18	
6	ნაკეთების ტრა და შეკერვა საყელის მოგვლი ამონაკერის ბეკის გამოყვანით, ნაკერები, არსებები და კოკეტის მოკერება	26	4	—	22	
7	ექსტრუაია სამკერვალო საწარმოთში	3	3	—	—	
8	მოშლილობა საკერავ მანქანაში და მათი გამოსწორება	6	2	—	4	
9	გავლილის გამოკრება	24	—	—	24	
10	ნაბეჭდების აღრიცხვა	4	4	—	—	
ს უ ლ		160	25	3	132	





საპროგრამო მასალა

სამუშაო საათ.

მათ შორის

1	2	სამუშაო საათ.				7
		სულ	საუბარ.	საკარ.	წარ. მუ.	
	სწავლების მეორე წელი — 320 ს.					1. კომბინაციის შეკვრა.
	პირველი ნაჭევარწელი — 160 ს.					2. საპროგრამო კვლევა ტანის კაბა.
1	შესავალი მქცადინება	2	2	—	—	3. პიონერის ხალათი.
2	ნახატები და გადმოტანით ნაკეთობათა ჭრა და კერვა. სხვადასხვა ხეობებით დამზენება	48	3	—	45	4. გვერდზე შესაკერავი ხალათი.
3	მოზარდისათვის (გოგონასათვის) ნაკეთის ჭრა და შეკერვა წელის და ბარძაყის ხაზების მიხედვით. მიღებით, ნაკეთების დამუშავებით, კრილობისა და სარტყელის ჩაკეთებით	20	2	—	18	5. „გვიშა“ — პერანგი.
4	მოზარდისათვის თამასიან ნაკეთის ჭრა და შეკერვა აღებულ ზოპის შემოწმების გარეშე, მარცხენა და მარჯვენა სახელოების მხედველობაში მიღებით მონტაჟებისა და საყელოების მიკერება მარგებისა და გვერდების ხაზების ჩაკერება. სახელოს ჩაკვირება და დარულ ჩანაჭერში	25	3	—	22	6. ან საბასხლის შეკვრა.
5	ნაკეთის ჭრა და შეკერვა წინა მოს გვერდში თამასების ჩაკეთებით, გვერდებისა და ხრების ხაზების შეკრებით მდგომში სახელოს ჩაკვირებით, სახელოების ღია ჩანაჭერში ჩაკერებით	20	5	—	15	
6	ნაკეთის ჭრა და შეკერვა მიგვილისტებით, ბეჭების გვირისტის ჩაკეთებით, მანეტების და დებით შემოშეკერი ნაკერით	26	4	—	22	
7	მოხვეულ ხაზებზე მასალათმყოფინება	15	15	—	—	
8	გავლილი მასალის აღრიცხვა	4	4	—	—	
ს უ ლ . . .		160	38	—	122	



საგარეო საკითხების  
 დამხმარე

სამუშაო საათ.

საპროგრამო მასალა

მათ შორის

სულ	საუბარ.	საგარ.	წარმუშ.
-----	---------	--------	---------

1	2	3	4	5	6	7
---	---	---	---	---	---	---

**წლის მეორი ნახევარი—160 ს.**

1	ნაკეთის ჭრა და შეკერვა თასმის ჩაკეთებით, წინამოს შუაზე და სახელურებზე მიგვირისტება მანქანისა და მდგომი საყვლო-სი				
2	ნაკეთების ჭრა და შეკერვა მარცხენა და მარჯვენა ნახევართა მხედველობაში მიღებით, ქამარის მიგვირისტებით სხვადასხვა ზერზეებით თაშასებისა და ჯიბის პირების ჩაკერებით	34	4	—	30
3	ნაკეთის ჭრა და შეკერვა ჩაგვირისტებული ჯიბებით, გვერდის ნახების დაგვირისტებით, აკი-შითა და სარტყლის მიგვირისტებით	40	5	—	35
4	კერვაში გავლილ ოპერაციებით მიღებულ ცოდნათა და ჩვევათა გამტკიცება	25	5	—	20
5	მასალათა მცოდნეობა	40	—	—	40
6	ექსკურსია საქსოვ სართავ ფაბრიკაში ან კი ოფილმის ნახვა	14	4	10	—
7	გავლილ მასალის აღრიცხვა	3	3	—	—
		4	4	—	—

1. მამაკაცის ქვედა საცვლი.
2. პერანგი „ფანტაზია“.
3. ბიჭის შარვალი
4. სარაფანი ან საბ, სახლის რეკვეთები (პროგრამის შესაფ.)

ს უ ლ .

160	25	10	125
-----	----	----	-----

**სწავლების მესამე წელი—320 ს.**

**პირველი ნახევარი—160 ს.**

1	შესავალი მეცადინეობა	2	2	—	—
2	არართული ფასონის ნაკეთის ჭრა და შეკერვა ქალის ფიგურის ქვედა ნაწილზე ჩაზომებით, ბარდაყებისა და წელის ხაზის სიგრძის მხედველობაში მიღებით	30	6	—	24
3	ნაკეთის ჭრა და კერვა ქალის ფიგურის ზედა ნაწილზე მოზომვით	34	8	—	26

1. ქვედა ტანი ამოგვირისტებით ან ორი ნაფრით ან და „კლიოში“.
2. ხალათი კაცის.
3. ქალის ტანსაცმელი ან საბავშვო სახლის შეკვეთები.



საქართველოს  
სტატისტიკის  
სამსახური

საპროგრამო მასალა

სამუშაო საათ.

მათ შორის

1	2	სამუშაო საათ.				7
		სულ	საუბარ.	სავარ.	წარმეშ.	
4	ქალის ტანსაცმელის ტრა და შეკერვა ფიგურებზე მოზომილი .	78	8	—	70	
5	საკერავ მანქანების სხვადასხვა კონსტრუქციების და კინემატიკის გაცნობა . . . . .	12	12	—	—	
6	გავლილი მასალის აღრიცხვა . . . . .	4	4	—	—	
<b>ს უ ლ .</b>		<b>160</b>	<b>40</b>	<b>—</b>	<b>120</b>	
<b>მეორე ნახევარწლის 160 ს.</b>						
1	სამკერვალო საწარმოებში შრომის ორგანიზაციისა და წარმოების მოკლე გაცნობა . . . . .	18	18	—	—	1. საბ. სახლის არართული დაკვეთები.
2	ექსკურსია . . . . .	3	3	—	—	
3	საწარმოო მუშაობა შრომის ოპერაციებად დანაწილებით . . . . .	51	3	—	48	
4	მიღებულ ჩვევათა გაუმჯობესება სიჩქარის, ხარისხის მაჩვენებლების ამოღებით . . . . .	82	2	—	80	
5	საკვალიფიკაციო გამოცდა . . . . .	6	6	—	—	
<b>ს უ ლ .</b>		<b>160</b>	<b>32</b>	<b>—</b>	<b>128</b>	

სულ 3 წლის განმავლობაში 960



# პ რ ო ბ რ ა მ ა

## ფეხსაცმელების დამამზადებლის საქმისა

სწავლების პირველი წელი 320 საათი, პირველი ნახევარ-  
წელი—160 საათი

### 1. შესავალი მეცადინეობა (2—საათი)

მოკლე ცნობები ფეხსაცმელების დამამზადებელ წარმოების შე-  
სახებ. ფეხსაცმელი და მისი მოვლა, სახელოსნოში მუშაობის შინაარ-  
სი და მიზანდასახულობა. მოწაფეთა შორის სამუშაო ადგილის გა-  
ნაწილება და სამუშაო ადგილის მოვლა. მუშაობისას სწორად ჯდომა.  
მუშაობის ჩასატარებლად საჭირო იარაღები და მათი განლაგება  
სამუშაო ადგილზე. ფეხსაცმელის დამამზადებაში გამოსაყენებელი  
იარაღები—მათი სწორად გამოყენების ცოდნა.

### 2. ფეხსაცმელების საკერავი იარაღები (8—საათი)

ფეხსაცმელების საკერავი დანები — სწორი და მოხრილი მკრე-  
ლი პირით. დანამზადის გამოსაჭრელი დანა. სწორი და მახვილ-  
ტუჩიანი გადასაჭიმავი ვაზები. დანის და სადგისის გალესვის  
ხერხების გაცნობა. სადგისების სხვადასხვა ხარისხი და სიდიდე.  
სადგისის მახვილი წვერის ფორმა. სადგისის მახვილი წვერის განივი  
კვეთის ხედი. სადგისის მოღუნვის კუთხე. სადგისის წვერის სიმსხოს  
შეფარდება მის ღეროს სიგრძესთან. ფეხსაცმელის კერვისას გამო-  
საყენებელი ჩაქუჩი. ჩაქუჩის ყუის და ბოლოს დანიშნულება. ჩა-  
ქუჩის ტარი-სახელური. ჩაქუჩის მოხერხებულად დაკავება, ჩაქუჩით  
მუშაობისას ხელის მტეგნის მოძრაობა. „შტოპორი“ (საწმენდი),  
კბილებიანი ბორბალაკი—უზორების დასამჩნევი „ფუმელი“, „სამ-  
ბუსი“ რანტის საჭრელი. ლურსმანის („ტექსის“) ამოსაღები. ფეხსა-  
ცმელის მკერავის დაზგა. ფეხსაცმელის დასამკერებელი ხის და ლი-  
თონის ჩაოხები.

### 3. ფეხსაცმლის საკერავი გაცვილული ძაფი („დრატვა“) 6-საათი

გაცვილულ ძაფისათვის საჭირო მასალა. ჯაგრის, შპაგატის, მერაცხის ხარისხი, ფასი და თვისებები. ყველაზედ მეტად გამოყენებულ მასალათა ხარისხები. მასალების ვარგისიანობის გამორკვევის წესები. ფეხსაცმლის საკერავ გაცვილულ ძაფის სიმკვრივის შემოწმება, რომლებიც მზადდება სხვადასხვა საძაფე მასალისაგან. (ბამბა, კენაფი და სელი).

ვარჯიშობა: ფეხსაცმლის საკერავ გაცვილულ ძაფის დამზადება. სავარჯიშო მასალა: ძაფი, მერაცხი, ცვილი და ჩვარი. ძაფის ხელზედ (თითზე) ამოხვევა და მერაცხში გამოხარშვა, ძაფის ცვილით გაგლინვა, ჩვარის გამოყენება. ძუის ჩასადგმელად ბოლოს მომზადება, ჯაგრის ჩაწვნა. შემოწმება თუ რამდენად სწორად არის ჩაწნული ძაფის ბოლოში ჯაგრის ღერო.

### 4. მაგარი სალანჩე საქონელი (10 საათი)

მაგარი სალანჩე საქონლის გამომუშავება. რა მოთხოვნილებებს უნდა აკმაყოფილებდეს მაგარი ლანჩა: სიმაგრის, სისქისა და მოქნილობის მხრივ. დახროკილი ლანჩი—მსუბუქი, საშუალოდ მსუბუქი, მძიმე, განსაკუთრებულად მძიმე.

სალანჩე საქონლის თვისებები.

სალანჩე კრიალა ტყავის მცენარეული მოთრიმლულის გამორკვევა, კლასიფიკაცია, ტექნიკური პირობები, ხარისხი.

ბიწები—მანკები: ნახვრეტები, ღრმა ჩანაჭერები, ღრმა კაწრები, ღრმა ამოღრუტნები, შეზდილი ნუქრები, ნამიანობა, ნაწიბური, გრეხადობა, ხვევადობა, ქერცლიანობა.

შიდა ლანჩისათვის გამორთვილული ტყავის კლასიფიკაცია, ტექნიკური პირობები, ხარისხები (გარეგანი სახე, წონა და ხარისხი).

### 5. საშიდალანჩის, სალანჩის, საქუსრების, ქუსლსაკრავის, ცხვირსამაგრის დამზადება (12 საათი)

ფეხსაცმლის ქვედა ნაწილის წინასწარი შემზადება. ხმელი საქონლის დასველება. ჩაქუჩით დაბეგვა. შიდალანჩის სისქე, თვისება და დამზადების ხერხები. შიდალანჩის სახეები: სილურსმნე, სარანტე და ამოსაბრუნებელი. საქუსარები. საქუსრების მიკერება—დაგვირისტება. საქუსარიწ სიმაღლე.

**ვარჯიშობა:** ხელით დაგვირისტება (სავარჯიშო მასალა, საღვინო, დანა, ჩაქუჩი). ქეჩისაგან დამზადებულ ფეხსაცმელების გამოკვრება. ფეხსაცმელებზე ნაჭრების დაკრება. სწამო ჩვევების მიღობის შემდეგ საქუსარის დაგვირისტება და ცხვირსამაგრის დამზადება.

#### 6. ფეხსაცმელის ზომის აღება (5 საათს)

**ვარჯიშობა:** დაგვირისტება (სავარჯიშო მასალა, ტყავის ნაჭრები), დაგვირისტება ჩანაკერის გარეშე. ჩანაკერების დაგვირისტება, პირპირის დაგვირისტება, დაჭიმული და ფომფე ნაკერავთა დანიშნულება. ტყავში ძაფის დაფარვის ხერხი დაზიანებისაგან—გაცვეთისაგან დასაცავად. ნაჭრის კიდეების დამზადება დაგვირისტებისათვის. ხელით და მანქანით გაკეთებულ გვირისტ შორის განსხვავება.

#### 7. კალაპოტები (4 საათი)

კალაპოტის ფორმა. კალაპოტი ფეხის ზომის მიხედვით. კალაპოტის შევსება—ფეხის ზომის მიხედვით ტყავის ნაჭრის მიმაგრებით. კალაპოტის ძირის გადიდება. კალაპოტის და დანამზადის შეფარდებითი სიდიდე. ზომების გადატანა კალაპოტზე.

#### 8. მახალის დაქრა (20 საათი)

სავარჯიშო მასალა და იარაღები (ტყავის ნაჭრები, მუყაოს ნაჭრები, ფიცარი და დანა). დანის სწორი აღესვა. დანის აწყობა ერბოს ქვაზე და ტყავზე. წყლით სალესი ქვისა და ერბოს ქვის გამოყენების გაცნობა:—წყალი, ზეთი, მარილი. წრთობის და მოშვების ცნება. მშრალი და სველი ლესვა. დანის პირები, მათი ფორმა და სიგრძე. სწორი და მრუდი ქრისას დანის დაკავების წესი. ქრის დამოკიდებულება ფიცრის ზედაპირთან.

#### 9. ფეხსაცმელის შეკეთება (72 საათი)

ფეხსაცმელების გაცვეთის მიზნები. შეკეთების ხერხები.

**ვარჯიშობა:** სალანჩე ტყავის დამკვრივება. (მასალები და იარაღები) ტყავის დაღობის საჭიროება რა თვისებას იღებს, დამკვრივების აუცილებლობა, ფორმისა და სიდიდის შეცვლა, ჩაქუჩით დაბეგვილ და საგლინავში გაგლინულ მასალას შედარება:

#### 10. ლურსმნების ჩაქედვა (16 საათი)

(სავარჯიშო მასალა: ლურსმნები და ტყავი) ნაჭრების მიქედვა მიმაგრება ლანჩზე. ქუსლსაკრავის მიქედვა. რკინის და ხის ლურსმ-

ნები. მახვილი წვერი, გვერდის კედლები, ნახვრეტების აღნიშვნა სადგისით, სახვრეტის წვერის ფორმა, განივი კვეთილი, ლურსმნის სიმსხო, სიგრძე. ტყავის ზემო ლურსმნის მოჭრა, წვერის მოჭლონვა, რკინის ლურსმნების დასველება განსაკუთრებულ სითხეში.

11ა ვაგლილი მასალის აღრიცხვა—5-საათი

წლის ვიორი ნახვმპარი—160 საათი

### 11. ვარჯიშობა წლის პირველ ნახევარში ჩამოთვლილ ოპერაციების მიხედვით (30 საათი)

ნაჭრების მიკერება. ლანჩზე ნაჭრის დაკედება. საჭირო ფორმის მიხედვით დასაკერებელ ნაჭრის გამოჭრა. კიდეების გასწორება და გალამაზება.

### 12. კალოშების შეკეთება (40 საათი)

კალოშების შეკეთების სხვადასხვა სახეები. კალოშების შეკეთებისათვის მისი მომზადების პირობები: შესაკეთებელ ნაწილების წმინდათ და გულდასმით გაწმენდა, ბანჭვინით (ბენჭინით) გარეცხვა და გაშრობა, ნაჭრის კიდეების გათხელება. საწებავის წასმა და ყოველ წასმის შემდეგ გაშრობა. შესაერთებელი ნაწილების მიმაგრებისათვის დაწოლის ხანგრძლივობა.

ვარჯიშობა: წებვა: საქუსლე ნაჭრების შეერთება შეწებვით. შეუმჩნეველი (არა დიდი) ნაჭრების დაწებება დაზიანებულ ადგილებზე. წებო „ვენური“ ან „ბერლი“ რეზინისაგან დამზადებული წებო. ცელულოზისაგან გამზადებული წებო. მათი დამზადება და დაცვა დაობებისა და ამოშრობისაგან. პირობები კარგი შეწებვა-დაწებებისათვის.

### 13. ტყავი და მისი დათარგვა (84 საათი)

მასალის დამუშავება ნახევარწლის პერიოდში. საფეხსაცმელო წარმოებაში გამოსაყენებელი ტყავი. ტყავების სხვადასხვაობა: 1) ნედლეულის მიხედვით (გამოყენებული), 2) მოთრიმელის ხერხის მიხედვით და 3) ფეხსაცმელის სამკერვალო სახელოსნოში გამოყენების მიხედვით.

ტყავები ნედლეულის მიხედვით: თხის, ხბოს, ძროხის. ცხენის, ძაღლის და ა. შ.

ტყავები მოთრიმელის წესით: 1) ნახევრად ნედლეული, (რომელიც იხმარება მხოლოდ საუნაგირე საქმეში და არა ფეხსაცმლის

კერვის საქმეში), 2) წითლად მოთრიმლული ტყავები, 3) მოთრიმ-  
ლა ხრომის მისაღებად, 4) დაცვილვა, 5) დაშაბვა.

ტყავის ზედა პირი (გლუვი და სხვა) აბურცული (პუხლე) ვი. სქელი ტყავის ორად გაყოფა. ადგილობრივი ტყავებ-  
თვისება.

### საპირე და რბილი საქონელი

საერთო გამოკვლევა—კლასიფიკაცია: დამუშავების, ხარისხის და ფორმის მიხედვით. ტექნიკური პირობები (გარეგანი ხედი ფართობი, ხარისხი ან წონა). ჩატარდეს გამოკვლევა: ტენის ტყავისა, იუხტისა, ხრომისა, შვეროებისა (სხვადასხვა მარკისა).

ჩექების თარგი: ქვედა ნაწილი და ყელი.

ტყავის თითოეული ნაწილის თვისება.

მანკების ცხრილის გაცნობა. სალანჩე ტყავი. ლანჩის, ქუსლ-საკრავის, საქუსარის და შიდა ლანჩის გამძლეობის ხანგრძლივობა. დანამზადების გამძლეობის ხანგრძლივობა (წინა და უკანა ნაწილი).

### მაბარჩი ტყავების გამოკვრა (დათარგვა)

ფეხსაცმელის ქვედა ნაწილისათვის გამოსაყენებელ ტყავების გამოკ-  
რის (დათარგვა), მექანიზაცია. მექანიზირებულად გამოკრა-დათარგ-  
ვის დროს გამოსაყენებელი მანქანები: ტვიფრი და „პლაკტი“. სა-  
ლანჩე კომპლექტების გამოსაკრელი (გამოსათარგი) დანა. საქონლის დაზოგვა, ლანჩების გამოკრისას. საპირე საქონლის გამოკრა (და-  
თარგვა). ჩექმის თარგი (ქვედა ნაწილი და ყელი).

რეზინიანი ფეხსაცმელის და მისთვის განკუთვნილი მინაკერი, ქალის ფეხსაცმელისათვის „საიუსკები“, ქალის ფეხსაცმელის სა-  
ქუსარი, საიუსკები ზედნადებიან ცხვირით.

### ტყავიულ საქონლის გამოკვლევა

მიღებისას საქონლის დათვალიერება და შეზებით გასინჯვა. თქმულება: „ფეხსაცმელის მკერავენს თვალეზი თითზე აქვსო“. საპირე ტყავის სირბილე, სიფაქიზის და სიმკვრივის გამოკვლევა, განა-  
ქერზე სალანჩე ტყავის ვარგისიანობის გამოკვლევა. ტყავის გამოკ-  
ნობის განსაკუთრებული ხერხები და წესები.

### ტყავის ბიწები

ბიწების (მანკების) სახები: მანკები, რომელიც გამოწვეული იყო საქონლის სიცოცხლის დროს, გატყავებისას, ნედლეულის უპასუხის-



მგებლობით შენახვით, ტყავის გადამუშავებისას (გამოყვანა) და სწორი პროცესების გამოყენებით, ტყავის ვარგისიანობის (ხარისხის) გამოცნობის მიღება.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

#### 14. გავლილი მასალის აღრიცხვა (6 საათი)

სწავლების მიმართ წელი—320 საათი

პირველი ნაწივარწელი—160 საათი

##### 1. შესავალი მეცადინეობა (2 საათი)

მომავალი სასწავლო წლის ამოცანები და მუშაობის გეგმა. მოწაფეთა ორგანიზაცია მუშაობის ჩასატარებლად. ინსტრუქტაჟი მიმდინარე აღრიცხვიანობისა და დამოუკიდებლად წარმოებისათვის.

##### 2. შიდალანჩის დამზადება (28 საათი)

მასალა: საშიდალანჩე ტყავი. შიდალანჩის მნიშვნელობა ფეხსაცმელებისათვის. შიდალანჩის დამზადების სხვადასხვა წესები: 1) თარგის მიხედვით, 2) კალაპოტზედ გადაკიმვით, 3) გასწორების აუცილებლობა, 4) ქერცლის აცლა, 5) კიდეების დაცერებით ჩამოჭრა, 6) ლურსმნით და რანტით შესაკერავ ფეხსაცმელებისათვის საშიდალანჩე ტყავის სხვადასხვაობა. მასალის ხარისხი. შინა და ფოლადის ფირფიტა. ტვიფრის გაცნობა.

##### 3. საქუსარის და ხეშეში ცხვირის დამზადება (20 საათი)

(ცხვირის ქვესადები მასალა. საქუსარის ტყავი). ფეხსაცმელისათვის საქუსარის მნიშვნელობა. ანათლების (დაშვების) აუცილებლობა. სხვადასხვა ადგილის ანათლის დონე. შინით ფხეკა. საქუსარის ქვედაწრის განსაკუთრებული მნიშვნელობა საქუსარის გამაგრება გამობეგვით ან ნაკრების ჩადგმით. საქუსარის კიდეები როგორც ფეხსაცმელის ფორმის შემანარჩუნებელი, ფეხსაცმელის ცხვირის ქვესადების მიმაგრების სხვადასხვა ხერხები.

##### 4. საქუსარის ჩადგმა დანამზადში (6 საათი)

მასალა: დანამზადები, დამზადებული საქუსრები და წებო.

##### 5. შიდალანჩის ჩაკერება (20 საათი)

(მასალა და იარაღი: გადაკიმული ფეხსაცმელი, სადგისი, დამზადებული ძაფი) მიკერების სხვადასხვა წესი. შიდალანჩის მიკერება

გვერდების ჩაგვირისტებით, მიკერება „ნოსკით“. შიდალანჩში სადგისით გაკეთებულ ხერვლების კონტური. საშიდალანჩე სადგისი, მისი მოხრილობა; სახერვტი წვერი, კვეთი, (განატების ხედი). სადგისის სიმსხოსთან შეფარდება. შიდალანჩის მიკერება არის ვადჭინვის გაგრძელება. შიდალანჩის ლურსმნით (ტექსით) მიმაგრების გაცნობა.

#### 6. დაფენადება და ამოვსება—გელენჩიკი (16 საათი)

მასალები: (ლაფანი, ქეჩა, ტყავის ნაქრები, ფისი, საცობის მასალიდან გაკეთებული შიდალანჩი და წებო) დაფენადების და ამოვსების მნიშვნელობა. მასალათა ხარისხის შედარება. ათლის, დაშვების აუცილებლობა. საფენების და ამოსავსებების ფორმა. მათი გულდასმითი მიმაგრების აუცილებლობა.

#### 7. ლანჩის დამზადება და მორგება (16 საათი)

მასალა: (სალანჩე ტყავი და თარგი) იგივე რაც ნათქვამია შიდალანჩის დამზადება და მორგების შესახებ (მეორე თავი) ლანჩის ამოზურთვის აუცილებლობა, რომ ლანჩს მიეცეს ნავისებური ხედი, რომ კიდები მჭიდროდ მიეკრას გადაჭიმულ ფეხსაცმელის კიდებს. მორგებულ-მოხაზულ კიდების მიმაგრების ორი ხერხი, მათი შედარება. მოხაზულობის მომზადება.

#### 8. ქუსლის აწყობა და მისი ჩამოჭრა. (20 საათი)

მასალა და იარაღები: ტყავების ნაქრები ან „ფლიკები“, დამზადებული ქუსლი, წებო და ხის ლურსმნები.

ქუსლის დანიშნულება. „ფლიკები“ და ქუსსაკრავი. „ფლიკები“-ს ერთსახიანობა. „კრონცევი ფლიკი“, „კრანეც“. მისი მნიშვნელობა, დამზადება და მიმაგრება. „ფლიკების“ სილამე, შემჭიდროება, ქუსლის აწყობის სხვადასხვა ხერხები. საქუსლე წნეხი.

#### 9. მანქანით დაგვირისტება (20 საათი)

მასალა: (ტყავის ნაქრები). მანქანაზე სახმარ დაფების გაცნობა. დაფის შეფარდება ნემსების ნომრებთან. ნემსის მახვილი ნაწილი. მასალის მიხედვით ნაკერის სიხშირე. დაფის დაჭიმვა. საკერავი მანქანის გაცნობა. ნემსის ჩადგმა. დაჭიმვის რეგულირება და ნაკერის სიხშირე. „ტრანსპორტების“ რეგულირება—მანქანის წმენდა.



**10. ტყავის კედლების ათლა (დაშვება) და გადაღუნვა (10 საათი)**

მასალა (ტყავის ნაჭრები). დაშვების (ათლის) და კიდების გადაღუნვის დანიშნულება. საწებავის სხვადასხვა სახეები (მოხარშული წებო, ცივი ხერხით დამზადებული წებო) რეზინიდან დამზადებული წებო. ცელულოზიდან დამზადებული წებო. საწებავების დამზადების ხერხები.

**11. დაწებვა (8 საათი).**

მასალა: (დანამზადებისათვის დამზადებული ნაწილი). ნაწილებზე აღნიშვნის გაცნობა.

**12. გადაჭიმვა (30 საათი)**

მასალა და იარაღები: დანამზადი მიმაგრებულ საქუსარით, კალაპოტი, გადასაჭიმი მარწუხი. მნიშვნელობა და ადგილი პირველ შეხებისა მარწუხით გადაჭიმვის დროს. საქუსარის ნაკერის მიმაგრება კალაპოტზე. გადაჭიმვისას მარწუხით თანამიმდევრობითი შეხების მნიშვნელობა. გადაჭიმვისას ქუსლთან ტყავის მიბეგვა. დანამზადის გარუდება არა სწორი გადაჭიმვისაგან. ფეხსაცმელის შემოჭრა. ზედაპირის საქონლის შემონაჭერი და შიდალანჩის კიდები. მექანიკური გადაჭიმვა ტექსის (ლურსმნის) გამოყენებით.

**13. ლანჩის შემოჭრა (20 საათი)**

მასალა (ლანჩმიმაგრებული ფეხსაცმელი). შიდალანჩის ოპერაციების მნიშვნელობა. ლანჩის და შიდალანჩის კონტურის შეფარდება. მინდვრულ მხარის თავისებურება. ლანჩის შემოჭრა ფეხის შუაგულიდან და გადასვლა ბოლოზე. მოჭრა რქის დახმარებით. მახვილი დანის მნიშვნელობა.

**14. ფეხსაცმელის გალამაზება (დამუშავება) (25 საათი)**

წმენდა მინით, მინჭაფით, შავი ცვილით გაგლისვა, გაკრიალება, ჩანაჭრები ქუსლში, რანტის დამჩნევა.

მასალა და იარაღები: (მზა ფეხსაცმელი დასამშვენებლად გამზადებული უთო „ფუმელი“.) ზემო ჩამოთვლილ ოპერაციების მნიშვნე-

ლობა. ცვლის გამოცლა, უთოს (ფუმელის) გაცხელების დონე. უთოს პროფილი, მისი სიდიდე.



**15. ფეხსაცმელების დამზადება ზემომოყვანილ ოპერაციების გამოყენებით (63 საათი)**

მასალები: მოხელის მითითებებით სხვადასხვა საგნები—ბავშვების. მიერ გაეღილი მასალის შეთვისების მიხედვით.

**16. გავლილი მასალის აღრიცხვა (4 საათი)**

სწავლების მისამდე ფილი—320 საათი  
წლის პირველნახევრისა—160 საათი

**1. შესავალი მეცადინეობა (2 საათი)**

მომავალი მეცადინეობის გეგმა და ამოცანები. მუშაობის თავისებურება სწავლის შესამდე წელს. მასალები კვალიფიკაციის დახასიათება, მოთხოვნებიანი კვალიფიკაციის მისაღებად.

**ფეხსაცმელის შეკერვა**

**2. საპირეს დამზადება (38 საათი)**

საპირეს დამზადების დეტალური გაცნობა. დანამზადები: გადაჭიმული ან მორგებული და დათარგული დანამზადებზე მუშაობის (პროცესი) დაშვება. გაწებვა, გადაღუნვა და კანტების მიკალაპოტება. 2) ცალკეულ ნაწილების მიკერება მანქანით. დათარგულ დანამზადების ნაწილების შეერთება შტიბლეტები (საცვეთები) რეზინაზე.

**3. ჩექმის დანამზადი (20 საათი)**

ჩექმის დანამზადის შემადგენლობა: საჭიმი, სარჩული, გამოსაწები და ორი ყუნწი. საყელზე გამოსაწების (სარჩულის) მიკერება. უკანა კანტი და საქუსარი, გადაჭიმვა. შიდალანჩის მიკერება. დაკალაპოტება. საფენი და ამოსავსები („გოლენჩიკი“).

**4. ლანჩის მიმაგრება (50 საათი)**

(გადაჭიმული ფეხსაცმელი დამაგრებულ ლანჩით) ლანჩის მიმაგრების სხვადასხვა ხერხები: ხის, სპილენძის და რკინის ლურსმნებით. შიდალანჩის და ლანჩის მიკერება გამტანი ნაკერით. შიდალანჩის კიდეებზე მიმაგრებულ რანტის მიგვირისტება. მიმაგრება ამობრუნებულ ნაკერით. ლანჩის მიკერება დანამზადზე (შიდალანჩის გარეშე

სანდალური, წულური ხერხები). ლანჩის მიმაგრება დანამზადთან და შიდალანჩზე განსაკუთრებულ წებოთი. თითოეულ ზემოთ ჩანათ-  
ვლილ ლანჩის მიმაგრების ხერხების უარყოფითი და ეფექტური  
მხარეები. ყველაზე გავრცელებული ხერხი ლანჩის მისამგრებლად  
(ხის ლურსმნებით).

#### 5. ფეხის ზომის აღება (14 საათი)

ფეხი და საზომი (სანტიმეტრი). გასაზომი ადგილები და ზომის  
აღება. ფეხის ფორმის მდგომარეობის მიხედვით ზომის შეცვლა. სა-  
ზომის დაჭიმვა ზომის აღებისას. ფეხის კონტური და ფეხის ლანჩის  
შემოხაზვა.

#### 6. მოდელირება (32 საათი)

(გავლილი იქნება წლის ნახევარში) მუყაოს და სახაზავის მოწყო-  
ბილობანი. მოდელის მნიშვნელობა. მოდელის სისწორე. მოდელის  
სილამაზე. მოდელის დამზადების ხერხები. კუთხეების გასაზომი  
და ასაგები მოწყობილობანი. სწორი კუთხის აგების შესწავლა. თარ-  
ვი კუთხეების ასაგებად. კუთხეების აგების შესწავლა. კუთხეების  
აგება  $42^{\circ}$ — $70^{\circ}$  კუსლის და თითების წერტილზე. ძირითადი მოდე-  
ლები, საკალაპოტე და გამოსათარგი სამოდელო მასალა. მოდელის  
კედლების დამაგრება მოდელის დაარსება. ძირითადი მოდელის  
დანაწილება.

#### 7. გავლილი მახალის აღრიცხვა (4 საათი)

მეორე ნახევარწელი—160 საათი

#### 7. გამოჭრა (22 საათი)

საპირე რყავისა და საქონლის ხარისხების გაცნობა. დანამზადის  
გამოსაჭრელი დანა. გამოჭრის წესები. დანამზადის გამოსაჭრელად  
საჭირო ფიცარი—რა მასალისაგან კეთდება ეს ფიცარი, მისი გამძლეო-  
ბა. ფიცრის დაცვა დაზიანებისაგან.

#### 8. ფეხსაცმელების სპეციალური სახეები (12 საათი)

(გავლილი უნდა იქნას ნახევარი წლის განმავლობაში).

#### ს ა ნ დ ლ ე ბ ი

სანდლების თავისებურება, სანდლის დამზადება სასწავლო იუზ-  
ტიდან. დანამზადის წინა ნაწილის დახვრეტა—დახვრეტა (სილამაზი-  
სათვის) სასანდლე კალაპოტი.



მუშაობის თავისებურება. განსაკუთრებული წებოს დამყადება შეწებების ხერხი. მტკიცე შეწებვის პირობები, შესაწებ ტყავის ნაჭრები უნდა იქნეს მშრალი, არ უნდა იქნეს გაქლენთილი ცვილით, შესაწები ნაჭრების მთელი ზედაპირი უნდა იქნეს აჩეჩილი და ერთმანეთზე დადებისას, მაგრად დაჭერილი ნახევარი საათის განმავლობაში მაინც. მისაწებ ნაწილების ერთმანეთზედ მისამაგრებელი მოწყობილობა (წნები და ბალიში).

### სასპორტო ფეხსაცმელები

სასპორტო ფეხსაცმელის თავისებურება. მთებზე სასიარულო ფეხსაცმელი დასრიალების და საღანჩე ტყავის დაზიანებიდან დასაცავად გამოსაყენებელი ლურსმნები. „ბუცი“ ფეხსაცმელის (ფეხბურთის თამაშისას) მოთხოვნილება, რომელიც წაყენებული აქვს ბუცებს (აუცილებელია ფეხსაცმელი იყოს ფეხზედ კარგად მორგებულ, უნდა იყოს მოქნილი, არ უჭერდეს ფეხზე, სირბილს არ უშლიდეს, ბურთზე ფეხის დარტყმისას აიცილოს ფეხის დაზიანება და გასრიალება, რისთვისაც საჭიროა ლანჩზე განსაკუთრებული ზომის მრგვალად მოქრილ ტყავის ნაჭრების დაკედება.

„კანკების“ ტენისის, ვალებოლის და სხვა სასპორტო ვარჯიშობისას გამოსაყენებელი ფეხსაცმელები და მათი თავისებურება.

9. სახელოსნოში ორგანიზაციისა და მუშაობის დაწესების რაციონალიზაცია (10 საათი).

10. საკვალიფიკაციო გამოცდები (10 საათი)

საფეხსაცმლო სახელოსნოში საქროგრამო მასალის განაწილება



ეროვნული  
განათლების  
მინისტრის  
შეიძლება  
დამზადდეს

1	2	სამუშაო საათ.				7
		ს	მათ შორის			
			საუბარო	ვარჯიში	წარმუშ.	
		3	4	5	6	

საქროგრამო მასალა

სწავლების პირველი წელი—320 ს.  
წლის პირველი ნახევარი 160 ს.

1. ნაჭრის დაკერება.
2. ქუსლოს გასწორება
3. ლანჩხე ნაჭრის დადგება (დამაგრება).

1	შესავალი მეცადინეობა . . . . .	2	2	—	—
2	ფეხსაცმელების საკერავე იარაღები	8	4	4	—
3	ფეხსაცმელის საკერავე გაცივლული ძაფი	6	3	3	—
4	მაგარი სალანჩე საქონელი . . . . .	10	5	5	—
5	საშილადალანჩის, ლანჩის, საქუსარის, ქუსსაკრავის, ცხვირსამაგრის დამზადება	12	6	6	—
6	ფეხსაცმელის შესაკრავად ზომის აღება	5	1	4	—
7	კალაპოტებო . . . . .	4	1	3	—
8	საქონლის დაჭრა . . . . .	20	3	—	17
9	ფეხსაცმელის შეკეთება . . . . .	72	10	—	62
10	ლურსმანის ჩაჭდვა . . . . .	16	2	—	14
11	გავლილი მასალის აღრიცხვა . . . . .	5	5	—	—

ს უ ლ . . . 160 42 25 98

წლის მეორე ნახევარი—180 ს.

1. რთული შეკეთების შესრულება.
2. საბ. სახლის შეკეთები (პროგრამის შესაბამისად).

1	ვარჯიშობა წლის პირველ ნახევარში ჩამოთვლილ ოპერაციების მიხედვით . . . . .	30	2	—	28
2	კალაპოტების შეკეთება . . . . .	40	4	—	36
3	ტყავი და მისი დათარგვა . . . . .	84	4	10	70
4	გავლილი მასალის აღრიცხვა . . . . .	6	6	—	—

ს უ ლ . . . 160 16 10 134



ეროვნული  
 შტატის სტატისტიკის  
 დაშლადგეს

სამუშაო საათ.

მათ შორის

საპროგრამო მასალა

1	2	სამუშაო საათ.				7
		ს უ ლ	საუბარი	ვარჯიში	წარმ. მუშ.	

<b>სწავლების მეორე წელი — 320 ს.</b>						
<b>წლის პირველი ნახევარი — 160 ს.</b>						
1	შესავალი შეცადინება . . . . .	2	2	—	—	
2	შიდალანჩის დამზადება . . . . .	28	2	6	20	
3	საქუსარის და ხეშეში ცხვირის დაზადება . . . . .	20	2	4	14	
4	საქუსარის ჩადგმა დანამზ.დში . . . . .	6	2	4	—	
5	შიდალანჩის ჩაკეცება . . . . .	20	4	6	10	
6	დაფენადება და ამოვსება . . . . .	16	2	4	10	
7	ლანჩის დამზადება და მორგება . . . . .	1	2	14	10	
8	ქუსლის აწყობა და მისი ჩამოჭრა მანქანით დაგვირისტება . . . . .	20	3	4	13	
9	მანქანით დაგვირისტება . . . . .	26	3	10	13	
10	გველილი მასალის აღრიცხვა . . . . .	6	6	—	—	

1. მთლიანი ლანჩის გამოცვლა.
2. ახალი ქუსლის გაკეთება.
3. საბ. სახლის შეკეთებები (პროგრამის შესაბამისად)
4. შიდალანჩის ჩაკეთება.
5. მანქანით დაგვირისტება.

ს უ ლ . .

160 28 42 90

**წლის მეორე ნახევარი — 160 ს.**

<b>ტყავის კედლების ათლა (დაშვ.) და გაღუნვა . . . . .</b>		10	3	7	—	
1	დაწებვა . . . . .	8	2	6	—	
2	გადაჭიჭა . . . . .	30	4	6	20	
3	ლანჩის შემოჭრა . . . . .	20	2	6	12	
4	ფეხსაცმელის გალანახება (დამშეხება) . . . . .	25	2	4	19	
5	ფეხსაცმელების დანახება ხემოსოყვანილ ოპერაციების გამოყენებით . . . . .	63	4	—	59	
6	გველილი მასალის აღრიცხვა . . . . .	4	4	—	—	

1. ახალი უბრალო ფეხსაცმელის შეკრვა.
2. საბ. სახლის დაკეთების შესრულება (პროგრამის შესაბამისად).

ს უ ლ . .

160 21 29 110





საპროგრამო მასალა		სამუშაო საათ.				7
		მათ შორის				
		ს უ ლ	საუბარი	ვარჯიში	წარმუშ.	
1	2	3	4	5	6	7

**სწავლების მესამე წელი — 320 ს**  
**წლის მეორე ნახევარი — 160 ს.**

1	შესავალი მეკადინეობა . . . . .	2	2	—	—
2	საპირეს დამზადება . . . . .	38	4	—	34
3	ჩეკვის დანაზღაღი . . . . .	20	2	—	18
4	ღანნის მიმაგრება . . . . .	50	2	—	48
5	ფუნ-ს ზომის აღება . . . . .	14	4	10	—
6	მოდელირება . . . . .	32	4	28	—
7	გავლილი მასალის აღრიცხვა . . . . .	4	4	—	—
<b>ს უ ლ . .</b>		<b>160</b>	<b>22</b>	<b>38</b>	<b>100</b>

1. მთლიანი ღანნის გამოცვლა.
2. ახალი ქუსლის გაკეთება.
3. საბ. სახლის შეკეთები (პროგრამის შესაბამისად).

**წლის მეორე ნახევარი — 160 ს.**

1	გამოტრა . . . . .	22	2	6	14
2	ფესხაცმელების სპეციალური სახეები . . . . .	128	6	20	102
3	სახელოსნოში ორგანიზაციული ფორმის და მუშაობის წესების რაციონალიზაცია . . . . .	5	5	—	—
4	საკვალაფიკაციო გამოცდები . . . . .	5	5	—	—
<b>ს უ ლ . .</b>		<b>160</b>	<b>18</b>	<b>26</b>	<b>116</b>

სულ სამი წლის განმავლობაში — 960 საათი.

# პ რ ო ბ რ ა ე მ ა

## საზეინკლო საძმისა

სწავლების პირველი წელი—320—საათი

პირველი ნახევარწელი—160—საათი

### 1. შესავალი მეცადინეობა (2—საათი)

სახელოსნოში სამუშაოდ ჯგუფის ორგანიზაცია: მოწაფეთა განაწილება სამუშაო ადგილებზე, ჯგუფის მაპასახლისის გამოყოფა, მორიგეობის განრიგების დაწესება სახელოსნოში, ყოფაქცევის წესების გაცნობა (ორგანიზებულად მოსვლა, მასალი, შენახვა, იარაღების აღაგება და გაცემა. მოწაფეთა ნამუშევრების მიღება და გაცემა, მოწყობილობისადმი ფრთხილი მოპყრობა), მორიგეების ვალდებულებანი.

სამუშაო ადგილის გაცნობა: საზეინკლო გირაგების აღნაგობა და დანიშნულება, იარაღების დანიშნულებანი და სახელწოდება, სამუშაო ადგილის მოვლის წესი.

გათვალისწინებულ სამუშაოთა შინაარსის გაცნობა.

### 2. სიბრტყის ქლიბვა და ჭრა გირაგის ტუჩების დონეზე ვარჯიშობა (22—საათი)

სიბრტყის ქლიბვისა და გირაგის ტუჩების დონეზე პროცესების გაცნობა;

ა) სიბრტყის ქლიბვის პროცესის დანიშნულება, გამოყენებული დასამუშავებელი და დამამუშავებელი იარაღები (ბრტყელი გლუვი და საგლეჯი ქლიბები და საკონტროლო მკუთხავი, შემოწმებელი სახაზავი). ხსენებული იარაღების სახელწოდების და დანიშნულების შეთვისება. სიბრტყეების ქლიბვის ხერხები: მასალის ჩამაგრება გირაგში, ქლიბის ხელში დაჭერა, სამუშაო პოზა, მოძრაობის კონსტრუქცია, მოძრაობის ტემპი, გაქლიბვის სისწორის, სიზუსტის შემოწმების ხერხები. მუშაობისას გამაფრთხილებელი ზომები. სიბრტყის დამუშავებისას ტიპური ნაკლოვანებანი. (კუზი, ამოღურტენა, დაფერდება) მათი გამორკვევა და გამოსწორება (2—საათი).

ბ) გირავები, გირავის ტუჩის დონეზე ჩამაგრებული მასალის კრის დანიშნულება, გამოსაყენებელი იარაღები (ჩაქუჩი, ლოჯი) მათი სახელწოდებისა და გამოყენების ათვისება.

გარეგნული

გირავები, გირავის ტუჩის დონეზე ჩამაგრებული მასალის კრის ხერხები. მასალის ჩამაგრება, ჩაქუჩის და ლოჯის ხელში დაქერა, სამუშაო პოზა. ჩაქუჩის დარტყმისას მოძრაობის კონსტრუქცია (მხარის, იდაყვისა და მტევნის თანამიმდევრობითი მუშაობა), ტემპები. ძლიერი და მსუბუქი დარტყმა, თვალზომითი კონტროლი კრის დროს, სამუშაო ადგილის ორგანიზაცია, მუშაობისას სიფრთხილის ზომები (2—საათი).

შენიშვნა: ჩამოკრის და გაქლიბვის ხერხების ათვისება ტარდება პარალელურად კრის და ქლიბვის შენაცვლებით შეცადინებაში.

ქლიბვისა და კრის ხერხები. დემონსტრაცია და ახსნა ხდება პრაქტიკული მუშაობის ჩატარებისას. შესწავლა უნდა დაიწყოს ქლიბვაში პირველი ვარჯიშობის შემდეგ.

### ვარჯიშობა ქლიბვასა და კრაში

#### ა) ვარჯიშობა ქლიბვაში

ხის ნაქრების გაქლიბვა სახაზავის ქვეშ დასამუშავებელი სიბრტყის განის თანდათანობითი შემცირებით. 180-დან 30 მ/მდის (5—საათი).

ლითონის ვიწრო წიბოებიდან ორი თხელი ფირფიტის (წინასწარ მათ შორის ხის თამასის ჩადგმით გაქლიბვა (2—საათი).

ლითონის ვიწრო გვერდიან ფირფიტების ფართო სიბრტყის ქლიბვა, ქლიბვის სისწორის შემოწმება, სახაზავის და მკუთხავის საშუალებით (2—საათი).

#### ბ) ვარჯიშობა კრაში

გირავში ჩამაგრებულ ხის ნაქერზე—ჩაქუჩის დაკვრა-მხარის იდაყვის და ხელის მტევნის ცალკეულ მოქნევით დარტყმაში.

გირავში ჩამაგრებულ ხის ნაქრებზე ლოჯზე ჩაქუჩის მხარული დაკვრა დამკველ საყელურით (2—საათი).

გირავში, გირავის ტუჩების დონეზე დამკველ საყელურით ჩამაგრებულ ლითონის ფირფიტების (2—3 მ/მ სისქის) ლოჯით კრა (10—საათი).

ლოჯით უსაყელუროთ გირავში ჩამაგრებულ ლითონის ნაქრის კრა.

**3. პარალელური ხიბრტყით შემოზღუდული დეტალებს დამუშავების  
აღნიშვნა სახაზავით და ქლიბვა მკუთხავის და კრონფარგლის  
ქვეშ. (30—საათი)**

პარალელური  
ხიბრტყით

სახაზავით აღნიშვნის ხერხების გაცნობა და შათი გამოყენება. სიბრტყეების მომზადება დათარგვის ჩასატარებლად. დაფარვა ცარციით, დასპილენძება შაბიამნიო. აღსანიშნავი იარაღები—კაწარა, მწერტავო, მათი დანიშნულება (2—საათი).

აღნიშვნის ხერხები: საკაწრით დახაზვა, ნახაზების დაწერტვა, აღნიშვნისათვის გამოსაყენებელ იარაღების და მასალების სახელწოდების და დანიშნულების შეთვისება (2—საათი).

დანამზადზე აღნიშვნების გაკეთებაში ვარჯიშობა მისი შემდგომი დამუშავებისათვის (6—საათი).

გარეგან სიდიდეების კრონფარგლით გაზომვისა და მხარეების პარალელურობის, მაშტაბური სახაზავით, შემოწმების ხერხების გაცნობა, სახაზავით გაზომვის ხერხები გასაზომ მასალაზე, მაშტაბის მიხედვით, ზომების კრონფარგლით გადატანა. კრონფარგლის გამოყენების წესები—გაზომვისას და მხარეთა პარალელურობის შემოწმებისას. სანიშნავ იარაღების სახელწოდების და დანიშნულების შესწავლა (4—საათი).

ვარჯიშობა გარეგან ზომების გაზომვისა და მხარეების პარალელურობის შემოწმებაში სამაშტაბო სახაზავის და კრონფარგლის გამოყენების საშუალებით (4—საათი).

საწარმოო მუშაობა. ნიმუშის მიხედვით ერთი-ორი პარალელური მართკუთხაწახნავიან ნაკეთობების დამზადება, მკუთხავის დანამზადი, გირავის ტუჩებში ჩასადგმელი, ფილაქანი შემოწმებისათვის და ხვრელის სახვრეტში გასაკეთებლად.

**4. მართვა და ჭრა ფილაქანზე (8—საათი)**

ფილაქანზე მართვის და ჭრის ხერხების გაცნობა. მართვის ხერხები და დანიშნულება. მუშაობის ხერხები და მუშაობისას სიფრთხილის ზომები. გრდემლისა და ფილაქანის გაცნობა. ფილაქანზე ჭრის თავისებურება და მისი გამოყენება. ფილაქანზე დასამუშავებელი მასალის ლოჯის ხელში დაკავება და მასალაზე მისი დაყენება. მრუდ და სწორხაზოვან ჩამოჭრისას ლოჯის გადანაცვლება, ჩაჭურჩის დარტყმის ძალის მოწესრიგება. მუშაობისას გამაფრთხილებელი ზომები. ახალი საწარმოო თერმინების შეთვისება. (4—საათი).

**5. ზერეტა-ჩალრუვება სახვრეტ დაზგაზე და მუშაობა გამშლელებით (10—საათი)**

სახვრეტი დაზგისა და სახვრეტების გაცნობა. სხვადასხვა სახეობის სახვრეტები. სახვრეტის ნაწილები, სახვრეტები ცილინდრისებური და კონუსისებური ბოლოებით. სახვრეტი დაზგა, მისი ძირითადი ნაწილები და მათი დანიშნულებანი და მოწყობა. სალრუები, მათი დანიშნულება და განსხვავება ფორმის და სიდიდის მიხედვით. ცილინდრისებური და კონუსისებური გამშლელები, მათი დანიშნულება. ახალი საწარმოო ტერმინების შეთვისება (4—საათი).

ხვრეტის და ჩალრუვების ხერხების გაცნობა. გასახვრეტ ადგილის დაწვრტვისას, კონუსისებური ბოლოებიან სახვრეტების ტრიალატარში და ცილინდრისებურ ბოლოებიან სახვრეტების ვახნაში ჩამაგრება, სიჩქარის რეგულირება. სახვრეტის ხელით მიწოდება, მასალის და სახვრეტის დიამეტრის მიხედვით მიწოდების სხვადასხვა სიჩქარე. მუშაობისას სახვრეტის გაცივება, ჩალრუვების ხერხები. ხელით ხვრელების გაშლის (გადიდების) ხერხები.

გამაფრთხილებელი ზომები და უშიშროების ტექნიკა სახვრეტ ჩარხზე მუშაობისას (2—საათი).

ხვრეტის და ჩალრუვების შეთვისების მიზნით ვარჯიში. წინა დამზადებულ ნივთზე (4—საათი).

**შენიშვნა:** ვარჯიში წარმოებს რიგრიგობით. ზერეტის და ჩალრუვების ჩვევების გახმტკიცება-გაუმჯობესება ხდება მიმდინარე მუშაობის პროცესში.

**6. წინახწარ დათარგულ არაპარალელურ წახნაგიან და უბრალო მრუდხაზოვან კონტურთან ნაკეთობათა დეტალების დამუშავება შაბლონებით დათარგვა (40—საათი).**

მრუდხაზოვან კონტურების დათარგვის და ქლიბვის ხერხების გაცნობა. თარგით აღნიშვნის ხერხები. მრუდხაზოვანი კონტურების გაქლიბვის თავისებურება. ქლიბების სხვადასხვა პროფილები, მათი დანიშნულება. დასამუშავებელ ზედაპირის მიხედვით ქლიბების შერჩევა. ახალი საწარმოო ტერმინების შეთვისება (2—საათი).

ვარჯიში ამოხნეკილ ზედაპირის აღნიშვნა-ქლიბვაში (2—საათი), ვარჯიშობა ჩახნეკილ ზედაპირის აღნიშვნა ქლიბვაში (2—საათი), საწარმოო მუშაობს დათარგული ნიმუშების მიხედვით, 2—3 ნაწარმის დამზადება, უხრწები თაროსათვის, საკიდებლებლების კაუჩები, სადურგლო საშალი ან და საბავშვო სახლის შეკვეთები (32—საათი).

7. საწარმოო მუშაობა წინაღ მიღებულ (შეთვისებულ) ჩვევების  
განმტკიცებისათვის (30 — საათი)



წინაღ შეთვისებულ ხერხების გამოვრება (გირაგებებში) ჩვევების  
ბით, ფილაქანზე—გაქლიბვა, აღნიშვნა, ხვრეტა (2—საათი).

ნაკეთობების დამზადება: ნიმუშების, ნახაზების და თარგის  
მიხედვით: ჩარჩოსათვის კუთხედები, თავებიანი საგმანები, სოლები  
იარაღებისათვის, ხერხის კბილების ვადასაყარი, საზეინკლო ჩაქუჩი,  
სადურგლო ჩაქუჩი, ან სხვადასხვა სახლების დაკვეთები (28—საათი).

8. ზედაპირის გლუვი ქლიბით და ხელით სახეხავი ზედაპირების  
დამუშავება (10—საათი)

გლუვი ქლიბისა და ხელით ხეხვის გაცნობა. გლუვი ქლიბების  
დანიშნულება, ამ ოპერაციის თავისებურება გაქლიბვასთან შედარე-  
ბით, ცარცის გამოყენება. ხეხვის დანიშნულება, ხეხვის წესი ხვერ-  
დისებური ქლიბით და ზუფარის ქალაღლით გასახეხ მასალის მი-  
ხედვით ქლიბების და ზუფარის ქალაღლის განსხვავება ნორმების  
მიხედვით.

სიბრტყეების და მრუდაზოვან ზედაპირების ხეხვის წესები, ახა-  
ლი საწარმოო ტერმინების შეთვისება (6—საათი).

ვარჯიში სახეხით და გლუვი ქლიბით, ზუფარის ქალაღლით გა-  
სუფთავება, ვაგლუვება (2—საათი).

9. ხერხუნათი ჭრა (5 საათი)

ხერხუნათი ჭრის ხერხების გაცნობა. ხერხუნათი ჭრის დანიშნუ-  
ლება და გამოყენება წარმოებაში. საზეინკლო ხერხუნის მოწყობი-  
ლობა. ხერხუნათი ჭრის პროცესის შედარება ქლიბვასთან.

მუშაობის ხერხები: მასალის ჩამაგრება, ხერხუნას ხელში დაკა-  
ვება, სამუშაო პოზა, სამუშაო და არა სამუშაო მოძრაობა, ტემ-  
პი, დაწოლის ძალის რეგულირება მასალის სისქესთან დაკავში-  
რებით.

საწარმოო მუშაობა. იარაღებისათვის რგოლების დამზადება მი-  
ლისაგან, საბავშვო სახლის შეკვეთის შესრულება (5—საათი).

10. გავლილი მასალის აღრიცხვა (8—საათი)

1. გირაგებში და სამართზე ღუნვის და მოქლონის გამოყენებით/ მუშაობის ჩატარება (40—საათი)

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მოქლონვა და გადაღუნვის წესების გაცნობა.

მოქლონვის გამოყენება და დანიშნულება. მოქლონვის შეერთების სახეები. ცხელი და ცივი ქლონვა ზედაპირის სისწორეზე და თავების გაკეთებით. მოქლონვით ნაწილების მკიდრო შეერთებისათვის საჭირო პირობები. როგორი უნდა იყოს მასალა მოქლონვისათვის? მოქლონვის სახეები და მათი ამორჩევა ფორმის და სიდიდის მიხედვით.

მოქლონვისას გამოსაყენებელი იარაღები.

მოქლონვის ილეთები: მასალის ჩამაგრება, თანმიმდევრობით მოქლონვა, დაჯდომა, დარტყმის ძალის რეგულირება, თავის შემკიდროება მოქლონვისას, დაშვებული შეცდომები და მათი აცილება. მოძრაობითი შეერთებისას მოქლონვის თავისებურება საზეინკლოში, ლითონის გადაღუნვის გამოყენების დანიშნულებაში.

მოღუნვისას გამოსაყენებელი იარაღები და მოწყობილობანი: გრდემლი, ფილაქანი, სამართი, ხელის გირაგები, ბლაგეტუჩა და მრგვალტუჩა. სხედასხვა პროფილიან ლითონის გირაგში და სამართზე მოღუნვის ხერხები, მუშაობისას გამაფრთხილებელი ზომები. ახალი საწარმოო ტერმინების შეთვისება (2—საათი).

ვარჯიშობა ღუნვაში და ქლიბვაში (2—საათი).

წარმოებითი მუშაობა, 2—3 ნაკეთობათა დამზადება ნახაზებისა და ნიმუშის დათარგვით: ბუენები ზოლოვან ლითონისაგან, ზედაღვარი ზოლოვან ლითონისაგან, ანჯამები, კარების სარაზი, ყუთის სახელური, ფანჯრის კავები. საბავშვო ფოცხი, კრონფარგალი. საბავშვო სახლის შეკვეთები (39—საათი).

2. მუშაობა ხრახნების მოხრახნვაში ხელით ხახმარ ქანჩმკრელის და გამხრახნის გამოყენებით (35—საათი)

ხრახნით გამოხრახნის ხერხების გაცნობა. გამოხრახნულ ხრახნის დანიშნულება (შეერთებისათვის, მოძრაობის გადასაცემად) გარეგანი კუთხვილი, ხრახნი, ქანჩი და შიდა კუთხვილი (ქანჭიკი). ხრახნული კუთხვილის განსხვავება პროფილის მიხედვით (სამუშახნავოვანი, რტყელა). კუთხვილების მკრელი იარაღები: ქანჩმკრელი, გამხრახნი, სახრახნო დაფა, კლუბები - მათი მოწყობილობა და გამოყენება. ქანჩმკრელების და გამხრახნების პირობითი ნიშნები. კუთხვილების საზომი, მისი მოწყობილობა და მისი გამოყენების წესი.

შიდა და გარეგან კუთხვილების მოხრახნის ხერხები ტამბულის მიხედვით, ღეროების და ხვრელების დიამეტრის შემოწმება, ხრახნის და ქანჩის მოხრახნის თანმიმდევრობა. ხრახნის და ხვრელების მოყენება. მუშაობისას გამაფრთხილებელი ზომები, სამუშაოს შესრულების კონტროლი. ახალი საწარმოო ტერმინების შეთვისება (2—საათი),

ვარჯიშობა შიდა და გარეგან კუთხვილების მოხრახნაში—ძველი ქანჩების და ქანჭიკების აღდგენა (2—საათი).

საწარმოო მუშაობა. 2—3 ნაკეთობათა დამზადება. ქანჩი ოთხკუთხა ქანჭიკით, ხრახნიანი მუხრუჭი, ორ ხრახნიანი მუხრუჭი, საზეინკლო ბეწვეხერხას ჩარჩო, ან საბავშვო სახლის შეკვეთები (31—საათი).

### 3. ღოჯით და ჯვარღოჯით ხაზზე ჭრა (8 - საათი)

ჯვარღოჯით ხეზე ჭრის გაცნობა. ჯვარღოჯის დანიშნულება და გამოყენება, ჯვარღოჯით ფართო ზედაპირზე, საკისურებზე და ღერძებზე თხრილის ჭრა. სწორ და მრუდ ხაზებზე ღოჯის ჭრის ილეთები. ფართო ზედაპირის ჭრა ღოჯით და ჯვარღოჯით. ღოჯის და ჯვარღოჯის პირის გამახვილების სხვადასხვა კუთხეები—იმის მიხედვით თუ რა თვისების მასალა არის დასამუშავებელი (2—საათი).

ვარჯიშობა ფართო ზედაპირზე ღოჯით და ჯვარღოჯით თხრილის ჭრაში (4—საათი).

საწარმოო მუშაობა მასალის დამზადება შემდგომ მუშაობისათვის (2 - საათი).

### 4. ღოჯის და ჯვარღოჯის გაღებვა (4—საათი)

სალესი ჩარხების და ლესვის ხერხების გაცნობა: სალესი ჩარხის მოწყობილობა, სალესი ქვების განსხვავება მათი მარცვლიანობის, მათი სიმაგრის, მასალის და შეკავშირების მიხედვით. სალესი ქვით, როგორც მჭრელი იარაღით მუშაობა. ღოჯის და ჯვარღოჯის გაღების ხერხები. სალესი ჩარხის გაჩერება და გაშვება, ღოჯის და ჯვარღოჯის დაყენება საჭირო კუთხის მიხედვით. ლესვა მიმმართავის დახმარებით ან ხელის ვასალესი იარაღის ლესვისას იარაღის გაცივება ნაწრთობის მოშვების აცილების მიზნით, თარგის გამოყენებით განალესი კუთხის ვაზომვა. სალეს ჩარხზე მუშაობისას გამაფრთხილებელი ზომები. ახალ საწარმოო ტერმინების შეთვისება (2—საათი).



ვარჯიშობა, ლოჯის და ჯვარლოჯის სალეს ჩარხზე ლესეში  
პირის აწყობაში სალესაგ ბელაკზე (2—საათი).

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

**5. ნახაზის მიხედვით ზედაპირის აღნიშვნა (19—საათი)**

ნახაზის მიხედვით ზედაპირზე აღნიშვნის ხერხები. საშუალო ნახაზი, როგორც დოკუმენტი, რომლის საშუალებითაც ირკვევა ნაკეთობათა ნაწილების ზომები და მათი დამუშავების მოთხოვნილება. საშუალო ნახაზის კითხვა; უწყვეტი და წყვეტილი ხაზები, მათი დანიშნულება, სახაზზე ზომების აღნიშვნა, კუთხეების აღნიშვნა, დიამეტრების, მომრგვალების რადიუსები, ზედაპირის დამუშავების დონე.

აღნიშვნის წესი და თანმიმდევრობა— მასალაზე პარალელურ და პერპენდიკულარულ ხაზების აგება, სხვადასხვა კუთხეების და მრუდხაზოვან კონტურების სახაზავის, მკუთხავის, კუთხსამართის ტრანსპორტირის და ფარგლის გამოყენებით. გასახვრეტი ხვრელის აღნიშვნა. შემდეგი დამუშავებისათვის მასალაზე აღნიშვნისას ზედმეტის დაშვება, მასალის დაზოგვის აღრიცხვა შემდგომი დამუშავებისათვის. სწორი აღნიშვნის შესრულების კონტროლი. ახალი ტექნიკური ტერმინების შეთვისება (2—საათი). ქალაღის, შემდეგ მასალის ზედაპირზე, ნახაზის მიხედვით, ვარჯიშობა აღნიშვნაში (8—საათი).

**6. ქლიბვა ნახაზის მიხედვით კრონფარგლის გამოყენებით. 0,6 მ/მ სიზუსტით (30—საათი)**

საწარმოო მუშაობა ნახაზების მიხედვით ნაკეთობათა დამზადება, ზუსტად დამუშავება ძირითად ზომებზე—0,5 მ/მ დაცვით, მაგალითად, უბრალო კუთხსამართი, შესამოწმებელი სახაზავი, სახეინკლო მკუთხავი ან საბავშვო სახლის შეკვეთები. (36—საათი).

**7. მუშაობა ფართო მრუდხაზოვანი ზედაპირის აღნიშვნაში და დამუშავებაში (29 საათი)**

რთული კონტურების, მრუდხაზოვანი ზედაპირებიან განლაგებულ სხვადასხვა კუთხეებით, დამუშავების თვითმიმდინარეობა. დამუშავების სისწორის კონტროლი თარგების საშუალებით, თარგების დაზადებას და გამოყენების ხერხები. მასიურ ნაწარმთა კონტროლის და დაწუნების ტექნიკის ცოდნა. ახალი წარმოებითი ტერმინის შეთვისება (1—საათი).

ვარჯიშობა ფართო მრუდხაზოვან კონტურების გაქლიბვაში (2—საათი).

საწარმოო მუშაობა: ქლიბის საშუალებით თარგების და ნახაზების მიხედვით, საზეინკლო მრგვალყუიან ჩაქურების დამზადება ან საბავშვო სახლის შეკვეთები (25-საათი).

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

8. გავლილი მასალის შეთვისების აღრიცხვა (4-საათი)

სწავლების მეთოდი წელი—320 საათი

წლის პირველი ნახევარი—160 საათი

1. შეხავალი მეცადინეობა (2-საათი)

სასწავლო წლის პირველ ნახევრის სამუშაო გეგმის გაცნობა. სასწავლო ჯგუფის მუშაობის ორგანიზაცია: მამასახლისის არჩევა, მორიგეობის განაწილება, მორიგეს ვალდებულებათა განმეორება. იარაღების შემოწმება და წესრიგში მოყვანა, მომუშავეთა სამუშაო ადგილებზე მიმაგრება.

ინსტრუქტაჟი, მიცემული სამუშაოს შესრულებისათვის, დამოუკიდებლად გეგმის შედგენაში და აღრიცხვიანობის ჩატარებაში.

2. მუშაობა სახარატო დაზღაფე: მიწოდების საშუალებით ცილინდრისებური ფიგურების გამოხარატება დიქრა (16-საათი).

სახარატო დაზღის და მათე პირველდაწყებითი მუშაობის ხერხების გაცნობა, სახარატო დაზღის დანიშნულება, მისი ძირითადი ნაწილები, მათი მოწყობილობა. დანიშნულება და ურთიერთშორის მოქმედება. (წინა კუტი, უკანა კუტი, სუპორტი, ამძრავი მექანიზმი, ტანი, სადგარი) სახარატო მქრელები-მომქრელი და გამტანი, მათი განსხვავება ფორმის მიხედვით. სახარატო დაზღის გაშვება და გაჩერება. ტრიალტარის და წინა კუტის მოძრაობის სიჩქარის ცვალებადობა, ლვედის შეკივზე ვადანაცვლებით, ჩამრთავით და სიჩქარის ყუთის დახმარებით. (2-საათი).

ვაზნაში მასალის ჩამაგრება, დაცენტრირება და ცენტრში დაყენება. სუპორტზე მქრელის დაყენება და დამყარება, ხელით სუპორტის განივი გასწვრივი მიწოდება, კრის სიღრმის და მიწოდების რეგულირება. კრონფარგლის საშუალებით დამუშავების სიხუსტის შემოწმება. სახარატო დაზღის მოვლა. ახალი საწარმოო ტერმინების შეთვისება. (2-საათი).

შენიშვნა: სახარატო დაზღის და მათე პირველდაწყებითი მუშაობის ხერხების გაცნობა, ტარდება მთელ მომუშავე

ჯგუფთან ერთად. შემდგომი ვარჯიშობა და წარმოებითი მუშაობა მოწაფეთა მიერ სრულდება მთელი ნახევარწლის პერიოდში რიგრიგობით, შემდეგ ნახევარ წლებში ხარხზე მუშაობა ტარდება ამავე წესით.

ვარჯიშობა—სახარატო დაზღაზე პირველდაწყებითი ხერხებით მუშაობა: დაზვის გაშვება და გაჩერება, გამოთიშვა და ჩართვა, და ცენტრში მასალის ჩამაგრება, ხოლო სუპორტის განივი გასწვრივი მიწოდება, მჭრელის დაყენება, ხელით მოწოდების საშუალებით ცილინდრული ფიგურების გამოხარატება და ჭრა (4-საათი).

წარმოებითი მუშაობა. კრონფარგლის ქვეშ ცილინდრისებური გამოხარატება და ჭრა 0,5—1,0 მ/მ სიზუსტით—დამზადება გირაგების ღეროებისა სახელურებისათვის, დანამზადები ქანკიკებისათვის. და ა.შ (12-საათი).

მ. შეთვისებულ საწარმოო ჩვევათა გასამტკიცებლად და მეტი შეთვისების მიზნით პრაქტიკული მუშაობის ჩატარება (48-საათი)

მუშაობის აგეგმვის გაცნობა. კარგად მოფიქრებულ გეგმის მნიშვნელობა, ნაკეთობის დასამზადებლად გეგმის ფორმა, თანმომღვერობითი გეგმის შედგენა. დასახულ სამუშაოს შესრულება, დაგეგმვა (3-საათი)

წარმოებითი მუშაობა: 1-2 ნივთის დამზადება ნიმუშის და ნახაზის მიხედვით, (რომელიც იქნება შედგენილი მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით) მაგალითად: გასაშალი საზეინკლო ხერხუნა, გასაშალი მუხრუქი, ბუნზენის შტატივი, ან საბავშვო სახლის შეკვეთები (45-საათი).

4. მუშაობა, რჩილვა თხელ ფურცლოვან ლითონების გამოყენებით (40-საათი)

თხელფურცლოვან ლითონზე მუშაობის პროცესების და ხერხების გაცნობა. თხელფურცლოვან დანამზადთა ტიპები და ვაჰოსაყენებელი მასალის ასორტიმენტი, შავი და მოთუთებული სხვადასხვა სისქის თუნუქი. შავი და თეთრი თუნუქი სხვადასხვა სიმკვრივისა და ფერადი ლითონების რტყელები. თხელფურცლოვან ლითონისაგან ნაკეთობის დამზადებისას შეერთების ძირითადი სახეები (ნაკერები, მოკლონვა, რჩილვა) დამუშავების ხერხები: მაკრატლით ჭრა, გადალუნვა, ამოტეხვა, სახვრეტით ნახვრეტების გაკეთება

(თხელფურცლოვან ლითონისაგან სამუშაოს შესრულებისას სახე-  
რი იარაღები და ჩარჩოიანდგარიანი მაკრატლები, ჩაქურჩები  
და ხვედები, სახვრეტები. გადალუნვიანი შეერთებისას ხედიან  
ხერხები თუნუქის დამუშავების ძირითადი ხერხები. მაკრატლით  
სწორ და მრუდ ხაზებზე ქრა, სამართებზე გადალუნვა, შეერთება  
და ორპაგი და უბრალო ნაკერით ფლანტების ამოტეხვა, კილოებში  
მაგთულის ჩადგმა-ჩახვევა, სახვრეტით ხერელის გაქრა და მოქლო-  
ნით შეერთება. ახალი საწარმოო თერმინების შეთვისება (იარაღ-  
ბას დასახელება, მუშაობის პროცესში (2-საათი).

ფურცლოვან თხელ ლითონის დასამუშავებლად ძირითად ხერ-  
ხებზე ვარჯიშობა (4-საათი).

შენიშვნა: ახსნა და ვარჯიშობა მუშაობის ცალკეული ხერხებით  
ხდება, ნაკეთობათა დამზადებასთან ერთად.

წარმოებითი მუშაობა: ნიმუშების მიხედვით და ნახაზზე აღნი-  
შნით 2—3 ნივთის დამზადება. მაგალითად: კრუშკა, პატარა კა-  
სრი, ვედრო, აქანდაზი, ძაბრი, წებოს ასადულებელი ქურჭელი,  
საფურთხებელი, სარწყავი ან საბავშვო სახლის შეკვეთები (28-საათი).

რჩილვის ხერხების გაცნობა. რჩილვის დანიშნულება, რბილი  
და მაგარი სარჩილავის სახეები, მათი შემადგენლობა, გამოყენება  
და თვისება. ფლიუსების და ამომჰრელების დანიშნულება და შემა-  
დგენლობა. სარჩილავი იარაღები: ელექტრო და უბრალო სარჩი-  
ლავები, ლამპა, მათი მოწყობილობა და გამოყენება. რბილი და  
მაგარი მრჩილავით რჩილვის ილეთები. მისარჩილავ მასალის ზედა-  
პირის დამზადება, სარჩილავის მზადება (გაწმენდა, მომსახურება),  
სარჩილავის გახურების დონე, რბილი მრჩილავით თანმიმდევრო-  
ბითი რჩილვა, მაგარი მრჩილავის ამორჩევა. ახალი საწარმოო ტე-  
რმინების შეთვისება (2-საათი).

წინათ დამზადებულ ნაკეთობებზე რბილი მრჩილავით ვარჯი-  
შობა (2-საათი).

მაგარი მრჩილავით ვარჯიშობა ზოლოვან ლითონისაგან ია-  
რაღების სახელურებისათვის დამზადებულ რგოლების შეერთებაში  
და გასაღების ენის მიმავარებაში ან საბავშვო სახლის შეკვეთებზე  
(2-საათი).

5. სახარატო დაზგაზე მუშაობა სუპორტის ავტომატური მიწოდე-  
ბით ცილინდრიხებური ფიგურების გამოხახვა (14-საათი)

სუპორტის ავტომატურად მიწოდების გაცნობა მოწყობილობა

და დანიშნულება „ტრეიზელის“, „გიტარის“ შერეულ კბილანებით და სიჩქარის ყუთით თვითმოძრავის ჩართვის და გამართვის ხერხები, მოძრაობის მიმართულების შეცვლა „ტრეიზელის“ ნაწილებით, მიწოდების სიჩქარის რეგულირება, სუპორტის მოწყობილობა, მოძრავე ხრახნით და მოძრავე ლილვაციის საშუალებით მოძრაობის გადაცემის ხერხები. სუპორტის განივი და ვასწვრივი ავტომატური მიწოდება. ახლალი საწარმოო ტერმინების შეთვისება (2-საათი).

ავტომატური მიმწოდებთან დაზგაზე მუშაობაში ვარჯიშობა ჯერ უმასალო, ხოლო შემდეგ მასალაზე (2-საათი).

წარმოებითი მუშაობა. დეტალების სუპორტის ვასწვრივი ავტომატური მიწოდებით ცილინდრისებური გაჩარხვა—0,5—0,3% სიზუსტით. მაგალითად: ცილინდრისებური სამართები თუნუქის გადასალუნავად, საბრუნის სახელური ან საბავშვო სახლის შეკვეთები (10 საათი).

**6. ცნობები ტექნოლოგიიდან: ლითონები, მათი თვისებები და გამოყენება(18-საათი).**

(თემა მუშავდება ნახევარი წლის განმავლობაში. კვირაში 1-2 საათი).

შავი ლითონები (რკინა, ფოლადი, თუჯი), უმთავრესი ფერადი ლითონები და მათი შენეერთები (სპილენძი, ალუმინი, ტყვია, თუთია, ნიკელი, ბრინჯაო, თითბერი და ბაბიტი) მათი განსხვავება გარეგან ხედით და განატეხზე.

ლითონის მექანიკური თვისებები: სიმაგრე, გამძლეობა, სიბლანტე, დრეკადობა, ფენადობა, მათი შნიშვნელობა ლითონის წარმოებაში გამოყენებისათვის, ამ თვისებების სხვადასხვაობა სხვადასხვა ლითონებში. ლითონების მექანიკური თვისებების ცდები ლუნადობაზე და გრეხადობაზე (2-საათი).

ლითონის ფიზიკური თვისებები: ხვედრითი წონა, ელექტროგამტარიანობა, თბოგამტარიანობა, ვაცხელებისაგან გაფართოება, მათი მნიშვნელობა ლითონის წარმოებაში გამოყენებისას. უმთავრეს ლითონების დაქანგვის თვისება.

შავი ლითონის თვისების ცვალებადობა იმისდამხედვით თუ რა რაოდენობით არის მასში ნახშირბადი და შენადნობები. თუჯის და ფოლადის სხვაობა. თეთრი და ნაცრისფერი თუჯი, მათი განსხვავება თვისების და გამოყენების მიხედვით. ნახშირბადიანი ფოლადი, მათი გამოყენება წარმოებაში. რკინა როგორც ფოლადის

ხარისხი მცირე რაოდენობის ნახშირბადით. ცნება ზოგიერთ სპეციალურ ფოლადებზე (სწრაფად გასაქრელი, ქრომონიკელინებური, ან ქანგოვანი) ფოლადის გარჩევა ნაპერწყლის და დადაღვის სპეციალური ლეგირებით (უმთავრესად გამოყენებულ ფერად ლითონების თვისებები და მათი შენაერთები) სპილენძის, ალუმინის, კალის, ტყვიის, ნიკელის, თუთიის, ბრინჯაოს, თითბერის და ბაბიტის (8-საათი).

ლითონის დამუშავების ხერხები: ანათალების (ბურბუშალას) აცლით (სახეინკლო დამუშავება ლითონმჭრელ დაზგაზე). ანათალის (ბურბუშელის) აცლის გარეშე (გაგლინვა, ჩამოსხმა, გამოკედლა და ტვიფრა) მათი გამოყენება ლითონის თვისების მიხედვით და დასამუშავებელი ნივთის მოთხოვნილების მიხედვით: ახალი საწარმოო ტერმინების შეთვისება (6-საათი).

#### 7. სახარატო მჭრელების და ბურღვების გაღესვა (4-საათი)

სახარატო მჭრელების და ბურღვების ლესვის გაცნობა. სახარატო მჭრელების და ბურღვების „ზენკერების“ გაღესვის კუთხე და ფორმა. თარგების და ყალიბების საშუალებით გაღესვის კუთხის გაზომვა. ლესვის და ძელაკზე აწყობის თანმიმდევრობითი ხერხები. ახალი საწარმოო ტერმინების ათვისება (2 საათი).

ვარჯიშობა სახარატო მჭრელების, ბურღვებისა და „ზენკერების“ ლესვის ათვისებაში (2-საათი).

#### 8. სახარატო დაზგაზე მუშაობა. კონუსისებურ ზედაპირების გამოხარატება ხუპორტის მოძრაობით დ მჭრელებით. (12-საათი)

სახარატო დაზგაზე კონუსისებური ზედაპირების გამოხარატვის გაცნობა. კონუსისებური ზედაპირის გამოხარატების ხერხები ხუპორტის ზედა „კარეტის“ მოძრაობებით და უკანა კუტის გადანაცვლებით. თარგების საშუალებით კონუსისებური ზედაპირის სწორი გამოხარატების კონტროლი. მოტორების ილეთები და მათი დანიშნულება. ახალი საწარმოო ტერმინების შეთვისება. (2-ს.)

წარმოებითი მუშაობა: ნახაზის მიხედვით 0,3 - 0,5 მ/მ სიხუსტით, შემდეგი ნივთების დამზადება: სახერეტის, საწერტის, შიმშის, სახარატო დაზგის ცენტრისა ან საბავშო სახლის შეკეთების (10-საათი).

#### 9. გავლილი მასალის აღრიცხვა 6-საათი.

1. მუშაობა ზუსტი გაქლიბვით, მოცემულ ზომების მიხედვით და თარგზე მორგებით. (33-საათი)

შტანგენფარგალი და მიკრომეტრის საშუალებით ხერხების გაცნობა. შტანგენფარგლის უკანა საზომზე დაყენება და შიდა და გარეგან სიდიდეების გაზომვის ხერხები. შტანგენფარგლის მაჩვენებლები და მისი გამოყენების წესი, სხვადასხვა ტიპების შტანგენფარგლების გაცნობა, შტანგენფარგლის გამოყენება სილრმეების გაზომვისათვის და აღნიშვნისათვის. მიკრომეტრით გაზომვის ხერხები. ახალი საწარმოო ტერმინების შეთვისება (3-საათი).

ვარჯიში შტანგენფარგლის და მიკრომეტრის უკანა საზომზე დაყენებაში (2-საათი).

საწარმოო მუშაობა: 2-3 ნაკეთობათა დამზადება, ნახაზისა და მიხედვით აღნიშვნით, თარგის მორგებით და გაქლიბვით 0,2—0,3 მ/მ სიზუსტით, მაგალითად: უბრალო საქანჩე გასაღები, ველოსიპედის საქანჩე გასაღები ექვს წახნაგოვანი, ან „მერცხლის კოდისებური“, ან საბავშვო სახლის შეკვეთები (35-საათი).

2. ცნობები ტექნოლოგიიდან: ლითონის დამუშავება ჩამოჭრით— (16-ბ.)

წარმოებაში ლითონის კრის დამუშავების მნიშვნელობა, ნაკეთობათა ზუსტი ზომები და სწორი ფორმის მიხედვით. ლითონების საჭრელად დარტყმითი და დაწოლითი პროცესები. ღოჯით და ჯვარლოჯით კრა, სახვრეტით ხვრელის გაკეთება. მაკრატლითა კრა, ქლიბით ქლიბვა, ფხევა, ხეხვა, ხერხუნათი კრა, ბურღვა, ვაფართობა, ხრახნის კუთხის მოჭრა, ლითონმჭრელ დაზგებზე მჭრელებით და მლარავებით ლითონის დამუშავება. წარმოებაში ლითონის კრისას სხვადასხვა პროცესების გამოყენება, საერთო—მჭრელ იარაღებში, სოლი, როგორც მათი მუშაობის დასაყრდენი (4-საათი).

ბურბუშელას მიღების თავისებურება ლითონის თვისების და იარაღის ფორმის მიხედვით, კრისას სითბოს გამოყოფა. გაცივების მნიშვნელობა. მუშაობისას მჭრელების კუთხე და მათი მნიშვნელობა. მიწოდება და კრის სიღრმე. კრის პირობები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია გამოირკვეს კრის არახელსაყრელი რეჟიმი (2-საათი).

ლითონმჭრელი დაზგების ტიპი და მათი როლი ლითონის დამუშავებელ წარმოებებში: მექანიკური მიწოდება, მრანდავი საღრუ-

ვე და სიფხეკი დაზგები. სახარატო, სახერეტი და რეეოლეერის დაზგები (2-საათი).

მოთხოვნილებანი მკრელის მასალისადმი დარტყმითი რითი კრის პროცესების დროს. ბლანტი და ხეშეში ლითონების კრით დამუშავებისას პროცესების განსაკუთრიანობა (2—საათი).

ექსკურსია წარმოების მექანიკურად ლითონის დამუშავებელ ცეხში, ლითონმკრელი დაზგების და მახედ მუშაობის პროცესის გასაცნობად (4—საათი).

### 3. ზედაპირების ფხეკა (40—საათი)

ფხეკის პროცესების გაცნობა. ფხეკის დანიშნულება და გამოყენება. საფხეკები, მათი გალესვა და მათი მუშაობის ხერხები. მრულ ხაზოვანი ზედაპირების და სიბრტყეების ფხეკა. სიბრტყეების გასაფხეკად მომზადება.

შემმოწმებელ ფილაქანის მოწყობილობა, ფილაქანზე საღებავის წასმა და დასამუშავებელი სიბრტყის შემოწმება ფილაქანზე. ზედაპირის ერთეულზე ლაქების რაოდენობის და მიზიდვით სიბრტყის დამუშავების ხარისხი. სიბრტყეების და საკისურების თანდათანობით ხეხვის შესრულება: მუშაობისას უშიშროების დაცვა. ახალი საწარმოო ტერმინების შეთვისება (2—საათი).

ხეხვა და შემამოწმებელ ფილაქანით სარგებლობის ხერხები (2—საათი).

წარმოებითი მუშაობა. ხეხვის გამოყენებით ნაკეთობის 4—6 ლაქის 4 კვ. სან. სიზუსტით დამზადება, მაგალითად: წერიკა-წრის საყრდნობი, შესამოწმებელი სახაზავი, ბურღვების გალესვის შემმოწმებელი თარგები, საკონტროლო მკუთხავი ან საბავშვო სახლის შეკვეთები (35—ს.).

### 4. პრაქტიკული მუშაობა წინაღმიდებულ წარმოებითი ჩვევების გასამტკიცებლად მუშაობის შესრულება საინსტრუქციო ბარათის მიხედვით (36—საათი)

საინსტრუქციო ბარათის გაცნობა და მათი სარგებლობა. საინსტრუქციო ბარათის გარჩევა. მუშაობის თანმიმდევრობის დაცვის მნიშვნელობა, რომელიც ნაჩვენები იქნება საინსტრუქციო ბარათში (3—საათი).

წარმოებითი მუშაობა საინსტრუქციო ბარათის მიხედვით ტექნოლოგიურ პირობების შესრულებით—ერთი ორი ნაკვეთის დამზადება, მაგალითად: პატარა გირაგები მესაათებისათვის, კომბინირე-





5. მუშაობა სახარატო დაზგებზე, ბურღვა და გამოსახარატებში  
(10—საათი)

ბურღვისა და გამოსახარატების გაცნობა. გამოსახარატებელი მჭრელები, მათი ტიპი და მოწყობილობა. სახარატო დაზგაზე ხერცის ხერხები სახერცის უკანა კუტის ტრიალტარაში ჩადგმით და მასალის ვაზნაში ჩამაგრებით და ბურღვის წინა კუტის ტრიალტარაში ჩადგმით, გამოსახარატი მჭრელის ჩადგმა. გამტანისი და ყრუ ხერცების ხელითი და ავტომატური მიწოდებით გამოსახარატების ხერხები. გამთართოველების გამოყენება და მათი გამოყენების ხერხები. ახალ საწარმოო ტერმინების შეთვისება (2—საათი).

ვარჯიშობა ბურღვაში, გამოსახარატებაში და გათართოვებაში, მჭრელების დაყენება და დაზგის მართვა (2—საათი).

წარმოებითი მუშაობა. დამზადება ბურღვის და გამოსახარატების გამოყენებით: სადურგლო საშალის სახელურის საცობი, ხეზე სამუშაო სახარატო ვაზნისა ან საბავშვო სახლის შეკეთებები (6—საათი).

6. ცნობები ტექნოლოგიიდან: ლითონის დამუშავება ბურბუშელას  
აცლის გარეშე (16—საათი)

ლითონის გაგლინვა მისი, დანიშნულება. მუღინაგ დაზგების მოწყობილობა და მოქმედება. საგლინაგ დაზგების ძირითადი ტიპები და მათზე ლითონის თანმიმდევრობითი დამუშავება. გლინვის ძირითადი პროფილები (4—საათი).

ჩამოსახმელი საქმე, მისი მნიშვნელობა ლითონის დამუშავებაში. ლითონები, რომლებიც გამოიყენება ჩამოსხმის საქმეში და მათი ჩამოსხმის თვისებები, ნაღობის ჩასახმელ გამაორთქლებელ ჭურჭლების დანიშნულება, მოდელების და ღეროების დამზადებისას ზედმეტის მიშვება. დამჭიდროებისათვის—დაჯდომისათვის ჩამოსხმულების გაწმენდა და გამოგდება. ჩამოსხმულების ღირსება. ექსკურსია ლითონის საამქროში (6—საათი).

სამჭედლო საქმე. წარმოებაში სამჭედლო დამუშავების დანიშნულება და გამოყენება (2—საათი).

იმ ლითონის თვისებები, რომელზედაც დამყარებულია სამჭედლო დამუშავება განსახლერულ უკიდურესობამდე გახურების მნიშვნელობა. სამჭედლო დამუშავების სახეები: ხელით და მექანიკური

ქედვა, დაწნევა და ტვირთვა. სამკედლო დამუშავების ძირითადი პროცესები, მათი გამოყენება და შესრულების ტექნიკა. ექსპურსია სამკედლო საამქროში ქედვის პროცესების დასრულება წყობილობის გაცნობის მიზნით (6—საათი).

**7. გავლილი მასალის აღრიცხვა (4—საათი)**

სწავლების მისამე ფილი—32 საათი

წლის პირველი ნახევარი—160 საათი

**1. ხალარავ და სახალაშინო დაზგების მათზე ფართობის დამუშავების გაცნობა (10 საათი)**

ხალარავ ან სახალაშინო დაზგების და მათზე ფართობის დამუშავების ხერხების გაცნობა. დაზგების დანიშნულება და მუშაობის პრინციპი, მისი მთავარი ნაწილები, მათი დანიშნულება და ურთიერთობა. და ურთიერთშორის დამოკიდებულება. მკრელი იარაღები (მლარავები და მკრელები), დაზგების მორთულობანი. ფართობის დამუშავების ხერხები, მასალის დაყენება, დაზგის გამართვა სამუშაოს ჩასატარებლად, დაზგის გაშვება და გაჩერება, ავტომატური და ხელით მიწოდება, დამუშავების თანმიმდევრობა, მუშაობისას უშიშროების დაცვა. ახალი საწარმოო ტერმინების შეთვისება (2—საათი).

ვარჯიშობა დაზგის გამართვაში და მის მართვის ხერხების გამოყენებაში (2—საათი).

წარმოებითი მუშაობა. შედგომ მუშაობის ჩასატარებლად მასალის დამზადება და დეტალების წინასწარ დამუშავება (5—საათი).

**2. სამკედლო საქმის პრაქტიკულად შეხწავლა (14—საათი)**

სამკედლო მასალების იღებების გაცნობა. ხელით ქედვისას გამოსაყენებელი იარაღები და მოწყობილობანი: სამკედლო ქურა, გრდემლი, სამკედლო ჩაქურები, მარწუხები, ლოჯები, სახვრეტები, სატკეპნი, შესახვევი, უთოები ქედვისათვის. გახურების ტემპერატურა, სამკედლო ქურისათვის გამოსაყენებელი საწვავი მასალა, გასახურებლად მასალის ჩადება, ძირითადი ოპერაციების შესრულების ხერხები: გაწევა, მოღუნვა, ვადაქრა, ხვრელების გაქრა. მუშაობისას უშიშროების დაცვა. ახალი საწარმოო ტერმინების შეთვისება (4—საათი).

ვარჯიშობა, სამკედლო საქმის ძირითად ოპერაციების შეთვისების მიზნით (2—საათი).

საწარმოო მუშაობა. ნახშირბადიან-ფოლადიანი ლოჯების და

სახარატო მკრგლების გაწევა. ქანჩების, საზეინკლო ოთხკუთხედიან საცემლიან ჩაქუჩების ქახრაკების, ფარგლების საბრუნების და სხვა საპროგრამო მუშაობისათვის და აგრეთვე დეტალების, <sup>ეჭვიანობის</sup> უნდა შესრულებულ იქნას საბავშვო სახლის შეკეთების <sup>მხატვრული</sup> ნაჭედების დამზადება (10 საათი).

### 3. ნახშირბადიან ფოლადის თერმული დამუშავება (10 საათი)

გამობრძმედის — წრთობის პროცესების გაცნობა — წრთობის დანიშნულება და მისი გავლენა ფოლადის თვისებებზე, წრთობისას ფოლადის თვისება იმისდამიხედვით, თუ რამდენ  $\%$ -ს შეიცავს ნახშირბადს. წრთობის პროცედურის მნიშვნელობა. ქურის და ელექტრო ლუმელის მოწყობილობა და მათში ლითონის გახურების ხერხები, საწრთობი მასალის ფერისდამიხედვით გახურების ხარისხის გამოკვლევა. საწრთობ სხვადასხვა ხარისხის ნახშირბადოვანი ფოლადის გახურების გამოკვლევა. საწრთობი აბაზანები, მისი დანიშნულება, ყველაზე უფრო გამოყენებული საწრთობი აბაზანების შემადგენლობა. წრთობის ხერხები და საწრთობ ლითონის გამოცდა. მუშაობისას უშიშროების დაცვა. ახალი საწარმოო თერმინების შეთვისება (2—საათი).

მოშვების და გამოწვის პროცესების გაცნობა. მოშვების დანიშნულება, მოშვების სხვადასხვა ხარისხი გახურების ტემპერატურის და მიხედვით.

გადანაცვლებისას — გადებრუნებისას, ფერების მოშვებისას გახურების ტემპერატურის გამოკვლევა.

მეტად გამოსაყენებელ იარაღების მოშვების ხარისხი. მოშვება უშუალოდ წრთობის შემდეგ საკმარისი სითბოთი და მეორადი გახურებით. გამოწვის დანიშნულება, გამოწვისათვის გახურების ტემპერატურა და გაცივების რეჟიმი. ღრმა მოშვება როგორც გამოწვის შედეგად. ახალი საწარმოო თერმინების შეთვისება (1—საათი).

დამჭიდროება — ცემენტაცია. წარმოებაში ცემენტაცია — დამჭიდროების დანიშნულება და პროცესის შინაარსი. ცემენტაციის ხერხები და ნივთიერება. (1—საათი).

ვარჯიშობა წრთობაში და მოშვებაში ნახშირბადიან ფოლადზე. ვარჯიშობა წრთობაში და მოშვებაში, ნახშირბადიან ფოლადიდან წინად დამზადებულ ნივთებზე და სახელოსნოს სამუშაო იარაღებზე, რომლებიც საჭიროებს თერმულ დამუშავებას (6—საათი).

#### 4. „რიხტოვკა“ (4—საათი)

„რიხტოვკის“ ხერხების გაცნობა. „რიხტოვკის“ დანიშნულება, „რიხტოვკის“ თავისებურება. იარაღები, რომლებიც გამოიყენება „რიხტოვკისას“. ხერხები და მუშაობის თანმიმდევრობა გამრუდვის სხვადასხვა შემთხვევისას. ახალი საწარმოო ტერმინების შეთვისება (2—საათი). მასალის დამზადებაში და წინასწარ დამზადებულ ნაკეთებზე ვარჯიშობა „რიხტოვკაში“—2—საათი.

#### 5. დამოუკიდებელი დაგეგმვით საკონტროლო ხასიათის კომპლექსური მუშაობა (30 საათი)

სამუშაოს შესრულება ნახაზის და მიხედვით ტექნიკური პირობების დაცვით და სამუშაოზე დამოკიდებულ დაგეგმვით და სამუშაო გეგმის და მიხედვით შესრულების აღრიცხვით. მაკალითად: ზუმბარიანი ფარგალი, ზუმბარიანი კრონფარგალი, ხელის გირაგები (30 საათი).

#### 6. მუშაობის ჩატარება მიხეზვის გამოყენებით (16—საათი)

მიხეზვის ხერხის გაცნობა. მიხეზვის დანიშნულება და მისი განსხვავება ხეზვასთან. მხეზავები მოძრავი და არა მოძრავი მხეზავები. სახეზავი ფენილები და პასტები. დიდ ფართობების და კონუსისებური ზედაპირების მიხეზვის ხერხები. გამოწრთობილ ნაკეთობათა დაყვანა. დასამუშავებელ დეტალების მასალის მიხედვით სხვადასხვა და მისახებ მასალის ამორჩევა. ახალი საწარმოო ტერმინების შეთვისება (2—საათი).

ვარჯიშობა ზედაპირის მიხეზვისათვის მომზადებაში, მიხეზვის ხერხების გამტკიცებაში და მიხეზვისათვის ფენილების მომზადებაში (2—საათი).

წარმოებითი მუშაობა. მიხეზვა და დაყვანა წინასწარ დამზადებულ ნაკეთობებისა, რომლებიც თხოულობენ ზუსტად დამუშავებას (მკუთხავებით, სახაზავებით, შაბლონები 0,1—0,5 მ/მ სიხუსტის დაცვით (12—საათი).

#### 7. სახარატო დაზგაზე მუშაობა: მოყვანილობანი (ფასონური) გამოხატულების და ხელით ხეზვის გაცნობა (10—საათი)

მოყვანილობიან გამოხარატების და ხელით ხეზვის ხერხების გაცნობა. მოყვანილობიან გამოხარატებისათვის განსაკუთრებული მჭრელები. მოყვანილობიანი გამოხარატების ხერხები. განივი და გასწვ-

რივი მკრელები ხელით მიწოდება. შაბლონებით დამუშავების სან-  
წორის კონტროლი. წუნი, ამის მიზეზები და ამრიდი ხერხები. სახა-  
რატო დაზგაზე ქლიბით და ზუმფარის ქარალდით გახეხვის ხერხები  
(2—საათი).

მოყვანილობიან გამობრახნის ხერხები და სახარატო დაზგაზე ხე-  
ლით ხეხვა (2—საათი).

წარმოებითი მუშაობა: მოყვანილობიანი დეტალების დამზადება  
გამობრახნით შაბლონების ქვეშ, ზომების სიზუსტის დაუცავად: დამ-  
ლარავის, სახარატო დაზგის ტრიალტარი სახელური, ან საბავშვო  
სახლის შეკვეთებით (6—ს.).

### 8. ხალარავ და სარანდავ დაზგებზე მუშაობა: თხრილების ამოღრუფება და გარანდვა (10—საათი)

თხრილების ამოღრუფის ან გარანდვის ხერხების გაცნობა.  
თხრილების ამოსაღები სახმარი მკრელები და საღარეები. დაზგების  
მოწესრიგება, მასალის ჩადგმა, მუშაობის შესრულების თანმიმდევ-  
რობა. კონტროლის ხერხები. მუშაობისას უშიშროების ზომები.  
წუნი, ამის მიზეზები და ამრიდი ხერხები (2—საათი).

ვარჯიშობა დაზგის მოწესრიგებაში და საღარავ ან სარანდავ  
დაზგებზე თხრილების ამოღების ხერხების გამარტივებისათვის (2—  
საათი).

წარმოებითი მუშაობა: ტრიალტარის ლივლივზე სასიგმანო  
ხერხების ამოღება ან საბავშვო სახლების შეკვეთები (6—საათი).

### 9. ცნობები ტექნოლოგიიდან თუჯის და ფოლადის წარმოება (10—საათი)

თუჯის წარმოება ნედლეული ლითონების მისაღებად. სარკინე  
მადნები და მათი ძირითადი სახეები (წითელი სარკინე მადანი, მაგ-  
ნიტური სარკინე მადანი, ნაცრისფერი სარკინე მადანი), მათი გარ-  
ჩევა გარეგან ხელით და შემადგენლობით, მათი სსრ-ში ადგილმდე-  
ბარეობა (12—საათი).

გამობრძმედის პროცესის არსი, მდნობების მნიშვნელობა. ლი-  
თონების გამოსადნობად გამოსაყენებელი სათბობი მასალები. ბრძმე-  
დების მოწყობილობა, მაღაროების შემადგენლობა, ჩატვირთვა,  
ჩაბერვა, კაუპერების დანიშნულებანი და მოწყობილობა, გამობრ-  
ძმედის პროცესების მსვლელობა. საბრძმედო პირის დაქერა გამო-  
ყენება. მდნობების ამორჩევა მადნის ბუნების და მიხედვით. გამობრ-  
ძმედის პროცესის დროს ძვირფასი ხარისხის თუჯის მიღება (თეთრი

და რუხი თუჯი) მათი განხვავება ერთმანეთისაგან და გამოყენება (5—საათი).

მეტალურგიული წარმოების მიღწევები სსრკ-ში და მისი განვითარების გზები. ექსკურსია მეტალურგიულ ქარხანაში და მუზეუმში ან კინოფილმის ნახვა გამობრძმელის პროცესის გასაცნობად (3—საათი).

თუჯიდან ფოლადის და რკინის მიღება. ბესემერის პროცესი, მისი შინაარსი, კონვენქტორის მოწყობილობა, ბესემერების მარტენოვის პროცესი, ფოლადის მიღება. მარტენის ლუმელის რეგენტატორების მოწყობილობა, პროცესის მსვლელობა. ძირითადი და მძვევე პროცესი. სხვადასხვა ფოლადის მიღება. სხვადასხვა მისადნობების დამატებით. ფოლადის მისადლუღებლად ელექტრო ძალის გამოყენება.

მოქმედება და მოწყობილობა ელექტრო ფოლადისადნობი ლუმელებისა. სსრ-ში ფოლადის წრთობის განვითარება. ექსკურსია მეტალურგიულ ფოლადის სადნობ ქარხანაში ან კინოფილმის ნახვა ფოლადის წარმოების გასაცნობად.

#### 10. კომპლექსური მუშაობა წინაღმიღებულ ჩვევათა გამტკიცების და შეთვისების მიზნით (40—საათი)

ნახაზის მიხედვით და ტექნიკური პირობების დაცვით დამოკიდებული დაგეგმვით 1—2 ნაკვეთის დამზადება: „კლევი“, „სტუბრა“, დაფა, შესაწვევი ქანჩსალები, სახრახნავი დაფა (40—საათი).

#### 11. გავლილი მასალის აღრიცხვა (6—საათი)

წლის მთლიანი ნახმარი - 160 საათი

#### 1. ზედაპირის დამუშავება „ოკისიდროვკის“ და გაკრიალების საშუალებით (5—საათი)

გაკრიალების და „ოკისიდროვკის“ ხერხების გაცნობა. ამ პროცესების წარმოებაში გამოყენება და დანიშნულება. ზედაპირის წინასწარი დამზადება, ზედაპირის დასამუშავებლად ხერხების არჩევა ნაკეთების დანიშნულებისა და მასალის მიხედვით. გაკრიალების ხერხები როგორც ხელით, აგრეთვე მაკრიალებელ წრეების საშუალებით. გამაკრიალებელი ფხვნილები და პასტები. „ოკისიდროვკის“ ხერხები. ზეთის გამოყენება. ახალი საწარმოო ტერმინების შეთვისება (1—საათი).

ვარჯიშობა წინაღ დამზადებულ ნივთებზე გაკრიალებაში (საათი).



საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

## 2. წარმოებითი მუშაობა შრომის ოპერაციების დაყოფის (37—საათი)

მუშაობის ოპერაციებად დაყოფისას წარმოების ტექნოლოგიური პროცესების დაგეგმვა. ცალკეულ ოპერაციების შესასრულებლად მუშაობის განაწილება საჭირო დროის განსაზღვრით.

მომზადება მუშაობის ჩასატარებლად ორგანიზაციის ყველა დეტალების გარჩევით და მოწაფეთა განრიგება ოპერაციებისა და მიხედვით. (2—საათი).

რამდენიმე ნაკეთობის დამზადება შრომის ოპერაციების დაყოფის მიხედვით. ფრანგული გასაშალი ქანჩის გასაღები, ან მილსაქერი, ან მისამაგრებელი გირაგები, ან და სხვაგვარ სახლის შეკეთების შესრულება (15—საათი).

## 3. შრომის და წარმოების ორგანიზაცია, უშიშროების ტექნიკა ტექნიკური წარმოება (14—საათი)

წარმოებაში ტექნოლოგიური პროცესის ორგანიზაცია და შრომის განაწილება. ნივთის თანმიმდევრობითი დამზადება, საამქროთა შორის მუშაობის განაწილება, საამქროში კი ბრიგადირებსა და ცალკეულ მომუშავეთა შორის. წარმოების პროცესის განაწილება ცალკეულ საოპერაციო ნაწილების მიხედვით. დამზადების სპეციალიზაცია. მოწყობილობათა გამოყენება. შრომის განაწილების უპირატესობა. საწარმოო პროცესების ორგანიზაცია. სამუშაო ადგილების ორგანიზაცია. სამუშაო ოპერაციებთან შეფარდებით. ტექნოლოგიურ დოკუმენტაციების გაცნობა. (ნახაზები, ტექნოლოგიური რუკები (2—საათი).

სოციალისტური წარმოების აგეგმვა. ქარხნის მთლიანი გეგმა, როგორც სახელმწიფო გეგმის ნაწილი, საამქრო და ბრიგადური გეგმა. წარმოებითი მუშაობის ზრდა. რაციონალიზაცია და ტექნოლოგიური პროცესის შეთვისების მნიშვნელობა, წარმოებითი გეგმების შესრულებაში და გადაჭარბებით შესრულებაში. სოციალისტური შეჯიბრება, დამკვერღობა, სტახანოვური მოძრაობა, როგორც წარმოებითი შრომის ამაღლებისა და წარმოების ზრდის ძირითადი ფაქტორი, სტახანოვური მოძრაობის საფუძვლები და სტახანოვური მუშაობის მეთოდები (2—საათი).

ექსკურსიის საშუალებით სტახანოველებისა და მათი მუშაობის

გაცნობა. წარმოებაში და საამქროებში გვემინი მუშაობის ორგანიზაციის გაცნობა (4—საათი).

წარმოებაში ტექნიკური ნორმირება. ტექნიკური ნორმირების მუშაობის განსახლვრავენ საერთო და მანქანურ მუშაობის წარმოებით მუშაობას. შესრულების თანრიგი. ტექნიკური შრომის ცვლილება ტექნიკის გადასინჯვაზე და ზრდაზე. წარმოებაში ტექნიკური ნორმირების მეთოდი და ორგანიზაცია. ტექნიკური ნორმირებულ ბიუროს მუშაობა (2—საათი).

წარმოებაში ტექნიკური კონტროლის დაყენება. ნაწარმის ხარისხიანობისათვის ბრძოლის მნიშვნელობა. წარმოებაში ნაწარმის და მასალის ხარისხის სტანდარტიზაციის მნიშვნელობა. კონტროლის და დაწინების ტექნიკა და ორგანიზაცია (2—საათი).

ლითონის დასამუშავებელ წარმოებაში უშიშროების და შრომის დაცვის ტექნიკა. უშიშროების ტექნიკის დასაცავად საერთო წარმოებითი ღონისძიებები. შრომის სწორი ორგანიზაცია: უშიშროების ტექნიკაზე ყურადღების ორგანიზაცია, სამედიცინო დახმარების ორგანიზაცია, წარმოებითი სანიტარია და უბედურ შემთხვევისას პირველადი დახმარების გაწევის ორგანიზაცია. (2—საათი).

#### 4. ფილაქანზე აღნიშვნის წარმოება (8—საათი)

ფილაქანზე აღნიშვნის ხერხების ახსნა. მოცულობითი აღნიშვნის დანიშნულება, მისი განსხვავება ფართობზე აღნიშვნასთან. მოწყობილობანი, აღსანიშნავი ფილაქანი. წრიკაწრები, სამაშტაბო შტატივები, აღნიშნული მკუთხავეები. მკუთხმაზომები, ქვესადებები და ამწეები დასაყენებლად. მოცულობის აღნიშვნის ხერხები დეტალების დაარშიების გარეშე და დაარშიებით. აღსანიშნავით მომზადება. დეტალების ნახაზების შესწავლა, თანმიმდევრობითი აღნიშვნის განსახლვრა, დანამზადების შემოწმება. ახალი საწარმოო ტერმინების შეთვისება (4—საათი).

ვარჯიშობა ფილაქანზე. მოცულობითი აღნიშვნები: მკუთხავის და წრიკაწრის საშუალებით პერპენდიკულარულ ხაზების აგება. ხაზების გადატანა, დეტალების აღნიშვნა დაარშიებისათვის.

აღნიშვნა პრიზმის საშუალებით (4—საათი).

#### 5. სამონტაჟო ასაწყობი და სამუშაოები (30—საათი)

შესაკეთებელი და სამონტაჟო ასაწყობ მუშაობების პროცესების და ხერხების გაცნობა. თანმიმდევრობითი მუშაობა სარემონტო და სამონტაჟო-ასაწყობის შესასრულებლად. კონსტრუქციის შეს-



წავლა ასაწყობების ნახაზების და ნატურის მიხედვით, ნაწილების მოწყობილობა ურთიერთშორის მოქმედების გამოკვლევა, შეკეთებისას დაზიანების გამოწვევა, მათი ხასიათის და მიზეზების გამოკვლევა, თანმიმდევრობითი აწყობისა და შეკეთებისათვის უფროსი ნალური ხერხების ამორჩევა.

ერთმანეთთან მორგება: დეტალების აწყობისას, კვანძების შეკეთებისას და ცალკეულ კვანძების ერთმანეთთან შეერთებისას, დაზიანებულ დეტალების შეცვლა. მექანიზმის შემოწმება და რეგულირება. დეტალების ერთმანეთის შეცვლის ნორმალურობის და სტანდარტულობის მნიშვნელობა. დაჯდომის და დაშვების ძირითადი ცნობები. ნორმალური ზომები და საშვები გადახრები. დამუშავების განსაზღვრული ზომები (4—საათი).

წარმოებითი მუშაობა მექანიზმების შეგროვებასა და შეკეთებაში. შეკეთება სახელოსნოს დაზგებისა, ველოსიპედებისა, საკერაგ მანქანებისა, ფიზიკურ ხელსაწყოებისა, სასოფლო სამეურნეო მანქანებისა და ა. შ. დეფექტების გამოვლინება და შესაკეთებელთა სიის შედგენა. ცალკეული კვანძების მოწყობილობის შეკეთება და აცილება. ნახაზების და ესკიზების მიხედვით ცალკეულ დეტალების დამზადება და მათი აღვილზედ მორგება. აწყობის და შეკეთების სისწორის შემოწმება, მექანიზმის რეგულირება, მისი დატვირთვისა და არადატვირთვის შემთხვევები (26—საათი).

#### 6. კურსის მიხედვით საკვალიფიკაციო მუშაობა (60—საათი)

დამზადება წარმოების მიხედვით, ტექნიკური პირობების და ცვით და საბუშაოს შესასრულებლად მუშაობის აღრიცხვით ერთი ორი ნაკეთობებისა. მაგალითად: საზეინკლო წრიკაწრა დამყენებელი ხრახნით (უნივერსალური), ხელსაწყოები: კუთხის გასაზომი, მჭრელების გასალესი, მკერდზე მისაყრდნობიან სახვრეტი და საჩიჩქნი საბავშვო სახლების შეკვეთები (60—საათი).

#### 7. აღრიცხვა და გამოსაშვები გამოცდები (60—საათი)



საგარეო ურთიერთობების  
შეიქმნა  
დამხადდეს

საპროგრამო მასალა		სამუშაო საათ.				7
		მათ შორის				
		ს უ ლ	საუბარი	გარეშე	წარმუშ.	
1	2	3	4	5	6	7
სწავლების პირველი წელ—320 ს.						
წლის პირველი ნახევარი 160 ს.						
1	შესავალი მეცადინეობა . . . . .	2	2	—	—	1. მკუთხავი დანამზადი.
2	სიბრტყია კლიბვა და ჭრა გირაგის ტუჩების დონეზე . . . . .	21	1	20		2. გირაგების ტუჩში ჩასადგამი
3	პარალელური სიბრტყეებით შეზღუდული დეტალების დამუშავება—ალნიშვნა სახაზავით კლიბვა, მკუთხავის და კრონფარგალის ქვეშ . . . . .	30	2	2	26	3. ფილაქანი ხვრელების სახვრეტით გასახვრეტად და შემოწმებისათვის.
4	მართვა და ჭრა ფილაქანზე . . . . .	8	4	4	—	4. ყუნწები თაროებისათვის.
5	ხვრეტა და ჩარღვევება სახვრეტ დაზახზე, მუშაობა გამშლელებით . . . . .	10	6	4	—	5. კაგები საკიდურებისათვის.
6	წინასწარ დათარგულ არაპარალელური წახნაგის და უბრალო მრუდხაზოვან კონტურის ნაკეთობათა დეტალების დამუშავება შაბლონებით დათარგვით . . . . .	40	2	4	34	6. სადურგლო საშალი
7	ხედაპირის გლუვი კლიბითა და ხელით სახეზავით დამუშავება . . . . .	10	2	2	6	7. ჩარჩოებისათვის კეთხედი.
8	ხერხუნათი ჭრა . . . . .	5	1	—	4	8. სოლები იარაღებისათვის.
9	საწარმოო მუშაობა წინად მიღებულ ჩვევების განმტკიცებისათვის . . . . .	30	2	—	28	9. ხერხის კბილის გადასაყარი.
10	გავლილი მასალის აღრიცხვა . . . . .	4	3	1	—	10. ჩაქურჩი კვადრატული სარტყით
ს უ ლ . . . . .		160	26	36	98	



ეროვნული  
შემსწავლებლის  
დამზადდეს

1	2	სამუშაო საათ.				7
		მათ შორის				
		ს.ს.	საუბარი	ვარჯიში	შარ. ბუშ.	
<b>საპროგრამო მასალა</b>						
1	<b>წლის მეორე ნახევარი— 160 ს.</b>					11. სადურგლო ჩა- ქუჩი. 12. რგოლები იარა- ღების ტარები- სათვის. 13. თაროების ბჯე- ნები. 14. ცხელი კასრუ- ლის ქვესადები. 15. ყუთების სახე- ლურები. 16. რკინის ფოცხი. 17. შიგსახომი. 18. კრონფარგალი. 19. სახეინკლო ზერ- ხუნას ჩარჩო. 20. სახეინკლო მკუ- თხავი. 21. ჩაქუჩი მრგვალი საცემით.
1	გირაგებში და სამართავებ ღუნვის და მოქლონვის გამოყენებით მუ- შაობის ჩატარება	40	2	2	36	
2	მუშაობა ხრახნების მოხრახუნაში ხელით სახმარე ქანშიჭრელის გამხრახუნის გამოყენებით . . . . .	35	2	2	31	
3	ლოჯით და ჯვარლოჯით ხახხე- ჭრა . . . . .	8	2	2	4	
4	ლოჯის და ჯვარლოჯის გაღვსვა ნახაზავის მიხედვით ზედაპირის აღნიშვნა . . . . .	4	2	2	—	
5	კლიბვა ნახაზის მიხედვით კრონ- ფარგალის გამოყენებით 05 მ/მ. სიხუსტით . . . . .	10	2	8	—	
6	მუშაობა ფართო მრუდხაზოვანი ზედაპირის აღნიშვნაში და და- მუშავებაში . . . . .	30	—	—	30	
7	გავლილი მასალის შეთვისების აღრიცხვა . . . . .	29	2	2	25	
8	გავლილი მასალის შეთვისების აღრიცხვა . . . . .	4	4	—	—	
	<b>ს უ ლ . .</b>	<b>160</b>	<b>16</b>	<b>18</b>	<b>126</b>	
<b>სწავლების მეორე წელი— 320 ს.</b>						
<b>წლის პირველი ნახევარი— 160 ს.</b>						
1	შესავალი მეცადინეობა . . . . .	2	2	—	—	1. გირაგების სახე- ლურები. 2. დანამზადები ქან- კაებისათვის. 3. გასაშალი სახეინ- კლო-ზერხუნა. 4. გასაშალი მუხ- რუქები. 5. ბუნების შტა- ტიკ, სარ. სახლის შეკვეთები. 6. ცოლინდრი ებუ- რი სამართები. 7. საბრუნავის სახე- ლურები ან საბ. ბალის შეკვეთები. 8. სახვრეტი, საწერ- ტი, შიმშა. 9. საბ. სახლის შეკ. ვეთები.
2	მუშაობა სახარატო დაზგახე: ხელით მიწოდებით ცილინდრისე- ბური ფიგურების შემოხარატე- ბა . . . . .	16	4	2	10	
3	მუშაობა და რჩდილვა თხელფურ- კლოვან ლითონების გამოყენე- ბით . . . . .	40	4	8	28	
4	სახარატო დაზგახე სუპორტის აე- ტომატური მიწოდებით ცილინ- დრისებური ფიგურების გამო- სახვა . . . . .	14	2	2	10	



ეროვნული  
სტატისტიკის  
სამსახური  
და მზადდეს

საპროგრამო მასალა		სამუშაო საათ.				7
		მათ შორის				
		ს უ ლ	საუბარი	ვარჯიში	წარმ. ბუშ.	
1	2	3	4	5	6	7
5	ცნობები ტექნოლოგიიდან: ლითონები, მათი თვისებები და გაოყენება	18	6	12	—	
6	სახარატო მკრედელების და ბურღვების გაღვსვა	4	2	2	—	
7	სახარატო დაზგაზე მუშაობა კონუსისებურ ზედაპირების გამოხარატება სუპორტის მოძრაობით და მკრედელებით	12	2	—	10	
8	შეთვისებული საწარმოო ჩვევთა გასამტკიცებლად და მეტი შეთვისების მიზნით პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება.	48	3	—	45	
9	გავლილი მასალის აღრიცხვა	6	6	—	—	
ს უ ლ		160	31	26	103	
<b>წლის მეორე ნახევარი 160 საათი</b>						
1	მუშაობა ზუსტი გაჭიბვით, მოცემულ ზომებისა და თარგის მიხედვით	38	5	—	33	
2	ცნობები ტექნოლოგიიდან: ლითონის დამუშავება ჩამოჭრით	16	16	—	—	
3	ზედაპირის ფხვკა	40	4	—	36	
4	მუშაობა სახარატო დაზგაზე, ბურღვა და გამოხარატება	10	4	—	6	
5	ცნობები ტექნოლოგიიდან ლითონის დამუშავება ბურბუშელას აღების გარეშე	16	16	—	—	
6	პრაქტიკული მუშაობა წინაღ მიღებულ საწარმოო ჩვევების გასამტკიცებლად (საინსტრუქციო ბარათის მიხედვით)	36	3	—	33	
7	გავლილი მასალის აღრიცხვა	4	4	—	—	
ს უ ლ		160	52	—	108	

1. უბრალო საქანჩე გასაღებო.
2. ველოსიპედის საქანჩე გასაღები.
3. საბ. სახლის შეკვეთები.
4. წრიკაწრის საყრდნობი.
5. შესამოწმებელი ფილაქანი
6. შემოწმებელი სახაზავი.
7. ბურღვების გაღვსვის შესამოწმებელი.
8. თარგები, საკონტროლო მკუთხავები საბ. სახლის შეკვეთები.
9. სადურგლო მასალის სახელურის საცობი საბ. სახლის შეკვეთები.

**საპროგრამო მასალა**

სამუშაო საათ.



1 2 3 4 5 6 7

**ხწავლების მესამე წელი  
320 ს.**

**წლის პირველი ნახევარი —  
160 ს.**

1	სალარავი და სასალაშინო დაზღვე- ბზე მუშაობის გაცნობა: სიბრ- ტყის დამუშავება . . . . .	10	4	—	6
2	სამკედლო საქმის პრაქტიკულად შესწავლა . . . . .	14	4	—	10
3	ნახშირბადოვან ფოლადის თერ- მული დამუშავება . . . . .	10	4	6	—
4	„რიბტოვკა“ . . . . .	4	2	2	—
5	დამოუკიდებელი დაგეგმვით სა- კონტროლო ხასიათის კომპლექ- სური მუშაობა . . . . .	30	—	—	30
6	მუშაობის ჩატარება მიხეზვის გა- მოყენებით . . . . .	16	4	—	12
7	სახარატო დაზღვაზე მუშაობა: მო- ყვანილობიდან (ფასონჭრი) გა- მოზარატების და ხელით ხეზ- ვის გაცნობა . . . . .	10	4	—	6
8	სალარავ და სარანდავ დაზღვებზე მუშაობა: ღარების ამოღება და გარანდვა . . . . .	10	2	2	6
9	ცნობები ტექნოლოგიიდან: თუჯის და ფოლადის წარმოება . . . . .	10	10	—	—
10	კომპლექსური მუშაობა წინადა მი- ღებულ ჩვევათა განმტკიცებისა და გაუმჯობესების მიზნით . . . . .	40	—	—	40
11	გავლილი მასალის აღრიცხვა . . . . .	6	6	—	—

1. ქანების სახეინ-  
კლო ოთხკუთხო-  
ვან საცემიან ჩა-  
ქურების, ქაზრა-  
კების ფარგლე-  
ბის ნაქედების  
დამზადება.
2. მკუთხავეები, საზა-  
ხავეები და შაბ-  
ლონები.
3. ორიალტარის სა-  
ხელური.
4. საბ. ბაღების შე-  
კვეთები.
5. საბ. სახლების  
შეკვეთები.
6. საზოახნე დაფა,  
გასაწვევი ქანჩსა-  
ლები.

ს უ ლ . . 160 40 10 110

**წლის მეორე ნახევარი —  
160 ს.**

1	ხედაპირის დამუშავება „ოკისი- დროვკის“ და გაკრიალების საშუალებით . . . . .	5	1	4	—
2	საწარმოო მუშაობა შრომის ოპე- რაციებად დაყოფით . . . . .	37	2	—	35

1. სახეინკლო წრი-  
კაწრა დამყენებ-  
ლი ზრახნით.
2. კუთხის გასაზომი.
3. მკრელების გასა-  
ლესი



ქართული  
 ენის  
 ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

1	2	სამუშაო საათ.				7
		სულ	მათ შორის			
			საუბარ.	ვარჯიშ.	წარმუშ.	
3	შრომისა და წარმოების ორგანიზაცია, უშიშროების ტექნიკა, ტექნიკური ნორმირება.	14	14	—	—	
4	ფილაქანზე აღნიშვნის წარმოება	8	4	4	—	
5	სამონტაჟო ამწყობი სამუშაო და შეკეთებები . . . . .	30	4	—	26	
6	კურსის და მიხედვით საკვალიფიკაციო მუშაობა . . . . .	60	—	—	60	
7	აღრიცხვა და გამოსაშვები გამოცდები . . . . .	6	6	—	—	
ს უ ლ .		160	31	8	121	

სულ სამი წლის განმავლობაში—960 საათი.

# პ რ ო გ რ ა მ ა

## სადურგლო საქმისა

სწავლების პირველი წელი—320 საათი  
სწავლების პირველნახევარი წელი—160 საათი

### 1. შესავალი მეცადინეობა (2—საათი)

მოსწავლეთა განაწილება სამუშაო ადგილების მიხედვით.

მოკლე საუბარი სადურგლო საქმის მნიშვნელობისა და სასწავლო წლის ამოცანების შესახებ.

სამუშაო ადგილის გაცნობა, მოსწავლეთა ცოდნის გამოვლინება. ხის დამუშავების დარგში.

შინაგანაწესის გაცნობა მოსწავლეთათვის, მორიგეობის ორგანიზაცია.

### 2. გაბმული ხერხით ხერხვის პირველდაწყებითი წესები (1—საათი)

სადურგლო დაზვა და მისი მოწყობილობა. დაზვით სარგებლობის წესები. გაბმული ხერხი და მისი მოწყობილობა. სამუშაო პოზა, მოძრაობის ტემპები ხერხვის დროს (2—საათი).

ვარჯიშობა სიგრძივი და განივი ხერხვაში სწორი ხაზით. (2—საათი).

### 3. რანდითა და ხუშტარით რანდვის პირველდაწყებითი ხერხები (12—საათი)

განმარტებანი: სარანდი იარაღების—რანდისა და ხუშტარის—მოწყობილობა (1—საათი) სიბრტყეების რანდვა—სახაზავის, კუთხედის და წვრიკაწრის გამოყენებით.

იარაღის ხელში დაკერა. სამუშაო პოზა და მოძრაობა რანდვის დროს. ვარჯიშობა ფიცრების გადანაჭრებზე  $100 \times 30$  სან. (11—საათი).

4. პრაქტიკული მუშაობა ხერხვასა და რანდვაში (14—საათი)

განმარტება: საზომი და შემოწმებული იარაღები — მეტრი, სახაზავი, კუთხედი და მათი სიზუსტის შემოწმება (2—საათი) საწარმოო მუშაობა.

დავალება № 1—პურის დასაქრელი ფიცარი (12—საათი).

5. სარანდი იარაღის აღესვა (4—საათი)

განმარტებანი: მახვილი იარაღის მნიშვნელობა მუშაობის ხარისხისა და სისწრაფისათვის. ბლაგვი და მახვილი იარაღის აღესვის წესი. იარაღის პირის აღესვისა და აწყობის ხერხი (1—საათი).

ვარჯიშობა რანდის დანის ლესვასა და აწყობაში (3—საათი).

6. ხვეწითა და სატეხით მუშაობა (6—საათი)

განმარტებანი: ხვეწისა და სატეხის გამოყენება სადურგლო საქმეში, მათი შერჩევა ზომის მიხედვით, კრისა და ამოტეხვის ხერხები (1—საათი).

ვარჯიშობა კრაში ხვეწით სწორი მიმართულებით ქვესადებზე და მომკერში. გამტარისა და ფარული ხვრეტების ამოტეხვა (1—საათი).

ნიმუშისა და ტექნიკური ნახატის გაცნობა.

საწარმოო მუშაობა:

დავალება № 2, კალაპოტი—ძელისა და ერბოქვისათვის (4—საათი).

7. ბურღვა (8—საათი)

განმარტებანი: საბურღი იარაღები და მოწყობილობანი—ბურღი, საქრელები, ცენტრული ბურღი (კალმისებური და სპირალური) ციბრუტი. ვარჯიშობა ბურღვაში (1—საათი).

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 3, კალამდანი (7—საათი).

8. განგვერდის რანდვა და ფიცრების შეერთება ლურსმნით (24—საათი)

განმარტებანი: განგვერდის რანდვისათვის გამოყენებული მოწყობილობანი და ახლერისაგან მასალის დაცვის საშუალებანი ჩამოკრა, ქვესადების გამოყენება (2—საათი).



ვარჯიშობა ფიცრის ჩამონაჭრებზე განგვერდის რანდვისა და  
ლურსმნებით შეერთებაში (2—საათი).

დავალება: № 4 სათამაშო ავტომობილის დამზადება (20—საათი)

9. მუშაობა ამოხერხვაში წრეთარგი ხერხით (15—საათი)

განმარტებანი: ამოხერხვის პროცესი და მისი გამოყენება სა-  
დურგლო საქმეში, შიგა და გარე ამოხერხვის ილეთები. წრეთარგი  
ხერხის მოწყობილობა და მისი თავისებურებანი. (1—საათი).

ვარჯიშობა: შიგა და გარე მრუდხაზოვანი კონტურების ამო-  
ხერხვაში (2—საათი).

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 5, ტანსაცმელისათვის საკიდებისა და თარგების  
მიხედვით ხარისხოვანი სათამაშოების დამზადება (12—საათი).

10. მრგვალი და ოვალური კვეთის დეტალების დამუშავება  
(10—საათი)

მრგვალი და ოვალური კვეთის დეტალების დამუშავების ხერხე-  
ბის გაცნობა, ზომების შემოწმება კარაკინით კვეთის მიხედვით.  
კლიბების და მათი სადურგლო საქმეში გამოყენების გაცნობა (1—  
საათი)

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 6, ჩაქუჩის სახელურის, დაზვის ხრახნის სატრია-  
ლბლის და ხვეწის სახელურების დამზადება (9—საათი).

11. ნაკეთობათა შეღებვა (13—საათი)

განმარტებანი: შეღებვის მნიშვნელობა სადურგლო საქმეში,  
ნაკეთობისათვის სასურველი ფერის მიცემა, დაცვა დაშლისაგან  
ატმოსფერულ გავლენათა შედეგად. ზედაპირის მომზადება შესაღე-  
ბავად: შეოთხნა, გაწმენდა. შეღებვის პროცესი—შენიადაგება, პირ-  
ველი წასმა, განმეორებითი წასმა. სანდალოზი. (2—საათი).

ვარჯიშობა წინათ დამზადებულ ნაკეთობათა შეღებვაში (11—  
საათი).

12. ხერხვასა, რანდვასა, ხვეწით ჭრასა და ამოტეხვაში შემავალ  
ოპერაციების ჩვევების განმტკიცება დეტალების შესრულების  
პროცესში (46—საათი)

კოლექტიური მუშაობა ბრიგადებულ (2—საათი).

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 7, საბავშვო სახლის შეკვეთის შესრულება (44—ს.).



13. ძელაკების შეერთება სწორი გამტარისი ზუბანით (12-საათი)

განმარტებანი: შეერთების მნიშვნელობა სადურგლო-საქმეში. შეერთების სიმტკიცის უზრუნველყოფი პირობები, ზუბანების ამოხერხვის ხერხები. ხერხების სწორი აღესვისა და კბილის გადაყრის სისწორის მნიშვნელობა. (2--ს.)

ვარჯიშობა ხერხის აღესვისა და ზუბანების ამოხერხვაში (2-ს.)  
საწარმოო მუშაობა.

დავალემა № 8 ჩაჩოს დამზადება (8-საათი).

14. გაშალაშინება, სოგმანზე ჩასმა (12-საათი)

განმარტებანი: მტკიცე შეწების პირობები. წებო და მისი მომზადება. შალაშინი, როგორც გაშალაშინებაში სწორხაზოვნობის უზრუნველყოფი იარაღი. მკერივი გაშალაშინების ხერხები. გაშალაშინების დანიშნულება და მისი გამოყენება სადურგლო სამუშაოებში. სოგმანების ტიპები: სწორი, კონუსისებური, გათანაბრებული და თიათი (1-საათი)

ვარჯიშობა გაშალაშინებისა და შეწებაში (2-საათი).

საწარმოო მუშაობა.

დავალემა № 9, ფიცრები საკინძაოსათვის ან ხორცის საჭრელი სამზარეულოსათვის. (9-საათი).

15. შეერთებანი კრილში ლარტყის გატარებით (26-საათი)

განმარტებანი: კრილში ლარტყის გატარებით შეერთების გამოყენება სადურგლო საქმეში. მკერივი და მტკიცე შეერთების პირობები. ზუბანების გამოჭრისას და კრილის არჩევისას გამოყენებული იარაღები და მოწყობილობანი (2-ს.).

ვარჯიშობანი ლარტყის ჩასმით შეერთების დროს აღნიშვნების, წარმოების ჩანაჭრების არჩევისა და ზუბანების ამოჭრაში (4-საათი).

საწარმოო მუშაობა.

დავალემა № 10 კეღლის თარო ლარტყით სწორ შეერთებაზე პატარა სკამის (ჯორკო) მერცხლის ბოლოსებური შეერთებით (20-საათი).

## 16. გეომეტრიულ დაჩქურთმების დაწყებითი ხერხები (2 — საათი)

განმარტებანი: მოკლე ცნობები სადურგლო საქმეში ჩაქურთმების, როგორც ნაგებობათა შელამაზების საშუალების გამოყენებისა და შინამრეწველობაში სადურგლო საჩქურთმო განვითარების შესახებ (2 — საათი).

ვარჯიშობა გეომეტრიული ორნამენტის ელემენტების ამოკრაში „ხაზაკით“ „კულიჩით“, „როზეტკითა“ და „ციადითი“ (10 — საათი).

შენიშვნა: დაჩქურთმების ელემენტების გაცნობა აუცილებელია ერთდროულად იმ ნაკეთობათა შელამაზებასთან, რომელსაც მოსწავლეები ასრულებენ პროგრამის შესრულების პროცესში. იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეებს საქმია მომზადება აქეთ დაჩქურთმების დარგშიც, შეიძლება დაჩქურთმებაზე ვარჯიშიც.

სწავლების მიმდინაობაში — 320 საათი

წლის პირველი ნახევარი — 160 საათი

### 1. შესავალი მეცადინეობა (2 — საათი)

შინამდებარე სასწავლო წლის ამოცანები და წლის პირველი ნახევრის სამუშაო გეგმა. მოსწავლეთა ჯგუფების ჩამოყალიბება (2 — საათი).

### 2. ტექნოლოგიური ცნობები მასალების შესახებ (22 — საათი)

ა) მეცადინეობათა შინაარსი ხის ტექნოლოგიაში. მასალის თვისებებზე და დამუშავების საშუალებებზე თეორიული ცოდნის მნიშვნელობა პრაქტიკული მუშაობისათვის. ხის გამოყენება ჩვენს მრეწველობაში და სახალხო მეურნეობაში, როგორც სანახლავო და საამშენებლო მასალა (2 — საათი).

ბ) ჩვენი ქვეყნის ტყის სიმდიდრენი და ძირითადი სატყეო მასალების გავრცელება (1 — საათი).

გ) ხე, როგორც მცენარე, მისი ძირითადი ნაწილები: ფესვი, ტანი, ქერქი, მათი მნიშვნელობა ხის ცხოვრებასა და განვითარებაში (1 — საათი).

დ) ტანი ხის ძირითადი ნაწილი, რომლისაგანაც მიიღება სანახლავო მასალა სადურგლო საშუალებებისათვის. ტანის აგებულება ტენდენციულურ, რადიალურ, განივ ჭრილებში: მერქანი, გული, ქერქი, ცილა (2 — საათი).

ე) მერქანის წარმოქმნა და აგებულება (1—საათი).

ვ) მერქანის მექანიკური თვისებები: სიმაგრე, სიმტკიცე, სიბლანტე, დრეკადობა. მერქანის მექანიკურ თვისებათა დამოკიდებულება მისი აგებულებისაგან (2—საათი).

ზ) მერქანის ფიზიკური და ქიმიური თვისებები: წონა, ელექტროგამტარიანობა, თბოგამტარიანობა, მერქანის ქიმიური თვისებები და ა. შ. (2—საათი).

თ) ხის მთავარი ჯიშები: წიწვნიანი—ფიჭვი, კედარი, ფოთლოვანი: ცაცხვი, თხმელა, ვერხვი, მუხა, კოპიტტი, მსხლის ხე, რცხილა, წიფელა, ნეკერჩალი, არყის ხე, კაკლის ხე, ქადარი. წითელი ხე, ქარელის არყი, გავრცელება განმისხვავებელი თვისებები და სადღურგლო საქმეში მათი გამოყენების დარგები (3—საათი).

ი) ხის დამუშავება—ტყის წაწვენა და ქერქის გაცლა (1—საათი) ტრანსპორტირება—ქაპანზიდვა, ტრაქტორით ზიდვა, დაცურება (1—საათი) მერქანის დამუშავება ხეტყის სახერხ ქარხანაში, დახერხილი მასალის ასორტიმენტი საამშენებლო და სადღურგლო სამუშაოებისათვის (3—საათი).

შენიშვნა: ტექნიკური ცნობების დამუშავება მასალების შესახებ ხდება სისტემატურად სწავლების ნახევარი წლის განმავლობაში, ამ საქმეს დაეთმობა თითო საათი კვირაში.

### 3. სახარატო ჩარხზე მუშაობის პირველადი ხერხები (26—საათი)

განმარტებანი: სახარატო ნაკეთობათა გამოყენება სადღურგლო სავარჯიშო საქმეში. სახარატო ჩარხის მოწყობილობა, სახარატო იარაღები. დგომა სახარატო ჩარხით ან მუშაობის დროს. იარაღის ხელში აღება ძრავის ჩართვა და გამოთიშვა. გამაფრთხილებელი ზომები მუშაობის დროს (2—საათი).

ვარჯიშობა ცილინდრული ზედაპირის ხარატებში რეიერით და მიიზელთ (2—საათი).

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 14, „გოროდკები“ (6—საათი).

ვარჯიშობა ფიგურიან ზედაპირების ხარატებში (2—საათი) ნაკეთობათა მარტივო, ფიგურიანი პროფილების დამზადება სახარატო ჩარხზე.

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 15, ქლიბების სახელურები, სოკოები — წინდების შეკეთებისათვის, ბზრიალა, სახელური ხვეწისათვის და ა. შ. (14—საათი).

**4. მაგიდებისა, ტაბურეტებისა და სხვა ნაკეთობებში გამოსატყეველებელი ზუბანები (40-საათი).**



განმარტებანი: ტაბურეტებსა და მაგიდების გაკეთებისას მოყენებული აღნიშვნის ხერხების თანდათანობა სამუშაოს შესრულებაში (1-საათი). სამუშაოს გეგმისა და ნახაზის არჩევა.

ვარჯიშობა ზუბანების აღნიშვნაში, ზუბანის ბუდის ამოტეხვაში. ზუბანების ჩახერხვასა და მათ მორგებაში (6-საათი).

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 16, ტაბურეტი ან საბავშვო პატარა მაგიდა (33-საათი).

**5. შეერთება ნახევრად ფარული ზუბანებით. ზედაპირის მკრთალად გამშვენების გაცნობა (10 საათი)**

განმარტება: ნახაზის გარჩევა. მოკლე ცნობები ავეჯის კონსტრუქციული საფუძვლების შესახებ, ზედაპირის გამშვენების მნიშვნელობაზე. მისი ამომკრელითა და ცვილით გასამშვენებლად მომზადებისათვის. ამომკრელისა და ცვილის მომზადება.

ზედაპირის გაწმენდისა და გამშვენებისას გამოყენებული იარაღი და დამხმარე მასალები (ორმაგი რანდა, ასტამურა, მინანაყარი ქაღალდი, ფუნჯი, მუსი, ლაფანი და ა. შ (10 საათი).

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 17, სამზარეულო მაგიდა ან საწოლთან დასადგმელი კარადა (58 საათი).

**6. ნახევარწლის შემავაშებელი მუშაობა (2 საათი)**

მეორე ნახევარი წელი (16 საათი)

**7. ტექნოლოგიური ცნობები მასალების შესახებ (20 საათი)**

ა) მერქანის დადებითი თვისებები: სიმტკიცე, სიმკვრივე, დრეკადობა, მცირე ელექტროგამტარიანობა და თბოგამტარიანობა, მცირე წინააღმდეგობა დამუშავების დროს, ნაკეთობის სილამაზე (2-საათი).

ბ) მერქანის უარყოფითი თვისებები: მიდრეკილება დაავადებისადმი, სიდამპლე, ხის სოკო, ბრეცვა, გაჟღენთვა, შეხმობა, სკლოპა, ნუქრიანობა, მრუდშრეანობა, ხვეულობა (4-საათი).

გ) მერქნის დაცვა დაავადებისაგან. წაწვენიის შემდეგ დროულად

ქერქის ვაცლა, წესიერად შენახვა, გაქვინთვა ანტიმეტრიკებით, შეღებვა (2-საათი).

დ) დაბრეცვისაგან დაცვის საშუალებანი გაშრობა, საკმარისად გაჩერება გაშრობის შემდეგ, მარჯვენა და მარცხენა მხრების შეწევის წესების დაცვა, ფარების შეწებვისას და მიჯრის დროს, გადაწევა და ა. შ.

შრობა ბუნებრივი და ხელოვნური, მათი უპირატესობა და ნაკლი მასალის განსაზღვრული ვადით დატოვება შტაბელებში და დამზადების შემდეგ (3-საათი).

ე) მოკლე ცნობები შერქანის თავისებურების ხელოვნურად გაუმჯობესების შესახებ, წინხვა, გაქვინთვა (1-საათი).

ვ) ფირფიცრის და გადასაწებავი ფირფიცრის მიღება. ფირფიცრის გამოყენება სადურგლო საქმეში (4-საათი).

შ) შერქნის გამოყენება ახალი მასალების მისაღებად (ფიბროლიტი და სხვა. (12-საათი).

თ) წებოს მიღების ხერხი, მისი ხარისხი და გამოყენება. შეწევის უდიდესი სიმტკიცის პირობები (მკვრივად მორგება. შეთბობა, წებოს სისქის შერჩევა შერქნის სიგრძის და მისი შემჭიდროების სიმკვრივისაგან დამოკიდებით (12 საათი).

## 8. მუშაობა სახარატო ჩარხზე (16-საათი)

განმარტებანი. სახარატო საქმეში მასიური მუშაობისათვის გამოყენებული მოწყობილობანი (თარგი, კავი). ცნება კრის სისწრაფის შესახებ (2-საათი).

უფრო რთული ფიგურიანი ნაკეთობის ამოხარატება ნახაზის მიხედვით თარგის გამოყენებით.

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 18, სვეტი, ტაბურეტის ან მაგიდის ფეხი, და სხვ. (12 საათი).

ცნება სფეროსი და ამობურცული სხეულების ამოხარატების შესახებ დემონსტრაცია (2-საათი).

## 9. ფანჯრის ჩარჩოხ შეკვრა (30 საათი)

განმარტებანი: ძირითადი ხერხები. ზუბანების აღნიშვნა, ხერხებით მორგება, ზუბანებით შიერთებისას (2-საათი)

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 19, ჩარჩოს დამზადება (28 საათი).

10. სარანდო იარაღების მჭრელის მორგება. (16-საათი).

განმარტებანი: მორგების კუთხე ცალმაგი რანდების ნებისა და ორმაგი რანდებისათვის. მორგებისადმი წაყენებული მოთხოვნები (2-ს.)

ვარჯიშობა მჭრელის პირის მორგებაში და მჭრელისათვის ბუდის აღნიშვნაში (2-საათი).

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 20, რანდვისა და შალაშინისათვის კალაპოტის დამზადება (13-საათი).

11. მოსწავლეთა მიერ წლის განმავლობაში მიღებულ ცოდნისა და ჩვევების ჯამტიკება (6-საათი)

გარჩევა ნახაზისა და სამუშაო გეგმისა პატარა კარადის და შავილის დასამზადებლად, ხარჯთაღრიცხვის შედგენა საჭირო მასალებზე (6-საათი).

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 21, პატარა კარადა (68-საათი).

12. წლიური მუშაობის შეჯამება (4-საათი)

სწავლების მისამდე ფილი—320 საათი.

პირველი ნახევარწელი—160 საათი.

1. შესავალი მეცადინეობა (2 საათი)

შემდეგი სასწავლო წლის ამოცანები. მოკლე ცნობები წლის ბოლოს საკვალიფიკაციო შემოწმების შესახებ.

2. ხის დამმუშავებელი ჩარხების მოწყობილობის, აწყობისა და რეგულირების გაცნობა (20 საათი)

მექანიკური დამმუშავების უპირატესობანი—სისწრაფე, სიზუსტე, სუფთად მუშაობა კუნთების ენერჯის მინიმალური დახარჯვით (2-საათი).

მოკლე ცნობები ჩარხების მუშაობისათვის საჭირო ენერჯის წყაროების შესახებ (ძრავები, მოტორები), მათი სიმძლავრე და მათი განსაზღვრა პასპორტის მიხედვით (2-საათი).

ძირითადი ცნობები ჩარხების მოწყობის შესახებ. ხის დამმუ-

შავებელ ჩარხებში გამოყენებულ გადაცემათა ძირითადი სახეები. სამუშაო შვივის ბრუნვის სიჩქარის გამოთვლა (2-საათი)



სადურგლო საქმეში გამოყენებული სახერხი, ჩარხები: ლარული (ბრგვალი ხერხი) რტყელა ხერხი, ქარქარა ხერხი. მოწყობილობა, აწყობა და სადურგლო საქმეში გამოყენება, გაცნობა სადურგლო საქმეში გამოყენებული სარანდი ჩარხებისა, შალა-შინი და საწრიკაწრო, მათი მოწყობილობის აწყობისა და სადურგლო საქმეში გამოყენების გაცნობა (2-საათი).

მლარავი ჩარხის მოწყობილობა და მუშაობა (4 საათი).

საწარმოო პროცესი მექანიზაცია (1-2 მაგალითის გარჩევა) (8-საათი) უსაფრთხოების ტექნიკა. საფრთხის შესაძლო შემთხვევაში ხის დამმუშავებელ ჩარხებზე მომუშავეთათვის, დასაცავი საგორების მოწყობა. სამუშაო ადგილის მოწყობა ჩარხთან. მომუშავეთათვის ტანსაცმლის შერჩევა უსაფრთხოების ტექნიკის თვალსაზრისით. შენიშვნა: ჩარხები შესწავლა აუცილებელია განმტკიცდეს მათ მუშაობის დემონსტრაციით ქარხნებში ექსპურსიების ჩატარებისას. 20 სასწავლო საათი ნაწილდება მთელი ნახევარწლის განმავლობაში — კვირაში ერთ საათი ზემოხსენებულ ექსპურსიების ჩასატარებლად.

### 3. ფირფიცრის გადაკვრა წნეხების საშუალებით და გაპრიალების პირველადი ხერხები (64-საათი)

განმარტებანი: დაფირფიცრების დანიშნულება. ზედაპირის მომზადება დაფირფიცრებისათვის: დალარვა. წებოს წასმა. დაფირფიცრებისათვის წაყენებული მოთხოვნები (ფირფიცრის დაწებების სიმტკიცე, ტექსტური შერჩევა, შემდგომი წესიერი დამუშავება). წნეხებით, დაუთოებით დაფირფიცრების ხერხები. გაპრიალების პროცესის ანალიზი (4 საათი).

საწარმოო მუშაობა კარადის დაფირფიცრება (6-საათი).

### 4. შეერთება თარგუნით (72 საათი)

სკამის, სავარძლისა და „დივანის“ ნახაზების გარჩევა. სამუშაო გეგმის შედგენა (2 საათი).

ვარჯიშობა ზუბანების აღნიშვნაში, დახრილი კუთხით ზუბანის სიბრტყეზე აღნიშვნა თარგუნის გამოყენებით (2 საათი).

დავალება № 23, სკამი და ტუმბა ყვავილებისათვის (68 საათი).

### 5. შედეგების შეჯამება და ნახევარწლის ანგარიში (2 საათი).



6. წარმოების ორგანიზაციის გაცნობა (6 საათი)



სამუშაო ადგილის რაციონალური ორგანიზაცია, რაციონალიზაცია (1-საათი).

ხის დამუშავებელი წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ორგანიზაცია (1-საათი). ცნება ერთეული, „სერიული“ და მასიური ნაწარმოების მეთოდების მოკლედ გაცნობა (2-საათი).

ცნობები ტექნიკურ ნორმირებისა და ტექნიკურ კონტროლზე (1 საათი).

7. დამოუკიდებელი დასკვნითი ხაკონტროლო სამუშაო (45 საათის)

ნახაზის გარჩევა, მისი განრიგება გეგმის მიხედვით.

სამუშაო გეგმის დამოუკიდებელი დამუშავება (გეგმა უნდა იქნას წარდგენილი განსახილველად საკვალიფიკაცია კომისიაში გამოცდის დღის) ხარჯთაღრიცხვის შედგენა, მოთხოვნილება მასალაზე თუ არის სამანქანო განყოფილება—შეკვეთის დამუშავება დამზადებისათვის. სამანქანო განყოფილების უქონლობის შემთხვევაში დაწესდება ხდება ხელით, მხოლოდ მაშინ მოსწავლენი აკათებენ ერთ ნივთსა 2-3 კაცის შემადგენლობით ბრიგადაში (6 საათი).

საწარმოო მუშაობა.

დავალება № 24 საწერი მაგიდის, წიგნის ან ტანსაცმელის კარადის შესრულება (40 საათი).

8. გამოსაშვები გამოცდები (3 საათი)

თეორიული გამოკითხვა. (2 საათი) ნიმუში (2 საათი). შემოწმება უკანასკნელი საკუშაოსი. ნიმუშებისა და თეორიაში კვალიფიკაციის განსაზღვრა (4 საათი).

სადურგლო სახელოსნოში საპროგრამო მასალის განაწილება



საპროგრამო მასალა		სამუშაო საათ.				7
		ს უ ლ	მათ შორის			
			საუბარ.	ვარჯიშ.	წარმ.	
1	2	3	4	5	6	7
<b>სწავლების პირველი წელი—320 ს.</b>						
<b>წლის პირველი ნახევარი—160 ს.</b>						
1	შესავალი საუბარი . . . . .	2	2	—	—	1. პურის საკრედილი ფიცარი.
2	გამბული ხერხით ხერხეზ პირველდაწყებითი წესები .	4	2	2	—	2. კალაპოტი ვიზოს ქვისათვის.
3	რანდითა და ხუშტარით რანდის პირველდაწყებითი ხერხები	12	1	11	—	3. კალამდანი.
4	პრაქტიკული მუშაობა ხერხისა და რანდვაში . . . . .	14	2	—	12	4. ყუთი.
5	სარანდი იარაღების აღესვა . .	4	4	—	—	5. ტანისამოსის საკიდებელი.
6	ხვეწითა და სატეხით მუშაობა .	6	1	1	4	6. სახსროვანი სათამაშოების დამზადება.
7	ბურღვა	8	1	—	7	7. ხვეწის, ჩაქურების და დაზვის ხრახნის სახელურები.
8	განგვერდის რანდა. შეერთება ლუქსმნით	24	2	2	20	8. საბავშვო სახლის შეკეთების დამზადება.
9	მუშაობა ამოხერხვაში წრეთარგი ხერხით	15	1	2	12	(პროგრამის შესაბამისად).
10	მრგვალი და ოვალისებური კვეთის დეტალების დამუშავება .	10	1	—	9	
11	ნაკეთობათა შეღებვა . . . . .	13	2	—	11	
12	ხერხვისა, რანდის, ხვეწით კრისა და ამოტეხვაში შიფონებულ ოპერაციების ჩვევების დამკვიდრება და გამტკიცება შეკვეთის შესრულების პროცესში დეტალებზე	46	2	—	44	
13	სწავლების პირველი ნახევარი წელის შემოწმება . . . . .	2	2	—	—	
ს უ ლ . .		160	23	18	119	



ეროვნული  
სტატისტიკის  
სახელმწიფო

შეიძლება  
დამზადდეს

საკროგრამო მასალა	სამუშაო საათ.				7	
	მათ შორის					
	ს უ ლ	საუბარ.	ვარჯიშ.	წარმუშ.		
1	2	3	4	5	6	7
<b>წლის მეორე ნახევარი — 160 ს.</b>						
1 ძელაკების შეერთება სწორი განტანისი ზუბანებით	12	2	2	8		1. ჩარჩოს დამზადება.
2 გაშალაშინება, სოკმანზე ჩასმა	12	1	2	9		2. ფიცრები სამკინძოსათვის.
3 შეერთებანი „ნაგრადით“ კრილში ლარტყის გატარებით	26	2	4	20		3. კედლით თარო ან ჯორკო, მერკხლის კუდისებური ზუბანით შეერთებული.
4 პირველადი წესები გეომეტრიულ დაჩუქურმებაში	12	2	—	10		4. კედლის თარო ბრჯენებით, ბიბლიოთეკის საკარტეკო ყუთი.
5 შეერთება თათისებური ზუბანებით	30	2	2	26		5. ჩარჩო სურათებისათვის.
6 ძელაკების შეერთება ნარიმანდი ფასკით	20	2	2	16		6. საბ. სახლის შეკვეთა (პროგრამის შესაბამისად).
7 გველით მასალის გამეორება და ჩვევების განმტკიცება საწარმოო მუშაობის პროცესში	44	—	—	44		
8 წლის განმავლობაში მოწაფეთა მიერ მიღებული ცოდნი და ოსტატობის შემოწმება	4	4	—	—		
ს უ ლ .	160	15	12	133		
<b>სწავლების მეორე წელი — 320 ს</b>						
<b>პირველნახევარი წელი — 160 ს.</b>						
1 სასწავლო წლის ამოცანები და სამუშაო გეგმა პირველ ნახევარწლისათვის. მოსწავლეთა ჯგუფების ჩამოყალიბება	2	2	—	—		2. გოროდკი*.
2 ტექნოლოგიური ცნობები მასალების შესახებ	22	22	—	—		1. ქლიბების ტარებით, სოკოები, ბზრიალა, ხვეწის სახელური.
3 სახარატო ჩარხზე მუშაობის პირველადი ზერხები	26	2	4	20		3. ტაბურეტი ან საბაგვეო პატარა მაკიდა.
4 მაგიდების, ტაბურეტის და სხვა ნაკეთობებში გამოსაყენებელი ზუბანები	40	1	6	33		4. სამზარეულო მაგიდა ან ტუბა საწოლთან დასადგამი.



ეროვნული  
სტატისტიკის  
სამსახურს

საპროგრამო მასალა		სამუშაო საათ				7
		ს უ ლ	მათ შორის			
			საუბარ.	ვარჯიშ.	წარმ.	
1	2	3	4	5	6	7

5	შეერთება ნახევრად ფარულ ხუბანებით. ხედაპირის მკრთალად გამოშვებები გაცნობა . . . . .	10	2	8	—	
6	საწარმოო მუშაობა . . . . .	58	—	—	58	
7	ნახევარი წლის მუშაობის შეჯამება . . . . .	2	2	—	—	
<b>ს უ ლ . . . . .</b>		<b>160</b>	<b>31</b>	<b>18</b>	<b>111</b>	
<b>მეორე ნახევარწელი — 160 ს.</b>						
1	ტექნოლოგიური ცნობები მასალების შესახებ . . . . .	20	20	—	—	1. გამოხარატებული სვეტი ტაბურეტის ან მაგიდის ფეხები.
2	მუშაობა სახარატო ჩარხზე . . . . .	16	2	2	12	2. ჩარხო ფანჯრის.
3	ფანჯრის ჩარხის შეკვრა . . . . .	30	2	—	28	3. რანდის და ხეშტარის კალაპოტის დამზადება.
4	სარანდო იარაღების მკრთელის მორგება . . . . .	16	2	2	12	4. პატარა კარადა
5	მოსწავლეთა მიერ წლის განმავლობაში მიღებულ ცოდნისა და ჩვევების გამტკიცება . . . . .	6	—	—	6	
6	საწარმოო მუშაობა . . . . .	68	—	—	68	
7	წლიური მუშაობის შეჯამება . . . . .	4	4	—	—	
<b>ს უ ლ . . . . .</b>		<b>160</b>	<b>30</b>	<b>4</b>	<b>126</b>	
<b>სწავლების მესამე წელი — 320 ს.</b>						
<b>პირველი ნახევარწელი — 160 ს.</b>						
1	შესავალი მეცადინეობა	2	2	—	—	1. კარადა და ფირფიტები გადაკრული.
2	ხის დამმუშავებელი ჩარხების მოწყობის, აწყობისა და რეგულირების გაცნობა . . . . .	20	6	14	—	2. სასადილო სკამი ყვავილების ტუმბა.
3	ფირფიტის გადაკვრა წნეების საშუალებით და გაპირილების პირველადი ხერხები . . . . .	64	4	—	60	



საქართველოს  
სტატისტიკის ეროვნული  
სერვისი  
შეიქმნა 1918 წელს  
დაწინდდეს

1	საპროგრამო მასალა	სამუშაო საათ.				7
		ს უ ლ	მათ შორის			
			საუბარ.	ვარჯიშ.	წარმუშ.	
3	4	3	6			
4	შეერთება თარგებით . . . . .	72	2	2	68	
5	შედეგების შეჯამება და ნახევარ-წლის ანგარიში . . . . .	2	2	—	—	
	<b>ს უ ლ . . . . .</b>	<b>160</b>	<b>16</b>	<b>16</b>	<b>128</b>	
	<b>წლის მეორე ნახევარი— 160 ს.</b>					
1	წარმოების ორგანიზაციის გაცნობა . . . . .	6	6	—	—	
2	დამოუკიდებელი დასკვნითი საკონტროლო სამუშაო . . . . .	146	6	—	140	
3	გამოსაშვები გამოცდები . . . . .	8	2	6	—	
	<b>ს უ ლ . . . . .</b>	<b>160</b>	<b>14</b>	<b>6</b>	<b>140</b>	

სულ სამი წლის განმავლობაში 960 საათი.



პასუხისმგებელი გამომგებისათვის ნ. თ. ფირცხალაშვილი.

ტირაჟი 500.

შეკვ. № 67.

შე 02272.

დ. პ. ბერძას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“,  
ქ. თბილისი, ლენინის ქ. № 28.